სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 7 ივლისი 1999 №126 (899) | ფასი 50 თეთრი

ბოსკამპმა დინამო დაამუნჯა

აკაკი დევაძე უკვე დინამოელია, მაგრამ ჰოლანდიურ ეპეში დღეში სამჯერ მოვარჯიშე თანაგუნდელებს სავიზო პრობლემების გამო ჯერ ვერ შეუერთდა

ბეკენბაუერის აზრით

კაიზერ ფრანცი მიიჩნევს, რომ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატში მანჩესტერის მონაწილეობა მართებულია



ვისი იქნება იაგორაშვილი?

ვახტანგმა ჯერაც არ იცის, ვისი სახელით იასპარეზებს სიდნეიში



1999 წლის 15 ივლისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელებისა და სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი სარეფერენდუმო კომიტეტის ჟიურისა და კომისიის ერთობლივი სხდომა, შეჯამდება რეფერენდუმის პირველი ეტაპის შედეგები, გამოცხადდება პირველი ნომინაციის ლაურეატთა ვინაობა

დასაწყისი 16 საათზე

დათიკაშვილის და დადიანის ვიცეპრეზიდენტობას ვითასთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

„ვითას“ მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე

ზედიზედ მეშვიდედ გაჩემპიონებით გამოწვეული სიხარული ვითელებს კიდევ კარგა ხანს გაჰყვებათ. გუნდმა სულ ცოტა, ერთი წლით დაიბევა პირველობა ქართულ კალათბურთში, რაც ფინალში ძლიერი „აზოტის“ ძლევით მოახერხა. „ვითა“ სამომავლოდაც სერიოზულ მიზნებს ისახავს. კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებას და კორაჩის თასზე ღირსეულ თამაშს გეგმავს, რაც სენშეყრილ ქართულ კალათბურთს უეჭველად სასიკეთოდ წაადგება.

ეს ისე, სხვათა შორის, თორემ ჩემპიონთა თავკაცთან, „ვითას“ წარმატების სულისჩამდგმელ ზურაბ ტომარაძესთან შეხვედრის მიზეზი სხვა იყო. ერთია ემოციებით დამუხტული მწვრთნელის ნალაპარაკევი და სულ სხვაა მოვლენების ციკი გონებით განსჯა-შეფასება. ახლა როცა გაჩემპიონებით გამოწვეული ეიფორია მეტ-ნაკლებად ჩაცხრა, ზურაბ ტომარაძე „სარბიელს“ განვლილ ჩემპიონატზე ესაუბრება...

იხილეთ მეათე გვერდი

ყიფიანი ტორპედოში უკონტრაქტოდ იმუშავებს

ყველას მხოლოდ დებილი უყვარს



დიმიტრიადეს ფოტოზე

დავით ყიფიანი

გასულ სეზონში ქუთაისის „ტორპედომ“ ის შეძლო, რაც წინა ცხრაში ვერ მოახერხა, ორმაგ წარმატებას მიაღწია, ქვეყნის თასი და ვერცხლის მედლები დაისაკუთრა. მაგრამ ეს ხელხვავიანი სეზონიც უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა. ტორპედოელთა წინაშე ახალი მიჯნებია, როგორც საშინაო, ისე საგარეო სარბიელზე. სულ მალე, აგვისტოს შუა რიცხვებიდან, ქუთაისელებს ორ ფრონტზე მოუწევთ ბრძოლა. ოფიციალურად ახალი სეზონი „ტორპედოსთვის“ 12 აგვისტოს ესტონეთში იქაურ „ლანტანასთან“ უეფას შესარჩევი ეტაპის მატჩით იწყება. 16-ში გუნდი მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებმება. მერე ისევ ლანტანელებს გაეჯიბრება, ოლონდ შინ და ღმერთმა ქნას, აქაც და იქაც გამარჯვებებით ევლოს.

დიახ, „ტორპედოში“ მთავარ მწვრთნელად დავით ყიფიანის მისვლა ბევრში გუნდის ახალ-ახალი წარმატებების ასოციაციას იწვევს. კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირიც არაფერია. ყიფიანი სამწვრთნელო მოღვაწეობისას კარგს უფრო მეტს მოსწრებია და ამიტომ „ტორპედოში“ საკუთარი რეპუტაციის განმტკიცების ჩინებული შანსი ეძლევა. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა „ტორპედო“ თითქმის სამი კვირის წინ ჩაიბარა, მაგრამ ამ სამიდან ერთი კვირა ყიფიანს გუნდში გაუცდა. მოგეხსენებათ, იგი კიდევ ერთ ქართველ სპეციალისტ გაიოზ დარსაძესთან ერთად იტალიაში კოვერჩანოში გახლდათ. გუშინწინ გვიან საღამოს დავით ყიფიანმა დაპირებული და პირველი ქუთაისური პრესკონფერენცია გამართა და პირველი შეკითხვაც კოვერჩანოს ქუთაისურ სემინარებს შეეხო.

იხილეთ მეორე გვერდი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ყიფიანი ტორპედოში უკონტრაქტოდ იმუშავებს

— ეს არის უეფას მიერ შემუშავებული ფეხბურთის განვითარების ძალიან საინტერესო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება. ეს უკვე მესიე კურსი იყო. კოვერჩანოს სემინარების მიზანია, მომზადდეს ისეთი მწვრთნელები, ლიცენზიები ისეთ ხალხზე გაიცეს, ვინც შეძენილ ცოდნას თავის ქვეყანაში გამოიყენებს და სხვას გადასცემს. უეფა სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ მხოლოდ ლიცენზირებულ სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ მაღალი დონის გუნდებში მუშაობის საშუალება. პროგრამაში სწავლების გარდა ბევრი სხვა რამეც არის ჩადებული. ვთქვათ, ფედერაციებისადმი დახმარების გაწევა, სემინარების ადგილებზე ჩატარება. სხვათა შორის, ამას ჩვენთან ბატონ ნოდარ ახალკაცის დროს ჩაეყარა საფუძველი. მწვრთნელთა მომზადების საქმეს იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

კოვერჩანოში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრები ხშირად ამ ბაზაზე გადიოდა შეკრებას. მართლაც რომ საუცხოო პირობებია. მარტო ტექნიკურ აღჭურვილობაზე, საფეხბურთო ლიტერატურაზე რომ ვთქვათ, საოცარი საგანძურია. უეფას კურსს თავისი მიმართულება აქვს. ამჯერად საუბარი იყო მხოლოდ ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე და სისწრაფეზე. ჩვენს წინაშე ცნობილი სპეციალისტები გამოდიოდნენ. ლექციებს პრაქტიკული მეცადინეობები მოსდევდა. ძალიან სასარგებლო სემინარები იყო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, და არც ამის თქმის მეშინია, თავისი მეთოდიკით, განვითარებით ქართული ფეხბურთი ქვის ხანაშია. ჩვენი ფეხბურთის მომავლისთვის ამგვარ სემინარებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— „ტორპედოში“ თქვენმა მისვლამ არაერთგვაროვანი რეზონანსი გამოიწვია...

— არ ვიცი, რომელ გაზეთში, მაგრამ დაიწერა — ყიფიანი „დინამოს“ წინააღმდეგო. ადამიანიც არის და ბუნებაც. გააჩნია, ვინ როგორ აღიქვამს ამ გამონათქვამს. როგორ შეიძლება, თავის ცხოვრების მანძილზე დავით ყიფიანი „დინამოს“ დაუპირისპირდეს. ეს ხომ გამორიცხულია. შარშან „შინიკში“ ვმუშაობდი. ის გუნდი „დინამოს“ რომ შეხვედროდა, მე რა უნდა მექნა, გადავმდგარიყავი? „წინააღმდეგ“ სულ სხვაა და სულ სხვაა საქმის კეთება. თუ საქართველში 4-5 ასეთი გუნდი იქნა, რომელიც „დინამოს“ კონკურენციას გაუწევს, საერთაშორისო არენაზეც კარგად გამოვა, ახალგაზრდა ფეხბურთელებს გაზრდის, ამას რა სჯობს.

ჩემს ქუთაისში გადმოსვლას პირიქით, სწორი პროპაგანდა უნდა გაეწიოს და არამარტო ჩემს გადმოსვლას, იგივე ხურცილავას „ლოკომოტივში“ წასვლას, იგივე უცხოელი სპეციალისტის მოწვევას „დინამოში“. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ხალხს ფეხბურთისადმი ინტერესი დავუბრუნოთ. მე, მაგალითად, მოწინააღმდეგეც ბევრი მყავს და მომხრეც. ადამიანმა ეგრე უნდა იცხოვროს. ყველას რომ უყვარხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ დებილი ხარ. ან ყველას რომ არ უყვარხარ, შეიძლება ნორმალური იყო... ვიღაცას ვუყვარვარ, ვიღაცას — არა. როცა ვთამაშობდი, მაშინაც ასე იყო და მწვრთნელობისასაც ესეა. მწვრთნელობის პერიოდში ზოგჯერ შეუძლებელს მთხოვდნენ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ჩემს მაგივრად სხვა რომ ყოფილიყო, მას რომ ჩემი შემადგენლობა ჰყოლოდა, იმ საშუალებებით, იმ სიტუაციაში, როგორც „დინამოს“ ანდაც ნაკრების მწვრთნელობისას მქონდა, ევროპის ჩემპიონი ვერასდროს გავხდებოდით და ვერც ისეთ გუნდებს მოუგებდით, როგორიც, მაგალითად, „ბოავიშტა“ იყო, რომელიც მერე პორტუგალიის თასის მფლობელიც გახდა და მეორე ადგილიც აიღო.

ზურაბ იონანიძე, დავით ყიფიანი და მიხეილ მახვილაძე „ტორპედოს“ გუშინწინდელი ვარჯიშისას

1981 წლის გამარჯვებამდე ჩვენი პლეადა 10 წელი მიდიოდა. ამ ტრიუმფს კი საფუძველი პაიჭაძის და ჯეჯელავას თაობამ ჩაუყარა. მაშინ ფანტასტიკურად კარგი პირობები შეიქმნა. რა მაქვს დასამალი, ქვეყნის დღევანდელი პრეზიდენტის მეშვეობით სტადიონი და ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა აშენდა. ჩიტის რძე არ გვაკლდა. კარგი მწვრთნელი გვყავდა, ძალიან ნიჭიერები ვიყავით და მოვიგებდით, აბა, რა იქნებოდა, ყველაფერი კანონზომიერი იყო.

— ქვეყნის თასი და ჩემპიონატში მეორე ადგილი „ტორპედოს“ უკვე დაჭაშნიკებული აქვს. ახლა უკეთეს შედეგზეა საჭირო ფიქრი...

— მე მაქსიმალისტი ვარ. ყველანაირად შევეცდები, რომ „ტორპედო“ ჩემს ხელში ჩემპიონი გახდეს, იმიტომაც რომ გორკისეული ციტატის პერიფრაზით „რაედიონნი ლეტატ, პალზატ ნე მოჟეტ“. ეს სულაც არ ნიშნავს ჩემს „დინამოსთან“ დაპირისპირებას. წადით და შეეკითხეთ იგივე „ლოკომოტივს“, „ვიტ ჯორჯიას“, „ბათუმს“, რამდენად შეუძლიათ მათ „დინამოსთან“ ბრძოლაში გამარჯვება. ეს სხვა საკითხია, მაგრამ სურვილი ხომ უნდა იყოს.

— სურვილის გარდა კიდევ რა არის საჭირო?

— ძალიან ბევრი რამ. ჩემმა კოლეგებმა, რომლებთანაც დღეს მიწევს ქუთაისში მუშაობა, გუნდის წარმატებისთვის ბევრი გააკეთეს. „ტორპედო“ რომ ჩემპიონი გახდეს, კიდევ უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი, როგორც საკუთრივ გუნდში, ასევე მის გარშემო. ეს საწვრთნელ ბაზასაც, ფეხბურთელების ყოფას და მატერიალურ მდგომარეობასაც და სტადიონსაც შეეხება. ამას გარდა, ბავშვთა ფეხბურთიც მისახედია. სირცხვილი არ არის, რომ კარლო ხურციძის ქალაქში ამ მხრივ ასეთი მდგომარეობაა?

დღეს თვითონ გულშემატკივარია დაინტერესებული, რომ „დინამოს“ მეტი კონკურენტი ჰყავდეს. პრესაში რომ გაიძახოდნენ, რატომ უნდა იყოს სულ ერთი გუნდი ჩემპიონიო, სხვებზე კარგია და იმიტომ. ფეხბურთელებიც უკეთესი ჰყავს და პირობებიც გააჩნია. აჯობე ამ კომპონენტებში და შენ იქნები პირველი.

— „ტორპედოს“ დაკომპლექტება, როგორც წესი, ადგილობრივი კადრებით ხდებოდა, თუმც მოწვეულებიც ჰყავდა. თქვენც უკვე საკმაოდ ბევრი მოთამაშე იახლეთ. ამბობენ, ყიფიანი აქცენტს მოწვეულ ფეხბურთელებზე გააკეთებსო.

— არ ვიცი, საიდან არის ასეთი ინფორმაცია. ჯერ ერთი, დღეისთვის, მგონი, უკლებლივ ყველა ფეხბურთელი, ვინც გუნდში დამხვდა, ადგილზეა. მეორეც — სამი ფეხბურთელი მოვიყვანე და რამდენად იქნება შესაძლებელი მათი გუნდში დარჩენა, ამას ვარჯიშები და საკონტროლო თამაშები გვიჩვენებს. რაც შეეხება ახალგაზრდებს, ისინი ბავშვები არიან. ჩემი მიზანია, „ტორპედოს“ კარგი ფარმკლუბი ჰყავდეს. ისინიც იმიტომ ჩამოვიყვანე. ასე ნუ დაადგენთ საკითხს, თითქოს მე „ტორპედოში“ ქვეყნის ფეხბურთელები მოვიყვანე და ვინც დამხვდა, იმაზე უარს ვამბობ. მე პროფესიონალი მწვრთნელი ვარ და საკუთარი მიმართულება და კონცეფცია მაქვს. თუ ჩათვლი, რომ დამხვდური ფეხბურთელებიდან რომელიმე ვერ აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, გავათავისუფლებ.

— დავით მუჯირის „ტორპედოში“ ჩამოყვანაზე იყო საუბარი...

— გვქონდა მუჯირთან მოლაპარაკება. ურთიერთობისას წამოჭრილი პრობლემების მოგვარებას შევეცადეთ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ამ ბიჭმა თვითონაც არ იცის, რა უნდა.

— როგორ ფიქრობთ, ახალმოსულთაგან გუნდში დარჩენა აქვს ვინმეს გარანტირებული?

— ზაზა ზირაქიშვილი უნდა დარჩეს. მას თამაში შეუძლია და ახლავე გეტყვით, რომ ის ტორპედოელია. ის პატარა ბიჭებიც აუცილებლად დარჩებიან იმიტომ, რომ მათში კარგ მომავალს ვხედავ. მათ დაემატებათ კვერნაძე, ასათიანი და კიდევ 5-6 პერსპექტიული ადგილობრივი ახალგაზრდა.

— გუნდში კიდევ ვინმეს გასინჯვას ხომ არ აპირებთ?

— ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში თითქმის არ არიან მაღალი კლასის ფეხბურთელები. ყოველ შემხვედვაში, მე ასეთებს ვერ ვხედავ. თუ ვინმე გამოჩნდა, ჩვენც შევეცდებით მოვიწვიოთ.

— გუნდის დაკომპლექტებას როდის დაასრულებთ?

— 20-21 ივლისისთვის, როცა უცხოური შეკრებისთვის — ჰოლანდიაში გასამგზავრებლად ვიქნებით მზად.

— საუეფო განაცხადის წარდგენის. ბოლო ვადა როდისაა?

— ჯერ საკმაო დრო გვაქვს, თუმცა ჩვენ წინასწარი განაცხადი უკვე გავგზავნეთ. სიაში 30 კაცი შევიყვანეთ და დიდი ცვლილებების ახლა გაკეთება სისულელე იქნება.

— ითქვა, რომ ჰოლანდიაში აპირებთ უცხოელების დამატებას...

— არ არის გამორიცხული, რომ ჰოლანდიური შეკრებისას რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელი გამოვცადოთ იქვე, ადგილზე, ვინაიდან მათი აქ პირდაპირ ჩამოყვანა მატერიალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ვთვლი, რომ საჭიროც არაა...

— მათ შერჩევასა და გადმობირებაში ვინ დაგეხმარებათ?

— ჩემი რეპუტაცია.

— ჰოლანდიაში როდის მიემგზავრებით და საკონტროლო თამაშები თუ გაქვთ დაგეგმილი?

— 24 ივლისს 22 ფეხბურთელით გავემგზავრებით. ძალიან კარგ ბაზაზე მოგვიწევს ყოფნა. საკონტროლო თამაშებს რაც შეეხება, 25-ში ბელგიურ „ლიერსს“ ვხვდებით, 31-ში „ტორპედოს“ ძველ ნაცნობ „ლომელთან“ ვითამაშებთ. 3 აგვისტოს სამგუნდა ტურნირში ვაპირებთ მონაწილეობას სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ და ჰოლანდიურ „როდასთან“ ერთად. 5 აგვისტოს კიდევ ერთი თამაში გვექნება. სავარაუდოდ საემიროების ნაკრებთან. 7-ში ქუთაისში დავბრუნდებით. აქედან სამ დღეში ტალინს გავფრინდებით.

— ბატონო დავით, „ტორპედოს“ დღესდღეობით ხუთი მწვრთნელი ჰყავს. ნამეტანი ხომ არ არის?

— ვთვლი, რომ ვარჯიშის ნაყოფიერად ჩატარებისთვის ეს მწვრთნელთა ის რაოდენობაა, რომელიც მინდორზე უნდა იყოს. მთავარი მწვრთნელის ფუნქცია უფრო საზედამხედველოა, მას არაფერი არ უნდა გამოეპაროს. განაცუდია, რომ მეკარეებს თავიანთი მწვრთნელი ჰყავთ?

— უეფას წილისყრის შესახებ რას გვეტყვით. „ტორპედოს“ მეტოქეს თუ იცნობთ?

— წილისყრით უკმაყოფილოები ნამდვილად ვერ ვიქნებით. რა თქმა უნდა, „ლანტანა“ „იუვენტუსი“ არაა, ეს ის ბარიერია, რომლის დაძლევაც შეიძლება. „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი რომ ვიყავი, „ლანტანას“ გუნდს ორჯერ შევხვდით. და ორჯერვე დავამარცხეთ. „ლანტანა“ იქაური რუსული დიასპორის გუნდია. მის პრეზიდენტსაც და მწვრთნელსაც — მამა-შვილ ბელოვებს კარგად ვიცნობ. აფერუმ, მაგათ ვაჟკაცობას. „ტორპედოს“ სერიოზული ბრძოლა მოუწევს იმიტომ, რომ „ლანტანას“ ბიჭები რომ მინდორზე გადიან, გარდა ფეხბურთის თამაშისა, ესტონეთში კიდევ ბევრ სხვა რამეს ამტკიცებენ. ისინი თვლიან, რომ ამ ქვეყანაში ცოტა დაჩაგრულები არიან, მათ მიმართ შოვინისტური განწყობაა. ამიტომ სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებენ და იოლ გასეირნებას არ უნდა ველოდეთ.

— „ტორპედოსთან“ კონტრაქტი რამდენი წლით გააფორმეთ?

— ამ კლუბის პრეზიდენტი მიხეილ ქორქია ჩემი მეგობარია, უდიდეს პატივს ვცემ და მასთან კონტრაქტს ვერ დავდებ. მე აქ უვადო ხელშეკრულებით ვარ. სანამ კლუბის ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩამთვლის და ჯანმრთელობაც ხელს შემიწყობს, უეჭველად „ტორპედოში“ ვიქნები. არც იმას დავმალავ, ჩემი სპორტული კარიერის დამთავრებას ქუთაისში არ ვაპირებ.

— ჰოლანდიაში გამგზავრებამდე რა გეგმები გაქვთ?

— ადგილზე გავივლით წვრთნას. საკონტროლო თამაშებსაც ვაპირებთ. ამ შაბათს გორის „დილა“ გვყავს მოწვეული. შესაძლებელია, ფოთის „კოლხეთს“, „ლოკომოტივს“, „იბერიას“, „სამგურალს“ შევხვდეთ.

— მაინც რას უნდა ველოდოთ „ტორპედოსაგან“ უეფაზე?

— ჩვენთვის პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი არ არსებობს. რაიმეს დაგეგმვა მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ყველა ეტაპის წილისყრის შედეგები წინასწარაა ცნობილი. ევროპაში ძალიან ბევრი ჩვენზე ძლიერი გუნდი თამაშობს, სუსტებიც არიან, მაგრამ, მოდი და გამოიცანი... მე რომ გითხრათ, პროგრამა-მაქსიმუმი 3-4 წრის გავლაა, პროგრამა-მინიმუმი კი ორის და, მერე, მეორე წრეში „უდინეზე“ რომ შეგვხვდეს, რა გიპასუხოთ?! სურვილის დონეზე საუბარი მხოლოდ დილეტანტს და გულშემატკივარს შეუძლია. სურვილი და რეალობა კი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან

ბოსკამპმა ევროპის დინამო დაამუნჯა

მეოთხე დღეა, საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ჰოლანდიურ დაბა ეპეშია და ახალი სეზონისთვის ემზადება.

გუშინ, კი „დინამოს“ სასტუმროში შევეხმიანეთ და გავიგეთ, რომ... გუნდს დიღმის საწვრთნელი ბაზიდან თვითნებურად წასული ვალტერ გუჩუა შემატება. მას ბოდიში მოუხდია, მწვრთნელ იოჰან ბოსკამპისთვისაც გული მოულბია და ვარჯიშიც განუახლებია.

დღეს „დინამო“ ბრაზილიელ ფორვარდს ელის, რომლის სახელიც ჯერ ვერ დავადგინეთ.

„დინამოს“ სრულუფლებიანი წევრია მეკარე აკაკი დევაძე. ჩვენს ჩემპიონებს ისრაელის „ირონთან“ უკვე ყველანაირი პრობლემა მოუგვარებიათ. თუმცა კაკო ამჟამად თბილისშია. მას გერმანიის საელჩო რატომღაც ჰოლანდიაში გასამგზავრებელ ვიზას არ აძლევს.

კვლავ შეუძლოდაა დავით ჭიჭვეიშვილი. ბერძნებთან მატჩის დროს დაჭიმული კუნთი ჯერ არ მოშუშებია.

ბოსკამპი შეგირდებს დღეში სამჯერ, დილით შვიდზე, თორმეტის ნახევარზე და შუადღისას, ოთხ საათზე, ავარჯიშებს. დატვირთვები საკმაოდ დიდი ყოფილა. საღამოობით ფეხბურთელებს ლაპარაკის თავიც არ ჰქონიათ, თუმცა ოთხჯერადი კვებით ძალების აღდგენა ალბათ არ გაუჭირდებათ.

დაბოლოს, „დინამოს“ პირველი ამხანაგური მატჩი 10 ივლისს რომ ჰქონდა დაგეგმილი, ბოსკამპს აზრი შეუცვლია და ჰოლანდიური მეორე დივიზიონის ერთ-ერთი გუნდი საღღეისო მეტოქედ შეუგულებია.

კობა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲦᲐᲠᲬᲧᲐᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲬᲣᲮᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲐᲚᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ იტყვი... დღემდე ჩვენში ასე ყოფილა. როცა საფეხბურთო გუნდი იშლება, ყოველივეს ერთ მიზეზს უძებნიან — ფინანსურ სიდუხჭირეს. ამის კვალობაზე დღეს მართლაც უპრეცედენტო ფაქტის მოწმე ვართ. თუმცა რატომ ქართულ ფეხბურთს უცნაურობებს რა გამოულევს...

ძველი ანაგის „ღარწყალი“ X საიუბილეო ჩემპიონატის წინ შეიქმნა და ახალგამომცხვარი გუნდი მეორე ჯგუფის აღმოსავლეთი ზონის გათამაშებაში ჩაება. პირველი ლიგის სხვადასხვა კლუბების ფეხბურთელებს ბევრი არ უფიქრიათ და კარიერის გასაგრძელებლად ძველანგურ ახალ გუნდს მიაშურეს. იკითხავთ, რა გაუჭირდათ პირველლიგელებს ასეთი, მეორე ჯგუფის პერიფერიულ გუნდში თამაში რომ ამჯობინესო. სწორედაც რომ გაუჭირდათ. „ღარწყალი“ ფინანსურად ბევრ პირველლიგურ გუნდზე სოლიდურად გამოიყურებოდა. კლუბის პრეზიდენტმა ავთანდილ მანგოშვილმა სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და გუნდის საამშენებლოდ სოლიდური თანხებიც გამოყო. ყოველ შემთხვევაში, „ღარწყალი“ ნამდვილი ოაზისი იყო მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. კლუბის ფეხბურთელები სოლიდურ ხელფასებთან ერთად პრემიებსაც იღებდნენ. შემდეგ კი გაირკვა, რომ „ღარწყალის“ თანაზონელებთან და თანაჯგუფელებთან შედარებით სხვა უპირატესობაც ჰქონდა. მაძღარი გუნდი მშვენივრად ათამაშდა, ჩემპიონატი წაუგებელად დაასრულა და გადათამაშებაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. მანგოშვილმა სოფელში საფეხბურთო მეურნეობის გამართვასაც მიჰყო ხელი. ერთბაშად სამი სტადიონის მშენებლობა წამოიწყო და ბავშვთა სხვადასხვა ასაკის ჯგუფების ჩამოყალიბებასაც ჩაუყარა საფუძველი... „დინამო 2“-თან და მერე თსუ-სთან „ღარწყალის“ შეხვედრებს აღარ გავიხსენებთ, ამაზე თავის დროზეც საკმაოდ დაიწერა. ძველანაველებმა ვერ შეძლეს თბილისური ბარიერის დაძლევა და პირველ ლიგაში აღზევების ოცნება ოცნებადვე დაურჩათ.

მერე... მერე კი ხმები დაირხა ძველანაგელთა პირველ ჯგუფში აღზევებაზე. ამბობდნენ, შესაძლოა ფინანსურად შეჭირვებულმა „სიონმა“ პირველი ჯგუფის ადგილი ძველანაგელებს დაუთმოსო. ეს ხმები საფუძველს მოკლებული სულაც არ ყოფილა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა — „სიონმა“ დამოუკიდებლად, თავისი სახსრებით არჩია პირველი ლიგის ჭაპანის წევა. და დარჩა „ღარწყალი“, დარჩა კვლავ მეორეჯგუფელად.

შემდეგ კი ავთანდილ მანგოშვილის ჯერიც დადგა. მას გუნდის მომავალი უნდა გადაეწყვიტა და „ღარწყალის“ პრეზიდენტმაც არ დაახანა... სამწუხაროდ, ყოველივე ნაღვლიანად დასრულდა. — „მორჩა, ყოველივეს წერტილი დაესვა. მე კეთილი საქმის გაკეთება მსურდა, მაგრამ ამის საშუალება არ მომცეს, გუნდი დაიშალა. ახალი კანონებით, პირველ ლიგაში აღზევებას მინიმუმ ორი წელი სჭირდება, ამიტომ ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავ. რამდენიმე დღის წინ გუნდიდან წასვლის შესახებ განვაცხადე ვუთანაგრძნობ „ღარწყალის“ ერთგულ გულშემატკივარს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა“ — განაცხადა ჩვენთან საუბარში მანგოშვილმა.

ასე რომ, „ღარწყალი“ დაიშალა. პრეზიდენტს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ანზორ გძელიძემაც მიბაძა. იგი დღეს უმუშევარია და როგორც ამბობს, სამომავლოდ მწვრთნელობის არანაირი სურვილი არ აქვს. წავიდნენ ფეხბურთელებიც. აგერ, თბილისის „ლოკომოტივმა“ ორი ექსღარწყალელი უკვე შეიფარა — ბარამიძე და გოლეთიანი რკინიგზელებთან ერთად გადიან საუეფასთასო შეკრებას.

რა დარჩა? დარჩა იმედგაცრუებული ძველანაგელი ქომაგი (კახელებს ერთობ მტკივნეულად აღუქვამთ მომხდარი), ერთი დასრულებული და ორიც მშენებარე სტადიონი, იმედდაკარგული ბავშვთა საფეხბურთო კლუბი და მოგონება პირველ ლიგაში თამაშზე მეოცნებე გუნდისა, გუნდისა, რომელმაც დაარსების დღიდან დაუმარცხებელმა შეწყვიტა არსებობა.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲙᲐᲠᲜᲔᲕᲐᲚᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘᲐ

ᲐᲗ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲘ კვირის წინ „ბათუმის“ მთავარ მწვრთნელად იტალიელი სპეციალისტი რომ დაინიშნა, ამის შესახებ გაუწყეთ. ჩაიბარა თუ არა ჯანი კარნევალემ ქართული კლუბი, ორ დღეში სამშობლოში გაბრუნდა. ზღვისპირელთა გუნდის ერთ-ერთ დამრიგებელს, ამირან გოგიტიძეს საგარჯიშო კონსპექტი დაუტოვა და დაუბარა — ჩემს ჩამოსვლამდე ბიჭები ამ გეგმით მოამზადეო.

იტალიაში გამგზავრებამდე კარნევალემ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე მოინახულა და „ბათუმთან“ სამომავლო ურთიერთობებზე ესაუბრა. ლაპარაკია ერთ ან ორწლიან კონტრაქტზე.

კარნევალე დღეს დილით აპენინებიდან დაბრუნდა და საღამოს ვარჯიშსაც ჩაატარებსო — გვითხრა გუშინ ზღვისპირელთა გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა მევლუდ ცინარიძემ. რაც შეეხება კონტრაქტის ხანგრძლივობას, „ბათუმთან“ დაკავშირებით იტალიელ სპეციალისტს სერიოზული მიზნები აქვს და ალბათ, საქართველოში კარგა ხანს შეყოვნდებაო — განგვიმარტა ცინარიძემ.

ჯერჯერობით გუნდში კვლავ 32 ფეხბურთელი ვარჯიშობს და ჯანი კარნევალეს გადასაწყვეტია იმ ოცეულის შერჩევა, რომელიც ახალ სეზონში „ბათუმის“ ღირსებას დაიცავს.

ბოლო წლებში უცხოური შეკრებებით განებივრებული ზღვისპირელები წლეულს ტრადიციას დაარღვევენ. ვინაიდან გუნდი ევროსარბიელის მიღმა დარჩა, კლუბის ხელმძღვანელობამ საზღვარგარეთ გამგზავრება მიზანშეუწონლად მიიჩნია. მეათე ჩემპიონატის მეხუთადგილოსანი ბათუმში რჩება და ადგილზე გაივლის მთლიან სავარჯიშო ციკლს.

ზღვისპირელები ოთხი ამხანაგური შეხვედრის გამართვას აპირებენ. უახლოეს დღეებში ჯანი კარნევალე პირველად უხელმძღვანელებს გუნდს ფოთის „კოლხეთის“ წინააღმდეგ. თუმცა მატჩის თარიღი ჯერჯერობით დაუზუსტებელია. აი, 17 ივლისს კი შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი ქუთაისს ეწვევა და ხსენებული ტიტულების წლევანდელ მფლობელს, „ტორპედოს“ გაუჯიბრება. ამ შეხვედრის ამბავი ორივე მხარესთან შეთანხმებული ყოფილა.

ᲮᲕᲘᲩᲐ ᲡᲐᲜᲘᲫᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ XI ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘ�გᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

«Ა» ᲖᲝᲜᲐ			«Ბ» ᲖᲝᲜᲐ		
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ					
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ					
14.08	სიონი	: თბილისი	14.08	კოლხეთი	: ხობი
	სამგურალი	: ვიტ ჯორჯია		იბერია	: მერანი
15.08	ბათუმი	: დინამო	15.08	დილა	: თსუ
16.08	ლოკომოტივი	: არსენალი	16.08	გორდა	: ტორპედო
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ					
21.08	არსენალი	: დინამო	21.08	ხობი	: მერანი
	ვიტ ჯორჯია	: სიონი		ტორპედო	: დილა
	ლოკომოტივი	: სამგურალი		კოლხეთი	: გორდა
22.08	თბილისი	: ბათუმი	22.08	თსუ	: იბერია
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲘ					
29.08	სამგურალი	: არსენალი	29.08	გორდა	: ხობი
	ბათუმი	: ვიტ ჯორჯია		დილა	: კოლხეთი
	დინამო	: თბილისი	30.08	მერანი	: თსუ
30.08	სიონი	: ლოკომოტივი		იბერია	: ტორპედო
ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲢᲣᲠᲘ					
11.09	ვიტ ჯორჯია	: დინამო	11.09	ტორპედო	: მერანი
	ლოკომოტივი	: ბათუმი		კოლხეთი	: იბერია
	სამგურალი	: სიონი		გორდა	: დილა
12.09	არსენალი	: თბილისი	12.09	ხობი	: თსუ
ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲢᲣᲠᲘ					
18.09	სიონი	: არსენალი	18.09	დილა	: ხობი
	ბათუმი	: სამგურალი		იბერია	: გორდა
	თბილისი	: ვიტ ჯორჯია		მერანი	: კოლხეთი
19.09	დინამო	: ლოკომოტივი	20.09	თსუ	: ტორპედო
ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲢᲣᲠᲘ					
25.09	არსენალი	: ვიტ ჯორჯია	25.09	ხობი	: ტორპედო
	ლოკომოტივი	: თბილისი		გორდა	: მერანი
	სიონი	: ბათუმი		დილა	: იბერია
26.09	სამგურალი	: დინამო	26.09	კოლხეთი	: თსუ
ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲢᲣᲠᲘ					
02.10	თბილისი	: სამგურალი	02.10	იბერია	: ხობი
	ბათუმი	: არსენალი		მერანი	: დილა
03.10	დინამო	: სიონი		თსუ	: გორდა
	ვიტ ჯორჯია	: ლოკომოტივი	03.10	ტორპედო	: კოლხეთი
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ					
ᲛᲔᲠᲕᲔ ᲢᲣᲠᲘ					
16.10	დინამო	: ბათუმი	16.10	ხობი	: კოლხეთი
	ვიტ ჯორჯია	: სამგურალი		ტორპედო	: გორდა
17.10	თბილისი	: სიონი		მერანი	: იბერია
	არსენალი	: ლოკომოტივი	17.10	თსუ	: დილა
ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ					
23.10	დინამო	: არსენალი	23.10	მერანი	: ხობი
	სიონი	: ვიტ ჯორჯია		გორდა	: კოლხეთი
	სამგურალი	: ლოკომოტივი	24.10	დილა	: ტორპედო
24.10	ბათუმი	: თბილისი		იბერია	: თსუ
ᲛᲔᲐᲗᲔ ᲢᲣᲠᲘ					
30.10	თბილისი	: დინამო	30.10	ხობი	: გორდა
	ლოკომოტივი	: სიონი		კოლხეთი	: დილა
	ვიტ ჯორჯია	: ბათუმი		ტორპედო	: იბერია
31.10	არსენალი	: სამგურალი	31.10	თსუ	: მერანი
ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲢᲣᲠᲘ					
06.11	სიონი	: სამგურალი	06.11	იბერია	: კოლხეთი
	თბილისი	: არსენალი		დილა	: გორდა
07.11	ბათუმი	: ლოკომოტივი		თსუ	: ხობი
	დინამო	: ვიტ ჯორჯია	07.11	მერანი	: ტორპედო
ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲢᲣᲠᲘ					
13.11	სამგურალი	: ბათუმი	13.11	ხობი	: დილა
	არსენალი	: სიონი		გორდა	: იბერია
	ლოკომოტივი	: დინამო		კოლხეთი	: მერანი
14.11	ვიტ ჯორჯია	: თბილისი		ტორპედო	: თსუ
ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲢᲣᲠᲘ					
19.11	დინამო	: სამგურალი	19.11	თსუ	: კოლხეთი
20.11	თბილისი	: ლოკომოტივი	20.11	ტორპედო	: ხობი
	ვიტ ჯორჯია	: არსენალი		მერანი	: გორდა
	ბათუმი	: სიონი		იბერია	: დილა
ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ ᲢᲣᲠᲘ					
28.11	სამგურალი	: თბილისი	28.11	ხობი	: იბერია
	სიონი	: დინამო		დილა	: მერანი
	არსენალი	: ბათუმი		გორდა	: თსუ
	ლოკომოტივი	: ვიტ ჯორჯია		კოლხეთი	: ტორპედო

პირველი ლიგის დებიუტანტ „დინამო 2“-ს ოფიციალურად ეწოდა „თბილისი“, ხობის „კოლხეთს“ კი ფოთის „კოლხეთში“ რომ არ აგერიოთ, ამიერიდან ქალაქის სახელით მოვიხსენიებთ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲝᲛᲜᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲥᲛᲐ

ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲝ

რას გვერჩოდით, ასე რატომ გამოგვთათხეთ, ნუთუ წაგებით არავის წაუგია, ხომ შეიძლებოდა, სხვანაირად დაგეწერათო — შემოგვჩივლა ორი დღის უკან ფოთის „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ.

„კოლხეთი“ საშუალოზე დაბალი დონის, მაკედონიის „ცემენტარნიცასთან“ ორი მატჩის ჯამში 2:8 განადგურდა. ისე, შარშანდელ და წლევანდელ გუნდს შორის პროგრესი ნამდვილად შეიმჩნევა — „ცრვენა ზვეზდასგან“ ნაწვნევი 0:11, „ცემენტარნიცასთან“ 2:8-მ შეცვალა.

ერთს კი აუცილებლად ვიტყვით, რასაც წყალი არ გაუვა. „სარბიელისთვის“ ყველა გუნდი ერთია, პრივილეგიებით არავინ სარგებლობს. გვერწმუნეთ, „დინამო“, „ბათუმი“, „კოლხეთი“ ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება. „სარბიელი“ საქებარ სიტყვებს არასდროს იშურებს ღირსეულისთვის და როცა საჭიროა, არც კრიტიკას ერიდება.

რაც მოხდა, იმას ვერაფერი შეცვლის. ყველაფერზე ფაქტები ღაღადებენ, კოლხმა ქომაგმა უკვე მერამდენედ იხილა საყვარელი გუნდის განადგურება საკუთარი თვალით.

ასე გაგრძელება არ შეიძლება. გვეყო ამდენი სირცხვილი და თავის მოჭრა. ახალი სტრატეგიული გეგმა უნდა ჩამოვაყალიბოთ და ისე ვიმოქმედოთ. ერთი კი ნაღდია, „კოლხეთის“ შემადგენლობა უნდა გადახალისდეს, გეზი ახალგაზრდებზე უნდა ავიღოთ — დაახლოებით ეს უთქვამს გუშინწინ ფოთში გამართულ კრებაზე „კოლხეთის“ პრეზიდენტს ჯემალ ინაიშვილს.

ჯემალ ინაიშვილი

როგორც ჩანს, ბატონი პრეზიდენტი ძალიან შეუწუხებია კლუბის შედეგებს ევროთასებზე და ქვეშევრდომით, გუნდის დანარჩენ უფროსობას და მწვრთნელებს დაავალა, სასწრაფოდ შეიმუშაონ სტრატეგიული გეგმა და გუნდის უახლოეს კრებაზე წარმოადგინონ. ამ თავშეყრას, ფეხბურთელებიც დაესწრებიან.

დიახ, ბატონო. გუშინწინ „კოლხეთის“ ხელმძღვანელობა შეიკრიბა. ისაუბრეს, ითათბირეს, წარსული შედეგები შეაჯამეს, მაგრამ გადაწყვეტით, ვერაფერი გადაწყვიტეს, შემდეგი შეკრებისთვის გადადეს, როცა ფეხბურთელებიც დაესწრებიან.

მაკედონიელებთან განადურების შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი არ იმყოფება ამჟამად „კოლხეთში“. დარასელია, ჯულელი, ჩომახიძე, ტრაპაიძე ფოთში არ არიან. ამბობენ, დარასელია ისრაელში აპირებს მიბრუნებას, ჯულელი კი კვიპროსშია ბედის საძებრად წასულიო. „დინამოდან“ ნათხოვარი ჩომახიძე სადაა, არავინ იცის, ხოლო ტრაპაიძე მურთაზ ხურცილავასთან ვარჯიშობს „ლოკომოტივში“, აქვე ვარჯიშობენ დისციპლინის დარღვევისთვის ზედ ინტერტოტოს წინ გუნდიდან გაშვებულები— მიხეილ ქობულაძე და ჯონი კალანდაძე. თუმცა ფოთელები ირწმუნებიან, სანამ მათი მსურველი გუნდი სატრანსფერო თანხას არ გადაგვიხდის, ზუსტად იმდენს, რამდენსაც ვითხოვთ, ვერსად ითამაშებენო. „კოლხეთის“ დატოვების სურვილი ჯონი შალამბერიძესა და ელდარ გვასალიასაც გამოუთქვამთ. ერთი სიტყვით, როგორც გვითხრეს, ხვალინდელი დღე გადამწყვეტი იქნება „კოლხეთის“ ახალ ერაში.

გუშინწინდელი კრების შესახებ კი ფოთის „კოლხეთის“ პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილს ვთხოვეთ მცირე კომენტარი. იგიც სიამოვნებით გაგვესაუბრა:

— კრებაზე გასული სეზონის შედეგები შევაჯამეთ და შესაბამისი შეფასებაც მივეცით. პრინციპში „კოლხეთის“ გამოსვლა ორ ეტაპად განვიხილეთ. ეროვნული ჩემპიონატი და ევროთასები. ეროვნული ჩემპიონატის მიხედვით გუნდის გამოსვლა დადებითად შეფასდა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი ინტერტოტოს თასზე გუნდის გამოსვლასთან დაკავშირებით. „ცემენტარნიცასთან“ განცდილმა მარცხმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა, საერთო ჯამში კი შეფასება — უარყოფითი, ცუდი მივიღეთ. მე გეტყვით რატომ წავაგეთ ასე საშინლად მაკედონიურ „ცემენტარნიცასთან“ — საქმისადმი არაპროფესიული მიდგომის გამო, უპასუხისმგებლობა როგორც ფეხბურთელების, ისე მწვრთნელთა მხრიდან. გეკითხებით, არის კიდევ ვინმე დამნაშავე? „ცემენტარნიცა“ ნამდვილად არ იყო ისეთი ძლიერი გუნდი, რომ ჩვენ ასე საშინლად დავმარცხებულიყავით. ახლა კი ყველას დავავალე, შეიმუშავონ სამომავლოდ სტრატეგიული გეგმა, რას ვაპირებთ, რა გვსურს. ერთს აღვნიშნავ, გუნდი საგრძნობლად გადახალისდება. უკვე რამდენი ხანია, ერთი და იმავე შემადგენლობით ვთამაშობთ და შედეგი არაა...

ზოგიერთებთან შელევა მოგვიწევს. ძველებიდან თითო-ოროლა დარჩება გამოცდილი, გუნდი რომ სულ პირტიტველა ბიჭებით არ იყოს დაკომპლექტებული. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ფაქტია — „კოლხეთისთვის“ მოახლოებული სეზონი გარდამავალი ეტაპი იქნება, გუნდი ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის არ იბრძოლებს. ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება, ახალგაზრდებმა გამოცდილება შეიძინონ. მერე კი ... ერთი სიტყვით, ჯერ ჯერობით ამის თქმა შეიძლია. ახალ შეკრებაზე, რომელიც, ალბათ, ხუთშაბათს გაიმართება, ფეხბურთელებიც დაგვესწრებიან. ჩვენ ჩვენსას ვეტყვით, ისინი — თავისას და ასე. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, ამ დღეს თქმული ლიტონი სიტყვები არ იქნება და ეს საქმითაც დამტკიცდება.

გიორგი ვაშაკიძე

ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲒᲣᲩᲘ...

ᲐᲜᲣ ᲣᲗᲮᲐᲠᲘᲗ ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ

ვალტერ გუჩუა, „დინამოს“ ფეხბურთელი, ჰოლანდიელი ბოსკამპის ფავორიტი, დიღმის ბაზიდან უეცრად გაქრა. გუჩუა გაიქცაო, თქვეს და ათასი ჭორ-მართალი მოჰყვა გუჩუას მართლაც რომ უცნაურ საქციელს.

ნორმალური კონტრაქტი, სოლიდური ხელფასი და საქართველოში არსებული საუკეთესო პირობები ფეხბურთის სათამაშოდ. მაშ, რატომ გაიქცა გუჩუა?

საბოლოო სიმართლეს, ალბათ, ვერასოდეს შევიტყობთ, მაგრამ რახან ბოსკამპმა ფეხბურთელს ურჩობა აპატია, მასა და გუჩუას შორის კონფლიქტი გამოირიცხა. მწვრთნელ-მოთამაშეს არც არაფერი ჰქონიათ სადავო და გასაყოფი.

ერთ-ერთი ვერსიით, გუჩუას „დინამოდან“ „ლოკომოტივისკენ“ მიუწევსო გული. რა თქმა უნდა, შუაში მურთაზ ხურცილავა იდგა. ვალტერმა თავისი საუკეთესო თვისებები ხომ სწორედ ხურცილავას ხელმძღვანელობით წარმოაჩინა.

საფუძველსა და რეალობას მოკლებული როდია ეს ნათქვამი, მაგრამ ერთი წუთით დავფიქრდეთ. ნუთუ ისეთი გულუბრყვილოა გუჩუა, რომ ხურცილავას, ანაც „ლოკომოტივის“ გამო, საფეხბურთო კარიერა გაიმრუდოს?

ვალტერს „დინამოსთან“ არცთუ მოკლევადიანი კონტრაქტი აკავშირებს. თქმა არ უნდა, დირექტორატი მას სოლიდური სატრანსფერო გადასახადის გარეშე არავის დაუთმობს. ნათხოვრობა და მდგომარეობის გართულება გუჩუას რატომ უნდა აძლევდეს ხელს. „დინამოში“ იყო თუ სხვაგან, მას ხურცილავასთან ჩინებული ურთიერთობა ჰქონდა, აქვს და ექნება კიდეც. ასე რომ, გუჩუას სამდღიანი გაქრობა, არა მგონია, ხურცილავასა და „ლოკომოტივის“ ბრალი იყოს.

სიმართლე კი სულ სხვაგან იმალება და იგი გუჩუას ჯანმრთელობას უკავშირდება. სულ თავიდან მოვყვეთ. ვალტერი ძლიერ მცველად „სამტრედიაში“ ჩამოყალიბდა. ახლაც ბევრს ახსოვს მაშინდელი საიმედო და ჯანმაგარი სტოპერი, რომელსაც იშვიათად ნახავდით წაქცეულს. მაშინ მართლაც არაფერი უჭირდა გუჩუას.

მერე იტრიალა ბედის ბორბალმა. ფეხბურთელი „სამტრედიიდან“ „ოდიშში“ გადავიდა და ავადმყოფობის პირველი სიმპტომებიც მაშინ გამოჩნდა. გუჩუას საჭმლის მომნელებელი სისტემა მოეშალა. ნაჭამი არ ერგებოდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ვალტერ გუჩუა (მარცხნივ) და გივი დიდავა ლოკომოტიველი გიორგი ბალაშვილის (№2) დაჭერას ცდილობენ

და რამდენიმე წუთში საშინელი პირღებინება ეწყებოდა.

ცოდვას ვერ ვიტყვი, ცალკე „დინამომ“, ცალკეც მურთაზ ხურცილავამ არაფერი დაიშურეს ფეხბურთელისთვის. წამალი არ დაჰკლებია და ექიმი. საბოლოო დიაგნოზი ასეთი იყო — გუჩუა ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელია, მკურნალობის კურსმაც წარმატებით ჩაიარა, მაგრამ არის ერთი დიდი პრობლემა, ავადმყოფობამ მის ფსიქიკაზეც იმოქმედა და ახლა ვალტერს კარგი ფსიქოლოგი სჭირდებაო.

ფსიქოლოგი კი ვერა და ვერ მოინახა.

ბოსკამპმა ამის შესახებ არაფერი უწყოდა. მწვრთნელმა გამალებული სამზადისი ბრძანა. ახლა ბევრს „დინამოს“ ლიგაში მოხვედრა ესიზმრება (მე თუ მკითხავთ, ეს მორიგი უტოპიაა და მეტი არაფერი), ამას კი ბევრი ვარჯიში უნდა, რაც სირბილის გარეშე არ იქნება.

ბოსკამპმა თანაშემწე დე იონგს ფეხბურთელთა დიდი დატვირთვებისკენ მოუწოდა. ფრანსუასაც არავინ გამოურჩევია, სიქას აცლიდა დილა-საღამოს ბიჭებს.

ითმინა გუჩუამ და ერთხელაც სტრესი დაეწყო. მაშინ თქვა ძალაგამოლეულმა ფეხბურთელმა, თუ მე არ ვიქნი, თქვენი ლიგა და თქვენი ფეხბურთი ჭირსაც წაუღიაო. მოდი ახლა და გაამტყუნე კაცი, რომელსაც სამი წელია ნორმალურად სადილი არ უჭამია.

არც ბოსკამპს ვამტყუნებთ, მწვრთნელმა გუნდი სამედიცინო შემოწმებაზე გაუშვა, იქიდან შავით თეთრზე დაწერილი დასკვნა მოვიდა, ყველა ჯანმრთელიაო. ჯანმრთელმა კი ბევრი და დაუღალავად ირბინოსო, სიმართლეს იძახდა ჰოლანდიელი.

იოჰანი ფიქრიანი კაცი ჩანს. გუჩუას საქციელი გაუკვირდა და თან, ფეხბურთელის საბედნიეროდ, არ გაბრაზებულა. შეხვდა თავის ფავორიტს, მისი ახსნა-განმარტება მოისმინა და ყველაფერს მიხვდა.

გუჩუაც დღეს ჰოლანდიაში უნდა გაემგზავროს. მას სპეციალურ ვიტამინებს დაუნიშავენ, თუ საჭირო გახდა ხელოვნურ კვებასაც გამოუწერენ და ვალტერიც ცოტა სულს მოითქვამს.

ამით გუჩუას პრობლემა გადაიჭრა. გაუგებრობაც მოიხსნა, მაგრამ საკითხავი და სადავიდარაბო ის არის, რომ ბოსკამპი ყველა ჭირ-ვარამს ყველაზე ბოლოს გაიგებს-ხოლმე. ერთხელაც გვიან იქნება და ჰოლანდიელი ღმერთი არ გახლავთ, წამხდარ საქმეს რომ უშველოს. ერთი ჩვეულებრივი, საქმის მცოდნე სპეციალისტია, რომლის დარიც ევროპაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეგხვდება კაცს.

გუჩუა გუჩუად, მაგრამ „დინამოს“ პრობლემა ის არის, რომ ნახევარი გუნდი გუჩუასნაირი ჰყავს და ბოსკამპმა ეს არ იცის. ზოგს წნევა აწუხებს, ზოგსაც ორგანიზმში ჟანგბადის მოთხოვნილება აქვს დაქვეითებული, ერთს გული უჩქარდება, მეორე კი კვირაობით კუჭში ვერ გადის. მწვრთნელსაც ნელ-ნელა წინ დაუხვდება ეს პრობლემები და...

ევროპულ თუ მსოფლიოს ფეხბურთს გავეტოლოთო იძახიან, მაგრამ ბევრს ავიწყდება, რომ ქართულ ფეხბურთს ელემენტარული პირობები არ გააჩნია. ვის რაში სჭირდება მხოლოდ ლაპარაკი და არაფერი ლაპარაკის გარდა. ნაკრებს ბაზა დღესაც არ გააჩნია, თითზე ჩამოსათვლელია საქმის მცოდნე ექიმი და მასაჟისტი, არ არსებობს არავითარი აღდგენითი ცენტრი და ასე შემდეგ. არაფერს ვამბობთ გამართულ სტადიონებზე და კეთილმოწყობილ ბაზებზე. ჰოდა, ჯერ წვრილმანს მივხედოთ, მოვაგვაროთ უმნიშვნელო საკითხები და სერიოზულზე მერე ვიფიქროთ. სხვაგვარად წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია.

მამუკა კვანტალიანი

მარტინ დალინი (№10) მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე

მარტინ დალინი წავიდა

შვედეთის ნაკრების თავდამსხმელმა მარტინ დალინმა განაცხადა, რომ შესაძლოა ფეხბურთს თავი დაანებოს, ვინაიდან ზურგის ტრავმა ტანჯავს.

— არ მახსოვს, ბოლოს რომელ თამაშში გავიტანე გოლი, მაგრამ, ალბათ, იგი ჩემს კარიერაში უკანასკნელი იქნება — უთხრა თავდამსხმელმა ჟურნალისტებს და სევდიანად გაიღიმა.

რამდენიმე ხნის წინ მარტინ დალინი ბუნდესლიგის კლუბ „ჰამბურგში" გაანთხოვრა ინგლისის პრემიერლიგიდან გავარდნილმა „ბლექბერნმა". თუმცა, როგორც ჩანს, შვედი თავდამსხმელი გერმანიაში ფეხბურთს ვერ ითამაშებს.

დალინმა განაცხადა, რომ პირველად ზურგში ტკივილები ორი წლის წინ იგრძნო, „ბლექბერნში" ვარჯიშისას.

31 წლის ფეხბურთელი შვედური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი თავდამსხმელია. მან ნაკრებში ნათამაშებ 60 მატჩში 29 გოლი გაიტანა. დალინის კარიერის მწვერვალად 1994 წლის მსოფლიოს პირველობა ითვლება, როცა ნაკრების შემადგენლობაში იგი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს დაუფლა.

— ბედნიერი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ საყვარელ საქმეს ნაადრევად ვეთხოვები. მქონდა შესაძლებლობა, მეთამაშა ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში. ვიასპარეზე მსოფლიოს ჩემპიონატზე, ოლიმპიადაზე, მეტი რა უნდა ინატროს ფეხბურთელმა? — დასძინა დალინმა.

მსოფლიოს ჩემპიონატი 23 მაისს?

მიხელ ზენ რუფინენი

ფიფაზე საუბარი იმით დავიწყოთ, რომ ამ ორგანიზაციამ გადაწყვიტა იაპონიასა და კორეაში დაგეგმილი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, წინასწარ დაგეგმილთან შედარებით დროში ოდნავ ჩამოაჩოჩოს. ფიფაში მოქმედმა საორგანიზაციო კომიტეტმა იყოყმანა, იმსჯელა, მაგრამ ბოლოს მაინც გაითვალისწინა არგუმენტი, რომელიც ერთობ სერიოზული ჩანდა: ხსენებულ ქვეყნებში ივნისის მიწურულსა და ივლისის დასაწყისში ფეხბურთისთვის არასახარბიელო ამინდი იცის.

ფიფას ხელისუფლებმა გადაწყვიტეს მსოფლიოს ყველა საფეხბურთო კონფედერაციას დაეკითხონ, მისაღები იქნება თუ არა პირველობის 23 მაისს დაწყება.

მოსალოდნელია, რომ ამ თარიღს მხარს არ დაუჭერენ ევროპული ფედერაციები. ვინაიდან ბებერი კონტინენტის ქვეყანათა უმეტესობაში ეროვნული პირველობები მაისის ბოლომდე გრძელდება.

გარდა თარიღ-ამინდის საკითხისა, საორგანიზაციო კომიტეტმა იმსჯელა იაპონელთა თხოვნაზე, გაზარდონ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩასატარებელ შეხვედრათა რაოდენობა. კერძოდ, იაპონელებს სურდათ პირველობის მეორე ეტაპიც ჯგუფური ყოფილიყო და არა პლეი-ოფი, მაგრამ უარი მიიღეს.

დადგინდა, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიმართება 64 შეხვედრა, როგორც შარშან, საფრანგეთ 98-ზე იყო, ხოლო ჯგუფური ეტაპის მერე პლეი-ოფი ჩატარდება.

აზიის ფეხბურთის კონფედერაციის თხოვნა, 2002 წელს, მათი კონტინენტისთვის დამატებითი ადგილები გამოჰყონ, ხელახალი განხილვისთვის გადასდეს.

ბუნებრივია, საუბარი კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატსაც შეეხო, რომლის შესახებაც, „მანჩესტერ იუნაიტედის" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასთან გაყრის შემდეგ მთელი პლანეტა ალაპარაკდა. ამ საკითხზე ფიფას გენერალურმა მდივანმა მიხელ ზენ რუფინენმა ილაპარაკა. მან განაცხადა, რომ ჩემპიონატის ჩატარება და დანერგვა, ფაქტობრივად გადაწყვეტილია. მისი თქმით იანვარში, ბრაზილიაში დანიშნული რვაგუნდიანი ტურნირი ტელეკომპანიათა ინტერესის საგანსაც წარმოადგენს.

მოგეხსენებათ, ფიფას ეს გადაწყვეტილება სასტიკად გააკრიტიკა ევროპული ფეხბურთის განმგებელმა უეფამ, რომელმაც კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატს საერთაშორისო კალენდრის იგნორირების მცდელობა უწოდა. ზენ რუფინენმა ამ კრიტიკას უსამართლო უწოდა:

„კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატი გახლავთ ფეხბურთის ერთადერთი შესაძლო ნაწილი, რომელიც ფიფას აქტივში არ ჰქონდა. ამ საკითხში თანადგომა ტელეპარტნიორებს ვკითხეთ, რომელთაგანაც პასუხს ივლისამდე ველით. ჩვენი მიზანი სახეობის განვითარებაა და არა მხოლოდ ფულის მოხვეჭა. ეს ნაბიჯი აუცილებლად გადასადგმელი იყო, სანამ მას კერძო, საფეხბურთო სამყაროსგან გარეთ მყოფი კომპანიები გადადგამდნენ".

მიუხედავად იმისა, რომ ამ, ერთი შეხედვით კარსმომდგარი ტურნირის თარიღები და კალენდარი ჯერ არ დამტკიცებულა, ზენ რუფინენმა განგაშის საბაბი არ არსებობსო, განაცხადა. მისი თქმით ფიფა თავის მომავალს კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვება-დამარცხებაზე სულაც არ აგებს.

„ყველაფერი ბუნებრივად უნდა მოხდეს. მსოფლიოს ფეხბურთის კალენდარიც თავისთავად უნდა შეჯერდეს, ხოლო ამ შეჯიბრების სასამართლო პროცესად ქცევა მიზნად არავის აქვს დასახული" — დააგვირგვინა გენერალურმა მდივანმა.

ჩრდილოეთიდან სამხრეთში

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

ნორვეგიის ჩემპიონატის მთავარი მეგოლე სიგურდ რუშფელდტი „რუსენბორგიდან" პორტუგალიურ „ბენფიკაში" გადასვლას დაყაბულდა. „ბენფიკამ" ჩვენი პირობები დააკმაყოფილა" — განაცხადა „რუსენბორგის" მწვრთნელმა ნილს სკუტლემ — „ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ კვირაში რუშფელდტი ლისაბონის გუნდის მოთამაშე გახდება".

თავიდან ნორვეგიელები შიშობდნენ, რომ „ბენფიკა" 30 მილიონ ნორვეგიულ კრონს (3,80 მილიონი დოლარი) ვერ გადაიხდიდა და ამიტომაც პორტუგალიურ კლუბს საბანკო გარანტიას სთხოვდა. მას მერე, რაც ყველაფერი მოგვარდა, ერთადერთ საკითხად მოთამაშის სამედიცინო შემოწმება იყო დარჩენილი.

26 წლის რუშფელდტი „რუსენბორგს" 1996 წელს ჩრდილოური „ტრომსოდან" 7,5 მილიონი კრონის ფასად შეუერთდა. მიმდინარე სეზონში მან 13 შეხვედრაში 15 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეს ფორვარდი გასულ სეზონში 27 გატანილი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ახალ სეზონში „რუსენბორგი" ავტომატურადაა შეყვანილი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფებში განთესილ გუნდებს შორის.

გასულ სეზონში რუშფელდტმა ლიგის მატჩში თურქული „გალათასარაის" წინააღმდეგ, ჰეთ-ტრიკი შეასრულა. მაშინ იგი ამბობდა, რომ თუ „რუსენბორგიდან" სადმე გადავა, ეს ინგლისური პრემიერლიგის გუნდი იქნება.

დამშვიდობება და გახსენება

ვლადიმერ იუგოვიჩი

იუგოსლავიელი ნახევარმცველი ვლადიმირ იუგოვიჩი საბოლოოდ დაემშვიდობა მადრიდის „ატლეტიკოს". იგი გაისად მილანის „ინტერში" ითამაშებს.

ფეხბურთელი, რომელიც „ატლეტიკოში" ერთი წლის წინ გადავიდა რომის „ლაციოდან", „ინტერმა" 7,3 მილიონ დოლარად შეიძინა.

იუგოსლავიის ნაკრების ნახევარმცველმა, რომელსაც ტრავმების გამო თითქმის ნახევარი სეზონის გამოტოვება მოუხდა, იტალიურ კლუბში სამედიცინო შემოწმება რამდენიმე დღის წინ გაიარა. მიუხედავად თითქმის გაცდენილი სეზონისა, რომლის განმავლობაში იუგოვიჩმა მხოლოდ სამი გოლის გატანა მოახერხა, იგი ესპანურ სეზონს უფრო დადებითად მიიჩნევს, ვიდრე უარყოფითად.

— ესპანეთში ერთადერთი პრობლემა მაწუხებდა — ვერ ვთამაშობდი იმდენ შეხვედრას, რამდენიც მინდოდა — განაცხადა ფეხბურთელმა — მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობ. ესპანური ფეხბურთი დავაჭაშნიკე, იქაური ქომაგებითაც ძალიან მოვიხიბლე.

იუგოვიჩი იმედოვნებს, რომ „ინტერში" უფრო კარგად და მეტს ითამაშებს.

ნაპოლის ნათელი მომავლისთვის

დიეგო მარადონას (№10) განუმეორებელი გოლი

რომის ერთ შეძლებულ მოქალაქეს ერთ დროს სახელოვანი იტალიური კლუბის, „ნაპოლის" შეძენა მოუწადინებია.

აურელიო დე ლაურენტისმა, მძლავრი საწარმოს მფლობელმა, განაცხადა, 25 მილიონ დოლარს გავიღებ, რათა „ნაპოლის" მფლობელი გავხდე და კიდევ 25 მილიონ დოლარს გადავიხდი, კლუბის ამჟამინდელ შემადგენლობასთან (ფეხბურთელებთან და თანამშრომლებთან) ახალი კონტრაქტები რომ გავაფორმოო.

ნეაპოლურ კლუბს დღესდღეობით ბიზნესმენი კორადო ფერლაინო ფლობს, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ გულშემატკივართა სიყვარული ვერ მოიპოვა, არ სურს კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის გაყიდვა.

დიეგო მარადონამ, რომელთანაც უშუალოდაა დაკავშირებული „ნაპოლის" უდიდესი მიღწევები, შარშან შემოდგომაზე განაცხადა, მზად ვარ, კლუბს დავეხმარო, ოღონდაც კლუბის მმართველთა შორის ადგილი დავიმკვიდროო. კორადო ფერლაინომ არგენტინელის წინადადებას ყურიც არ ათხოვა.

„ნაპოლი" აგერ უკვე ორი სეზონია, სერია B-ში თამაშობს, როცა სულ რაღაც ათი წლის წინ ქვეყნის და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო.

კლუბის ყოფილი თავმჯდომარე რობერტო ფიორე დე ლაურენტისის პრესკონფერენციას ესწრებოდა და ფერლაინოს მოქმედებას მკაცრად აკრიტიკებდა.

— შეიძინა თუ არა ფერლაინომ „ნაპოლი", პირადი და კლუბის საქმეები ერთმანეთში აურია. ამიტომაცაა, „ნაპოლის" მდგომარეობა უკეთესობისკენ რომ არ შეცვლილა — განაცხადა ფიორემ.

„ნაპოლის" ოფისთან დე ლაურენტისის პრესკონფერენციისას 150-მდე ქომაგი შეიკრიბა და ფერლაინოს გადადგომა მოითხოვა.

...დიეგო არმანდო მარადონამ „ნაპოლის" ორჯერ მოაგებინა იტალიის ჩემპიონატი, ხოლო 1987 წელს „სკუდეტოსთან" ერთად გუნდმა ქვეყნის თასიც მოიპოვა. 1990 წელს „ნაპოლი" იტალიის სუპერთასის მფლობელი ხდება, ხოლო ერთი წლით ადრე უეფას თასს ეუფლება. ყველა ეს წარმატება მარადონას დამსახურებაა.

1992 წელს დიეგო კლუბიდან წავიდა. მას შემდეგ გუნდს აღარაფერი მოუგია.

ირაკლი ილაშვილი

დააკლდება თუ მოემატება?

ბელგრადის ახალი ამბების სააგენტო „ბეტას" ცნობით, კოსოვოში შექმნილი საომარი ვითარების გამო კლუბი „პრიშტინა" შესაძლოა ახალი სეზონიდან იუგოსლავიის ჩემპიონატს გამოეთიშოს.

ბრანკო ბულატოვიჩმა, იუგოსლავიის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ „პრიშტინაში" მოთამაშე ყველა იუგოსლავიელმა ფეხბურთელმა კლუბი კარგა ხანია, დატოვა. გუნდიდან წავიდნენ იუგოსლავიელი თანამშრომლებიც.

— არც ერთი იუგოსლავიელი კლუბში არ დარჩენილა — თქვა ბულატოვიჩმა — კლუბი აგერ უკვე ორი კვირაა, არ ვარჯიშობს და საერთოდ, ყოველგვარი მოქმედება შეწყვიტა. მართალია, „პრიშტინა" იურიდიულად მოქმედი კლუბია, მაგრამ ეს მხოლოდ საბუთებში, ისე კი...

ბულატოვიჩისავე თქმით, თუ „პრიშტინამ" იუგოსლავიის ჩემპიონატში ჩაბმა ვერ მოახერხა, მის ადგილს არავინ დაიკავებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის პირველობაში 21 კლუბი ჩაერთვება.

იუგოსლავიის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა ახალი სეზონიდან 18-დან 22 გუნდამდე უნდა გაზრდილიყო.

მას შემდეგ, რაც ნატო იუგოსლავიის დაბომბვას შეუდგა, იუგოსლავიის ჩემპიონატი ფინიშამდე ათი ტურით ადრე დასრულებულად გამოცხადდა. ფეხბურთის ასოციაციამ ნაადრევად დასრულებულ პირველობაში ბოლო ადგილზე გასული კლუბები არ დააქვეითა, სამაგიეროდ, ლიგას ოთხი ახალი გუნდი შემატა.

შვედეთი

13-ე ტური. დიურგარდენი — იორებრო 0:1; ფრიოლუნდა — აიკ 0:1

იორგრიტე	13	7	5	1	26:9	26
ჰელსინგბორგი	12	8	1	3	20:11	25
აიკ	13	7	3	3	20:10	24
იორებრო	13	7	1	5	14:15	22
ჰალმსტადი	13	6	3	4	22:13	21
კალმარი	13	6	2	5	17:19	20
ტრელებორგი	13	5	4	4	24:19	19
ფრიოლუნდა	13	5	3	5	15:18	18
გიოტებორგი	12	3	5	5	12:18	14
მალმიო	12	3	3	6	15:21	12
ელფსბორგი	13	3	3	7	19:26	12
დიურგარდენი	13	3	3	7	15:24	12
ჰამარბიუ	13	2	5	6	14:21	11
ნორჩიოპინგი	13	2	5	6	11:20	11

ქირავდება
ერთოთახიანი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
Tel: 931572

39th. Copa América
Paraguay '99

A ჯგუფი

პარაგვაი 1:0 პერუ

1:0 სანტა კრუსი (87)

პარაგვაი: ტავარელი, არსე, კანისა, გამარა, ტოლედო, გავილანი, ენსისო, აკუნია, ოველარი (პარედესი 46), ბენიტესი (კაბალიერო 70, გონსალესი 90), სანტა კრუსი

პერუ: იბანეზი, გუადალუპე, ხოსე სოტო, რებოსიო, ოლივარესი, პერედა (ხორხე სიტო 81), ველასკესი, სიურლინა, პალასიოსი (ოლსენი 68), პისარო, მენდოსა

გაფრთხილება: არსე (52), გავილანი (82)

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

ორი დაუმარცხებელი მეტოქე დაუპირისპირდა ერთმანეთს — პერუს, რომელსაც ორივე შეხვედრა მოეგო, პირველ ადგილზე შეეძლო გასვლა, მასპინძელი პარაგვაი კი, რომელიც ასევე წაუგებელი იყო, არაფრის დათმობას აპირებდა.

სიცივემ თავისი დაღი დაამჩნია მატჩს — გუნდები თავგამოდებით არ თამაშობდნენ, იცოდნენ, რომ ფრეც აძლევდათ ხელს, თუმცა მასპინძლებმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანეს. დღესდღეობით ყველაზე იმედისმომცემმა პარაგვაელმა ფეხბურთელმა როკე სანტა კრუსმა, მიუნხენის „ბაიერნის“ საკუთრება რომაა, გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

შეხვედრის ფრედ დასრულებამდე ორადორი წუთი რჩებოდა — სანტა კრუსმა ის-ის იყო, რობერტო აკუნიასგან ბურთი მიიღო, უმალ მეკარე იბანიესიც გააბითურა და გოლი შეაგდო. ბურთი თავდამსხმელისთვის ამ გათამაშებაზე მესამე აღმოჩნდა და ამ მაჩვენებლით იგი ბრაზილიელ ამორობოს გაუთანაბრდა.

— გოლმა ძალიან გამახარა. ახლა მეოთხედფინალში ვართ და უფრო მეტისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ისე, ძალიან მინდა, თასი შინ დავიტოვოთ. კარგა ხანია, დიდი წარმატებისთვის აღარ მიგვიღწევია — განაცხადა სანტა კრუსმა.

პერუელთა მწვრთნელი ხუან კარლოს ობლიტასი მარცხის მიუხედავად კმაყოფილი იყო: „ჩვენ მეოთხედფინალში გავედით და ეს კარგია. მსურს, გუნდმა უფრო დიდ შედეგს მიაღწიოს, ვიდრე ორი წლის წინ“. 1997 წელს, ბოლივიაში, პერუ მეოთხედფინალში დამარცხდა ბრაზილიასთან 0:7.

სანამ სანტა კრუსი ერთადერთ გოლს გაიტანდა, მეტოქეებმა რამდენჯერმე საოცარი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს.

59-ე წუთზე პარაგვაელმა მიგელ ბენიტესმა ორი მეტრიდან ბურთი ხარიხას მოარტყა, მეორე დარტყმა კი მეკარემ აულო.



REUTERS კაბალიეროდან

იაპონია — ბოლივია 1:1. მორენომ (№9) იაპონელ იტოს გაასწრო

აქ ყველაფერი დამთავრდა

რამდენიმე წუთის შემდეგ პერუელმა ანდრეს მენდოსამ ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა.

69-ე წუთზე პარაგვაელი დენის კანისა აფუჭებს ხელსაყრელ მომენტს — კარიდან ერთ მეტრში მყოფი ბურთს ძელს არტყამს.

ახლა ეს არავის აინტერესებს — ორივე გუნდი მეოთხედფინალშია და მთავარიც ესაა.

იაპონია 1:1 ბოლივია

0:1 ე. სანჩესი (52), 1:1 ლოპესი (75პ)

იაპონია: ნარაძაკი, მორიოკა, იჰარა, აკიტა, ჰატორი, ფუჯიტა (ოკუ 63), მოჩიძუკი, იტო, ნანამი (მიურა 70), ლოპესი, ოკანო (ჯო 76)

ბოლივია: ფერნანდესი, რიბერა, პენია, ო. სანჩესი, კასტილიო (ეჩევერი 75), კრისტალდო, ტუფინიო, ე. სანჩესი, გუტიერესი, ანტელო, მორენო (კინტეროსი 46)

გაფრთხილება: იჰარა (49)

გაძევება: ო. სანჩესი (44), იჰარა (82)

მსაჯი: ბაირონ მორენო (ეკვადორი)

ბოლივია ჯგუფში ჩარჩა — რომ მოეგო, ეგებ გასულიყო კიდეც მეოთხედფინალში, მაგრამ ახლა ეს გამორიცხულია. მეორე ტაიმში სამხრეთამერიკელები კაცნაკლულნი თამაშობდნენ. მართალია, ერვინ სანჩესის ლამაზი გოლით (ბოლივიელმა სტანდარტული სიტუაცია მშვენივრად გამოიყენა), კარგა ხანს ამარცხებდნენ მეტოქეს, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს. გაიაპონელებულმა ბრაზილიელმა ვაგნერ ლოპესმა პენალტი გაიტანა.

— სამწუხაროა. თავი მეოთხედფინალისტად წარმომედგინა, მაგრამ თუ ბედი ასე გვიმუხთლებდა, არ მეგონა — განაცხადა ბოლივიელთა მწვრთნელმა ექტორ ვეირამ.

ლაშა გოდუაძე

პარაგვაი	3	2	1	0	5:0	7
პერუ	3	2	0	1	5:3	4
ბოლივია	3	0	2	1	1:2	2
იაპონია	3	0	1	2	3:8	1

REUTERS კაბალიეროდან

პარაგვაი — პერუ 1:0. პარაგვაელი მიგელ ბენიტესი პერუელებთან ორთაბრძოლისას

ფეხბურთის რუკასთან

უნგრეთის ნაკრების მცველი, პალ ლაკოში „დიორი ეტოდან“ „ფერენცვაროშში“ გადასვლას დაყაბულდა. ლაკოში 25 წლის ფეხბურთელი გახლავთ, რომელსაც უნგრეთის ჩემპიონატის უმაღლეს საფეხბურთო ლიგაში 150-ზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული. ჯერჯერობით მოთამაშე სამედიცინო შემოწმების ობიექტია და თუ ყველაფერი კარგად იქნა, მხარეები კონტრაქტის საბოლოო ვარიანტზე შეთანხმდებიან.

ინგლისური „ასტონ ვილას“ ფორვარდი, სტენ კოლიმორი, გუნდის მწვრთნელის, ჯონ გრეგორის განცხადებით ბერძნულ „პანათინაიკოსთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას. გრეგორიმ მოყვა, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 28 წლის კოლიმორი გასულ შაბათ-კვირას ათენში იყო, რათა განეხილა „პანათინაიკოსის“ 4,73 მილიონიანი წინადადება. ასეა თუ ისე, ბირმინგემელები, რომელთაც თავის დროზე კოლიმორში სარეკორდო თანხა, 11,03 მილიონი დოლარი გადაიხადეს, ზარალში დარჩებიან. გრეგორიმ თქვა: „ჯერ ვერაფერს გეტყვით იმის თაობაზე, თუ რა მოხდა ათენში. ვიცი, რომ ამ ფეხბურთელით ესპანური „სელტაც“ იყო დაინტერესებული“. შეგახსენებთ, რომ კოლიმორი ბოლო სამი თვის განმავლობაში ჩამოცილებული იყო მოედანს. მას დეპრესია ჰქონდა და საავადმყოფოში იწვა. გასულ პარასკევს ფეხბურთელი „ვილას“ საწვრთნელ ბაზაზე მივიდა ვარჯიშის განსაახლებლად, მაგრამ გრეგორიმ თქვა: „ყველაფერი მალე რომ გაირკვეს, ყველასთვის კარგი იქნებოდა“. „ასტონ ვილაში“ კოლიმორისთვის ნომრიანი მაისურა არ მიუციათ და იგი არც ნიუ-იორკის ოთხთა ტურნირზე მიჰყავთ. საინტერესოა, რომ თუ ფორვარდი „პანათინაიკოსში“ გადავა, შესაძლოა იმავე ტურნირზე „ვილას“ წინააღმდეგ ითამაშოს.

ბრაზილიელი რონალდინიო იმედოვნებს, რომ სეხნია რონალდოს კვალს გაჰყვება და „ბარსელონაში“ ამოჰყოფს თავს. ვისაც უკვირს, რატომაა რონალდინიო და რონალდო ერთი და იგივე სახელი, შევახსენებთ, რომ რონალდინიო იგივეა, რაც რონალდუნია, რონალდიკო ან რონალდუკა. მისი სრული სახელი რონალდო ასისი გახლავთ, ხოლო ვინც „კოპა ამერიკას“ უცქერს, ნახავდა მის ლამაზ გოლს ვენესუელას კარში. მოკლედ, ამ დღეებში რონალდინიომ განაცხადა, რომ მზადაა ევროპულ გრანდებში სათამაშოდ. „მე ევროპაში თამაშის შესაძლებლობას ხელიდან ვერ გავუშვებ. „კოპა ამერიკას“ მერე უსიკვდილოდ ევროპაში უნდა წავიდე. ისიც ნაფიქრი მაქვს, რომ ამწუთას იტალიაში თამაშს ესპანეთში გამოსვლა მიჯობს, ხოლო თუ სულაც ბარსელონაში ამიყვანეს, ჩინებული იქნება. იქ ხომ რომარიოს, რონალდოს და რივალდოს უთამაშიათ. ამ გუნდში ყოველთვის არიან ბრაზილიელები. თანაც, სულაც არ მგონია, რომ ევროპაში სათამაშოდ ძალიან ახალგაზრდა ვარ. ჩემს კლუბთან, „გრემიოსთან“ ერთად ნამყოფი ვარ საზღვარგარეთ და ვიცი ეს რაც არის. ნებისმიერ გუნდში შემიძლია თამაში. არც „კამპ ნოუს“ ხსენებაზე მიკანკალებს მუხლები“.

იტალიური „რომას“ „ვესტ ჰემის“ მცველის, რიო ფერდინანდის შეძენა სურს. „მოლაპარაკებები რამდენიმე დღეში დამთავრდება“ — განაცხადა რომაელთა პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ, რომელიც გუშინ ლონდონს გაემზავრა. როგორც ამბობენ, 20 წლის ფეხბურთელის შესაძენად „რომამ“ „ვესტ ჰემს“ 21 მილიონი დოლარი შესთავაზა. რიო ფერდინანდს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ხუთი თამაში აქვს ჩატარებული. იტალიური სპორტული გაზეთი „გაზეტა დელო სპორტი“ იმასაც კი წერდა, რომ ფერდინანდმა წლიური 1,1 მილიონიანი გასამრჯელოს საფასურად უკვე განაცხადა მარადიულ ქალაქში ხუთი წლით გადასვლაზე თანხმობა. თურმე რომაელებს ფერდინანდის ყიდვა თავში აზრად მას მერე მოუვიდათ, რაც „ტოტენჰემ ჰოთსფურმა“ სოლ კემპბელის მიყიდვაზე კატეგორიული უარი განუცხადა.

ბოსნიელი ნახევარმცველი ელვირ ბალიჩი, თურქული გაზეთების ცნობით, „ფენერბაჰჩედან“, 20 მილიონი დოლარის საფასურად, მადრიდის „რეალში“ გადავიდა. ცნობებში წერია, რომ ბალიჩმა და ორი კლუბის წარმომადგენლებმა ჟენევაში საუბრის შემდეგ ხელი ხელს დაჰკრეს და ხუთწლიან კონტრაქტზე მორიგდნენ. „ფენერბაჰჩეს“ პრეს მდივანს, ოგუზ ექენს უთქვამს: „ვგონებ, რაც გადმოსცეს 99 პროცენტით სიმართლეა“. მასვე დაუძენია, რომ დეტალებს, მოლაპარაკებაზე წასული ჯგუფის დაბრუნებამდე ვერ იტყვის. აღსანიშნავია, რომ რაც „რეალის“ მწვრთნელად ჯონ ტოშაკი დანიშნეს, ესპანეთის სამეფო კლუბი ბალიჩის სტამბოლიდან წაყვანას ლამობდა. თავად „ფენერბაჰჩეში“ კი ბალიჩი, გასული სეზონის წინ, „ბურსასფორიდან“ 12,8 მილიონ დოლარად გადავიდა.

ლატვიის ჩემპიონატში ორშაბათს ერთი შეხვედრა გაიმართა: რიგის „სკონტომ“ „მეტალურგსს“ 3:2 მოუგო. 12 თამაშიდან 30 ქულით ლიდერობს „სკონტო“, იმდენივე მატჩიდან 23 ქულა აქვს „მეტალურგსს“, რომელიც მეორე ადგილზეა, ხოლო მესამეზე მყოფ „ვენტსპილსს“ 10 თამაშში 22 ქულა აქვს დაგროვებული.

გერმანული „ლევერკუზენის“ სათადარიგო მეკარე დირკ ჰაინენი ამბობს, რომ ამიერიდან ინგლისური „ლივერპულის“ კარს დაიცავს. 28 წლის გოლკიპერის განცხადებით, მისი ბუნდესლიგის გუნდიდან წასვლის მიზეზი ის გახლდათ, რომ ლევერკუზენში მას ადამ მატიშეკს ამჯობინებდნენ და შესაბამისად, სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა. „მეკარისთვის სკამზე ჯდომაზე უარესი არაფერია“ — განაცხადა ჰაინენმა. ლევერკუზენელები კი ახალი სეზონისთვის სამზადისს შეუდგნენ. როგორც ამბობენ, „ლივერპული“ ჰაინენში 6,28 მილიონ დოლარს იხდის.

ესპანეთის სამეფო კლუბად წოდებული მადრიდის „რეალის“ განცხადებით, იგი სულაც არ აპირებს თავისი ჰოლანდიელი და ზანგი ფეხბურთელის, კლარენს ზეედორფის 30 მილიონ დოლარზე ნაკლებად გაყიდვას. ამბობენ, რომ „რეალს“ რომაულმა „ლაციომ“ შესთავაზა, სანაცვლოდ, 27,64 მილიონი დოლარი, მაგრამ ესპანელთა პრეზიდენტს, ლორენსო სანსს, ახალი, დიდი „რეალის“ აგება აქვს განზრახული და მოთამაშეებს იაფად არ ელევა. სანსმა რადიოში თქვა: „ზეედორფს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავყიდი, თუ ვინმე 30-35 მილიონს შემომთავაზებს“. ნახევარმცველი გამოცდილების მიუხედავად მხოლოდ 23 წლისაა. „რეალამდე“, იგი „აიაქსსა“ და „სამპდორიაში“ გამოდიოდა.

არგენტინელი მეკარე გერმან ბურხოსი „რივერ პლეიტიდან“ ესპანურ „მალიორკაში“ გადავიდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ იგი კუნძულელთა კარში თავის მორწმუნე მეგობარსა და თანამემამულეს, კარლოს როას შეცვლის. ფინანსურ დეტალებზე არაფერი თქმულა.

ესპანეთში შიდა ტრანსფერია: „ვალენსიამ“ და „ბარსელონამ“ მოილაპარაკეს, რომ თავდამსხმელი, ოსკარ გარსია, კატალონიის დედაქალაქიდან „ვალენსიაში“ 6,14 მილიონ დოლარად გაიყიდება. ერთი კვირის შემდეგ ფეხბურთელი თაფლობის თვეს მოითაფლებს და მოედანს დაუბრუნდება. ოსკარი, რომლის ყიდვაც აქამდე ინგლისურ „ჩელსის“ უნდოდა, „ბარსელონადან“ ტყუპისცალ რობერს გაჰყვა. იმ ოხერმა რობერმა ძმაზე არანაკლები ვარიანტი ნახა: ფრანგულ „მონაკოში“ გადავიდა 4,61 მილიონი დოლარის საფასურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეკენბაუერის აზრით

ფრანც ბეკენბაუერი

სარბიელის არქივიდან

ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გერმანიაში ჩატარების მომხრეთა ორგანიზაციის ლიდერია, განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადაწყვეტილება, იასპარეზოს საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატში, მართებულია.

იანვარში ბრაზილია პირველ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს, რომელშიც ინგლისის ჩემპიონის, თასის მფლობელ და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარდა კიდევ შვიდი კლუბი ითამაშებს.

ბეკენბაუერს, ყველაფრის მიუხედავად, მიაჩნია, რომ მანჩესტერელთა მონაწილეობა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში ინგლისის 2006 წლის მსოფლიოს პირველობის პროპაგანდაზე დადებით ზეგავლენას ვერ მოახდენს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელთა აზრით, რომელთაც ქვეყნის სპორტის მინისტრი ტონი ბენქსიც უჭერს მხარს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში თამაში ერთობ წაადგება ქვეყნის პრეტენზიას 2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის თაობაზე.

ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც დღესდღეობით ლოს ანჯელესში იმყოფება, თვლის, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს, თუმც არა როგორც რომელიმე ორგანიზაციის ინტერესების დამცველად, არამედ ევროპული ფეხბურთის სიძლიერის დასამტკიცებლად. მანვე განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მანჩესტერელებს ასოციაციის თასის გათამაშებაზე უარის თქმა მოუწევთ, გადაწყვეტილება ყოველმხრივ მართებულია. „ასოციაციის თასის გათამაშება ეროვნული პრესტიჟია, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი კი — ევროპული. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში აუცილებლად უნდა ითამაშოს“.

მსოფლიოს 1974 და ევროპის 1972 წლის ჩემპიონმა ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც ამავდროულად მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტიცაა, უარყო ხმები, თითქოსდა მისი კლუბი მზადაა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრაზილიაში არგამგზავრების შემთხვევაში ინგლისელთა ადგილი დაიკავოს.

— რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგა რომ მოგვეგო, ბრაზილიაში აუცილებლად გავემგზავრებოდით, მაგრამ ახლა განზე გადგომა მოგვიწევს — განაცხადა ბეკენბაუერმა.

გულისსწორნი — დევიდ და ვიქტორია წალკოტში ნებივრობენ

სიყვარულო ძალსა შენსა

მთელი ინგლისი ელოდა მათ ქორწილს — შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა დევიდ ბექემმა და პოპულარული ჯგუფის „სფაიზ გერლსის“ წევრმა ვიქტორია ადამსმა ჯვარი დაიწერეს.

ირლანდიის დედაქალაქ დუბლინთან ახლოს, ლატრელსტოუნის ციხესიმაგრესთან უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ზოგი მათგანი წყვილის ქორწილში იყვნენ მიწვეულნი, ზოგიც უბრალოდ, საყვარელი ფეხბურთელის და მომღერლის სანახავად მისულიყვნენ. კარგა ხანია, XIV საუკუნეში აგებულ ციხესიმაგრეს ამდენი სტუმარი არ უნახავს.

სამასამდე სტუმარი, მათ შორის სფაიზ გერლსელები, ელტონ ჯონი, ჯორჯ მაიკლი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდა ბობი ჩარლტონი, კლუბის დღევანდელი შემადგენლობა ლატრელსტოუნის ციხესიმაგრეში საიდუმლო გვირაბით შეაპარეს. მიუხედავად იმისა, რომ სტუმართა უსაფრთხოებაზე დუბლინის პოლიცია ზრუნავდა, ცნობისმოყვარე ჟურნალისტებისგან და ექსკლუზიურ ფოტოებზე მონადირე ფოტორეპორტიორებისგან თავის დასაცავად სტუმრებმა ციხესიმაგრეში ჩუმად შეღწევა ამჯობინეს.

დედოფალი სწორედ იმ 60 ათას გირვანქიან კაბაში კოპწიაობდა, საქმრომ ქორწინების აღსანიშნავად რომ უყიდა, თავად ბექემი კი სადად გამოწყობილიყო.

დუბლინის იმ სასტუმრომ, სადაც სტუმრები გაჩერებულიყვნენ, დიდი მოგება ნახა — ნომერი ერთი ღამით 5160 დოლარი ღირდა, საერთო ჯამში კი სასტუმროს დაქირავება 800 ათასი დოლარი დაჯდა.

ძალიან ძვირფასი ქორწილი იყო, იმდენად ძვირფასი, რომ ლამის ბრიტანეთის პრინცის ედუარდის და სოფი რიზ-ჯონსის ამასწინანდელ ქორწინებას გაუტოლდა.

ბრიტანეთი დიდი ხანია ელოდა ამ ქორწინებას. შაბათს მოსახდენი მოხდა.

ვიქტორია ადამსი — სახელგანთქმული ფეხბურთელის არანაკლებ ცნობილი მეუღლე

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ბაიერნის პროგრამა და პრობლემები

ბუნდესლიგის ჩემპიონმა, მიუნხენის „ბაიერნმა“ ორშაბათს 1999-2000 წლებისთვის მზადება დაიწყო. კლუბს ერთადერთი კითხვისნიშანი ცნობილი ნახევარმცველის, მარიო ბასლერის გვარის გასწვრივ უზის.

როგორც „ბაიერნის“ კომერციულმა მენეჯერმა, ული ჰინესმა განაცხადა, მას მერე, რაც 30 წლის ბასლერმა კონტრაქტის განსაახლებლად შეთავაზებულ პირობებზე უარი განაცხადა, კლუბმა მასთან მოლაპარაკებები შეწყვიტა.

„ჩვენი მხრიდან ძალიან სერიოზული გეგმები და წინადადებები წარვუდგინეთ ფეხბურთელს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი და კლუბის შეხედულებები ერთმანეთისგან საგრძნობლად შორსაა. ვერ ვხედავ ბასლერთან ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივას. დირექტორატის პოზიცია ისეთია, რომ მოლაპარაკებები აღარ უნდა გაგრძელდეს“ — თქვა ჰინესმა.

საქმე ის ყოფილა, რომ ბასლერს ხელფასად 5 მილიონი მარკის მიღება სურდა, რაც 2,6 მილიონი დოლარის ტოლია. რატომ მაინცდამაინც ამდენი? იმიტომ რომ „ბაიერნი“ ასეთ გასამრჯელოს ნახევარდაცვაში ბასლერის კოლეგას, შტეფან ეფენბერგს უხდის, რაც, თურმე, სუპერმარიოს არ ეპიტნავება.

მიუნხენელთა მწვრთნელს, ოტმარ ჰიცფელდს, ფეხბურთელების ყიდვისთვის 80 მილიონი მარკა აქვს გამოყოფილი. იგი ამ თანხას მნიშვნელოვანწილად ახალგაზრდა მოთამაშეების გადასაბირებლად ხარჯავს. მაგალითად, მან „ოლიმპია ასუნსიონიდან“ 10 მილიონ დოლარად პარაგვაელი ჭაბუკი ფორვარდი როკე სანტა კრუსი შეიძინა, მაგრამ, ცხადია, ჰოცფელდის თვალსაწიერში არც ცნობილი სახელების დეფიციტია — ბრაზილიელ მცველ, პაულუ სერჟიოში, იტალიურ „რომას“ „ბაიერნმა“ 12 მილიონი მარკა გადაუხადა.

რისთვის ემზადება „ბაიერნი“? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მარტივია. გავიხსენოთ რას მიაღწია გასულ სეზონში და ლოგიკურად დავასკვნით თუ რა მიზანს უსახავენ ქომაგები. მითუფრო, რომ „ბაიერნი“ 100 წლისა ხდება.

მიუნხენის კლუბის მთავარი ტიტული ეს წერილი დავიწყეთ, მაგრამ, გარდა ამისა, იგი ჩემპიონთა ლიგისა და გერმანიის თასის ფინალისტი გახლდათ. იქნებ ფინალისტობა ამბიციური ბავარიელებისთვის წარმატებას კი არა, წარუმატებლობას ნიშნავს, მაგრამ ფაქტი ფაქტია. თან, გავიხსენოთ, როგორ წააგეს ორივე ხსენებული ფინალი: ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ 1:0 უგებდნენ და ზედ საფინალო სასტვენის წინ გაუშვეს ორი გოლი, ხოლო ეროვნულ თასზე ბრემენის „ვერდერთან“ პენალტებით დამარცხდნენ.

„თუ ვინმე მეტყვის, რომ ახალ სეზონშიც ბუნდესლიგის ჩემპიონები და ორი თასის ფინალისტები გავხდებით, ვუპასუხებ, რომ ეს სენსაციაა. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ეროვნული პირველობა იქნება, მაგრამ, ცხადია, ბრძოლა გაძნელდება“ — განაცხადა ჰიცფელდმა.

როგორც იცით, გუნდში ჰიცფელდის მისვლამდე „ბაიერნის“ მეტსახელად „F.C. ჰოლივუდს“ უწოდებდნენ, ვითომცდა ჭირვეული ვარსკვლავებით სავსე გუნდიაო. ჰიცფელდის ხელში, თითქოს, ჭირვეულობას ბოლო მოეღო, მაგრამ ავბედით ფინალებში დამარცხებამ მაინც ითამაშა თავისი უარყოფითი როლი.

დღეს ვეტერანთა ვეტერან ლიბეროს, ლოთარ მათეუსს აკრიტიკებენ, ვინაიდან მან სეზონის შუაში ნიუ იორკ — ნიუ ჯერსის „მეტროსტარზში“ ანუ ამერიკის მეიჯორ სოკერ ლიგში გადასვლა გადაწყვიტა.

„ლოთარისთვის ამთავითვე წასვლა ან მთელი სეზონით დარჩენა აჯობებდა“ — შეაფასა უფროსი თანაგუნდელის საქციელი „ბაიერნისა“ და გერმანიის ეროვნული გუნდის მეკარემ ოლივერ კანმ.

იმავდროულად მცველი, მარკუს ბაბელი, მადრიდის „რეალში“ გადასვლაზე რომ ლაპარაკობდა, საპირისპირო მხარეს მობრუნდა და გამოაცხადა 2000 წლიდან პრემიერლიგის „ლივერპულში“ მივდივარ და „ბაიერნში“ მანამდეა ვრჩებიო.



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნელები სვენ შოიერი, მარკუს ბაბელი და ტომას ლინკე

ჩვიდმეტს პლუს...

წერილების ციკლის, „დიდი ჩვიდმეტის“ ბოლოს აღვნიშნეთ, რომ განხილული ჩვიდმეტი საფეხბურთო კანონის გარდა არსებობს წესების ჯგუფი, რომელიც შეტად თუ ნაკლებად თამაშობს როლს სპორტის ამ სახეობის ცხოვრების მართვაში. დღეს სწორედ მათზე გვსურს საუბარი.

FIFA
For the Good of the Game

მეოთხე მსაჯი ფეხბურთელის შეცვლისას

პენალტები

პენალტების დარტყმა გახლავთ გამარჯვებული გუნდის გამოვლენის მეთოდი იმ შეჯიბრებში, რომელთა დებულების თანახმად ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ მოგებულ-წაგებული აუცილებლად უნდა დასახელდეს.

პროცედურა

1) კარს, რომელშიც უნდა დაარტყან პენალტები, მსაჯი ირჩევს.

2) მსაჯი ნილს ყრის და ნილისყრაში გამარჯვებულ გუნდს პირველი პენალტის დარტყმის უფლება ენიჭება.

3) მსაჯი ითვლის დარტყმული პენალტების რაოდენობას.

4) ორივე გუნდი არტყამს ხუთ პენალტს.

5) პენალტებს გუნდები მორიგეობით არტყამენ.

6) თუ ორივე გუნდს ხუთი პენალტი ჯერ არ დაურტყამს, მაგრამ ერთმა უკვე გაიტანა იმდენი გოლი, რამდენსაც მეორე ვეღარ გაიტანს, დარტყმები წყდება.

7) თუ ორივე გუნდმა უკვე დაარტყა ხუთი პენალტი და გოლების თანაბარი რაოდენობა გაიტანა (ან ერთიც ვერ გაიტანა), დარტყმები იმავე წესით გაგრძელდება, სანამ ერთი და იმავე რაოდენობის დარტყმის მერე ერთ გუნდს მეორეზე მეტი გოლი არ ექნება გატანილი.

8) მეკარე, რომელიც პენალტების დარტყმის პროცესში დაშავდება და ვეღარ შეძლებს მოვალეობის შესრულებას, შეიძლება შეიცვალოს განაცხადში შეყვანილი სათადარიგოთი, ოღონდ თუ მის გუნდს მატჩის განმავლობაში შეცვლათა ლიმიტი ამოწურული არ აქვს.

9) არეულობათა გამოსარიცხავად, პენალტების დარტყმის ნება ეძლევათ მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც თამაშის (დამატებითი დროის ჩათვლით) ბოლოს იყვნენ მოედანზე.

10) ყოველი ახალი დარტყმა ახალმა ფეხბურთელმა უნდა შეასრულოს. ფეხბურთელს მეორედ დარტყმის უფლება მანამდე არ მიეცემა, სანამ ყველა სხვა მოთამაშე, რომელსაც დარტყმის უფლება აქვს, თავის ერთ დარტყმას არ შეასრულებს.

11) ნებისმიერ მოთამაშეს, რომელსაც პროცესში მონაწილეობის უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუძლია მეკარე შეცვალოს.

12) პენალტების დარტყმის პროცესში მოედანზე ყოფნის უფლება მხოლოდ მსაჯებს და იმ ფეხბურთელებს აქვთ, რომლებსაც მონაწილეობა შეუძლიათ.

13) ყველა ფეხბურთელი, გარდა დამრტყმელისა და ორი გოლკიპერისა, მოედნის ცენტრში უნდა დარჩნენ.

14) მეკარე, რომელიც კონკრეტულ მომენტში დამრტყმელის თანაგუნდელია, უნდა იდგეს იმ საჯარიმო მოედნის გარეთ, რომელშიც მიმდინარეობს პენალტების პროცესი. მასა და პენალტის ნიშნულს შორის მანძილი უნდა იყოს სულ მცირე 9,15 მეტრი.

15) სანამ ფიფას წესების დამდგენი კომიტეტი სხვანაირ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, გამარჯვებული გუნდის გამოსავლენი პენალტები აღნიშნული წესით უნდა შესრულდეს.

ტექნიკური ზონა

ტექნიკური ზონა, რომელიც მესამე კანონშია ნახსენები, მდებარეობს უშუალოდ შეხვედრის ჩატარების ადგილას და მოიცავს სკამს ტექნიკური პერსონალისა და სათადარიგო მოთამაშეებისთვის.

ტექნიკური ზონის ყველა სტადიონზე ერთსა და იმავე ადგილას მოწყობა სავალდებულო არ არის და იგი უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1) ტექნიკური ზონის საზღვრები სკამიდან 1 მეტრის (ორივე მხრიდან) დაშორებით აღინიშნება, ხოლო მისი სიგრძე შეიძლება აუტის ხაზამდე 1 მეტრში მივიდეს.

2) ზონის საზღვრების ხაზებით აღნიშვნა რეკომენდებულია.

3) ზონაში ნებადართულია ადამიანთა შეჯიბრების დებულებით განსაზღვრული რაოდენობის ყოფნა

4) ტაქტიკური მითითებებისათვის წამოდგომის უფლება ზონაში მყოფთაგან ერთადერთ ადამიანს აქვს და ისიც ფეხბურთელებისთვის მითითებების მიცემისთანავე თავის ადგილს უნდა დაუბრუნდეს.

5) მწვრთნელი და სხვა ოფიციალური პირები ტექნიკური ზონიდან საგანგებო შემთხვევების გარდა არ უნდა გამოვიდნენ. საგანგებო შემთხვევებს კი განეკუთვნება, მაგალითად ექიმის ან ფიზიოთერაპევტის მოედანზე შესვლა (მსაჯის ნებართვით) დაშავებული მოთამაშის სამკურნალოდ.

6) მწვრთნელები და ტექნიკური ზონის სხვა „მობინადრენი“ ღირსეულად უნდა მოიცქნენ.

მეოთხე მსაჯი

ა) მეოთხე მსაჯის დანიშვნა შეჯიბრების დებულების თანახმად ხდება. მას შეუძლია მსაჯისა და რომელიმე თანამსაჯის ფუნქცია შეასრულოს, თუ რომელიმე მათგანს მოვალეობის შესრულება აღარ შეუძლია.

ბ) თუ შეხვედრის დაწყებამდე პრობლემა არსად ჩანდა, მაგრამ, რაღაც მიზეზით მსაჯმა მოვალეობის შესრულება ვეღარ შეძლო, მაშინ მეოთხე მსაჯი ან უშუალდ მის ადგილს დაიკავებს ანაც მსაჯად მთავარი თანამსაჯი გადავა, ხოლო მეოთხე მსაჯი მის ადგილს დაიკავებს.

გ) მეოთხე მსაჯი, მსაჯის მოთხოვნის თანახმად შეასრულებს ადმინისტრაციულ მოვალეობას მატჩის წინ, განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ.

დ) მეოთხე მსაჯი მატჩის განმავლობაში ვალდებულია შეცვლების დროს გასწიოს ასისტენტობა.

ე) მოთხოვნის დროს შეცვლის შესახებ იგი ანიშნებს. თუ მატჩის მსვლელობის დროს საჭიროა ბურთის გამოცვლა, იგი უზრუნველჰყოფს თამაშს მეორე ბურთით და პაუზას მინიმუმამდე ამცირებს.

ვ) მეოთხე მსაჯი სათადარიგო ფეხბურთელს მოედანზე შესვლის წინ ფორმას უმოწმებს. თუ ფორმა საფეხბურთო კანონებში ჩაწერილ მოთხოვნებს არ შეესაბამება, მეოთხე მსაჯი ამის შესახებ აცნობებს თანამსაჯს, ხოლო იგი მსაჯს.

ზ) მეოთხე მსაჯი მთელი დროის განმავლობაში მსაჯს ასისტენტობას უწევს.

თ) მატჩის დამთავრების შემდეგ მეოთხე მსაჯს შეუძლია ოქმში ჩაამატოს ის შეუსაბამობები და ინციდენტები, რომელთა შემჩნევა მსაჯმა და თანამსაჯებმა ვერ შეძლეს. მასვე შეუძლია განცხადების შევსებისას რჩევები მისცეს მის შემდეგნ.

ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტის წესები

1. სახელი და უფლებამოსილება

მას ჰქვია ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტი. მის შემადგენლობაში შედიან ინგლისის, შოტლანდიის, უელსის, ირლანდიის და მსოფლიოს (ფიფა) ფეხბურთის ასოციაციები. თითოეულს უნდა ჰყავდეს ოთხი წარმომადგენელი.

2. საკითხები

კომიტეტი უნდა მსჯელობდეს ფეხბურთის წესების შემოთავაზებულ ვარიანტებზე ყოველწლიურ გენერალურ ან სხვა თათბირებზე მიღებული მოთხოვნების შესაბამისად.

3. თათბირები

კომიტეტი ყოველწლიურად 14 თებერვალსა და 14 მარტს შორის პერიოდში უნდა შეიკრიბოს. ამ შეკრებას ყოველწლიური გენერალური თათბირი ეწოდება. ყოველწლიური ბიზნეს თათბირი კი სექტემბერ-ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. ორივე თათბირის ზუსტი თარიღი წინა გენერალურ თათბირზე დგინდება.

გენერალური თათბირი მოწოდებულია კანონთა შემოთავაზებული ცვლილებების განსახორციელებლად.

ბიზნეს თათბირი მოწოდებულია კომიტეტის ბიზნეს საქმიანობის შესაჯამებლად. მას შეუძლია ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ საფეხბურთო კანონებში ვერაფერს შეცვლის.

4. პროცედურა

გენერალურ თათბირს კომიტეტის თითოეულმა ასოციაციამ, არაუგვიანეს 1 დეკემბრისა, წერილობით უნდა მიმათოს იმ წინადადებებით, რომელიც კანონების ცვლილებებთან დაკავშირებით აქვს. იქ უნდა შედიოდეს კამათის ან ექსპერიმენტის მოთხოვნები, რომლებიც არაუგვიანეს 14 დეკემბრისა უნდა დაიბეჭდოს. შეთავაზებული თემის ან ექსპერიმენტის შესწორებათა შესახებ შეტყობინება წერილობით უნდა გაიგზავნოს არაუგვიანეს 14 იანვრისა, ხოლო ისინი არაუგვიანეს 1 თებერვლისა უნდა გამოქვეყნდეს.

ბიზნეს თათბირის წინ ყველა ასოციაციამ თავისი მოსაზრებები კომიტეტს წერილობით ოთხი კვირით ადრე უნდა აცნობოს, ხოლო დღის წესრიგი და სხვა შესაბამისი საბუთები საყოველთაოდ ორი კვირით ადრე დარიგდება.

ნებისმიერ კონფედერაციას ან ეროვნულ ასოციაციას შეუძლია თავისი წინადადება წერილობითი ფორმით გაუგზავნოს ფიფას გენერალურ მდივანს, დროულად, რათა მან მოასწროს თათბირამდე ოთხი კვირით ადრე გადაგზავნოს იგი იმ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციაში, რომელიც კომიტეტის სხდომას მასპინძლობს.

5. წუთები

თათბირის დროს მასპინძელი ასოციაციის მდივანი აითვლის და შეიტანს „წუთების წიგნში“, რომელიც გადაეცემა თათბირის მასპინძელ შემდეგ ასოციაციას.

6. ქვორუმი და კენჭისყრა

თათბირი არ ჩატარდება, თუ მას ოთხი ასოციაცია და ფიფა არ ესწრება. ფიფას მისი წევრი ეროვნული ფედერაციების სახელზე ოთხი ხმა აქვს, დანარჩენებს თითო. იმისათვის, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილებამ გაიმარჯვოს, საჭიროა დამსწრეთა ხმების სამი მეოთხედი მაინც.

7. საფეხბურთო კანონის ცვლილება

ნებიმიერი კანონის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ყოველწლიურ გენერალურ თათბირზე ხმათა სამი მეოთხედით.

8. საგანგებო თათბირები

ფეხბურთის ასოციაცია, რომელიც უახლოეს თათბირს მასპინძლობს, ფიფასგან ან კომიტეტის წევრი ორი ასოციაციისგან მიღებული მოთხოვნის შესაბამისად მოიწვევს საგანგებო თათბირს. ასეთი საგანგებო თათბირები უნდა გაიმართოს ოცდაექვს დღეში, ხოლო კომიტეტის შემადგენელმა ასოციაციებმა 21 დღით ადრე უნდა მიიღონ შეტყობინება და განსახილველი წინადადებების ასლები.

9. კომიტეტის გადაწყვეტილებანი

თუ სხვანაირად არ არის მოლაპარაკებული, ყოველწლიური ბიზნეს თათბირის გადაწყვეტილებანი თათბირის დღიდანვე ძალაშია.

რაც შეეხება გენერალური თათბირის გადაწყვეტილებებს, რომელიც კანონთა ცვლილებებს ეხება. ყველა ეროვნულ ფედერაციას უნდა გაეგზავნოს, რათა 1 ივლისიდან შევიდეს ძალაში. თუ რომელიმე ქვეყანაში სეზონი 1 ივლისს დამთავრებული არ არის, მას შეუძლია გადაწყვეტილების ამოქმედება დააყოვნოს მომდევნო სეზონამდე. ვერც ერთი ასოციაცია კონფედერაცია ვერ შეიტანს წესში შესწორებას, სანამ შესწორება კომიტეტს არ გაივლის.

პაპუნა კედია


ტექნიკური ზონა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ავსტრიის ჩემპიონატი. II ტური

7.07	ლუსტენაუ — ლინცერი	3,0	2,9	2,2
	რაპიდი — ბრეგენცი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	რიდი — გრაცერი	3,0	2,9	2,2
	შტურმი — ტიროლი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,1	3,0	2,3

შვეიცარიის ჩემპიონატი. I ტური

7.07	დელემონი — სერვეტი	3,4	2,9	2,0
	გრასჰოპერი — ლოზანა	1,7	3,0	4,7
	ლუგანო — ბაზელი	2,3	2,8	2,9
	ქსამაქსი — აარაუ	1,7	3,0	4,7
	სტ. გალენი — ლუცერნი	1,9	2,9	3,6
	ივერდონი — ციურიხი	3,6	2,9	1,9

რუსეთის ჩემპიონატი. XV ტური

7.07	სატურნი — ტორპედო	3,6	2,9	1,9
	ჟემჩუჟინა — როსტსელმაში	2,5	2,9	2,5
	ლოკომოტივი — როტორი	1,6	3,0	5,6
	დინამო — ცსკა	3,1	2,8	2,2
	კრილია — სპარტაკი	5,0	3,2	1,6
	ალანია — ზენიტი	1,8	2,9	4,2
	ურალანი — შინიკი	1,9	2,8	3,8
	ჩერნომორეცი — ნ. ნოვგოროდი	2,0	2,8	3,5

ნორვეგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

7.07	ვალერენგა — ტრომსო	2,1	2,9	3,2
	ლილესტრიომი — კონგსვინგერი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,2	2,8
	სტაბეკი — სტრომგოდსეტი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ვიკინგი — მოლდე	2,8	2,9	2,3
	რუსენბორგი — ბრანი	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4

კოპა ამერიკა. III ტური

7.07	კოლუმბია — ეკვადორი	1,5	3,8	4,4
	ურუგვაი — არგენტინა	4,4	2,0	1,6

ქვეყნის ჩემპიონატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

ბაიერნი	1,3
დორტმუნდი	4,0
ლევერკუზენი	5,0
კაიზერსლაუტერნი	6,0
ჰერტა	8,0

ინგლისი

მანჩესტერი	1,4
არსენალი	3,5
ჩელსი	4,0
ლივერპული	6,0
ლიდსი	8,0

საფრანგეთი

მარსელი	2,0
ბორდო	3,0
მონაკო	3,0
პსჟ	4,0
ლიონი	6,0
ნანტი	8,0
ლანსი	8,0

იტალია

მილანი	2,5
ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
ლაციო	3,0
პარმა	5,0
ფიორენტინა	7,0
რომა	8,0

ესპანეთი

ბარსელონა	1,6
რეალი	2,3
ვალენსია	5,0
ატლეტიკო	7,0
დეპორტივო	8,0
სელტა	8,0
ბილბაო	8,0
მალიორკა	8,0
სოსიედადი	8,0

პორტუგალია

პორტუ	1,7
ბენფიკა	2,5
სპორტინგი	4,0
ბოავიშტა	8,0

ჰოლანდია

აიაქსი	2,0
ფეიენოორდი	2,5
ეინდჰოვენი	2,5

ბელგია

ბრიუგე	2,2
ანდერლეხტი	2,2
გენკი	3,0
სტანდარდი	8,0

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	2,0
პანათინაიკოსი	2,0
აეკ	3,0
პაოკ	8,0

ჩეხეთი

სპარტა	1,6
სლავია	2,3
სიგმა	8,0
ტეპლიტე	8,0
ბანიკი	8,0

პოლონეთი

ვისლა	1,5
ლეგია	2,5
ვიძევი	4,0
ლეხი	8,0
პოლონია	8,0

უკრაინა

დინამო კიევი	1,1
შახტიორი	6,0
კარპატი	8,0
ტავრია	8,0

თურქეთი

გალათასარაი	1,4
ფერენბაჰჩე	3,0
ბეშიქთაში	5,0
ტრაბზონი	7,0

შოტლანდია

რეინჯერსი	1,6
სელტიკი	2,3

ავსტრია

რაპიდი	1,8
შტურმი	2,0
ზალცბურგი	4,0
აუსტრია	5,0
გრაცერი	8,0

შვეიცარია

გრასჰოპერი	1,8
სერვეტი	3,0
ციურიხი	4,0
ლოზანა	5,0

დანია

ბრონდბიუ	2,0
კოპენჰაგენი	3,0
ოლბორგი	3,0
სილკებორგი	5,0
აკდემიკსი	5,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

UEFA CUP

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტებსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

დათიკაშვილის და დადიანის ვიცეპრეზიდენტობას ვითასთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს

ზურაბ დოლიძეიანელის ფოტო

1999 წლის 12 მარტი. ვითა — კოლხა. ზურაბ ტომარაძე (მარცხნივ) თავისი გუნდის ყველაზე სტაბილურ მოთამაშეს ზურაბ ჩუბინიძეს არიგებს

დასაწყისი პირველ გვერდზე

— „ვითასთვის" ეს ჩემპიონატი უიღბლოდ დაიწყო და იღბლიანად დამთავრდა. ღმერთის და ჩემი ბიჭების წყალობით „აზოტს" არც ამჯერად დავანებეთ ჩემპიონობა. ყველასი კმაყოფილი ვარ და, რა თქმა უნდა, გახარებულიც.

— უფალს და კალათბურთელებს რომ ემადლიერებით, არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ „ვითას" გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ თქვენზე მოდის, გუნდის სიძლიერე მწვრთნელის დამსახურებაა...

— ამაში გეთანხმებით, თუმცა ახლა ჩემი დამსახურებები რა სალაპარაკოა, ეგ თქვენ, ჟურნალისტებმა და კალათბურთის სპეციალისტებმა განსაჯეთ.

— კარგით. ბატონო ზურაბ, ჩემპიონატი „ვითასთვის" უიღბლოდ დაიწყოო, ბრძანეთ და ალბათ ის თუ იგულისხმეთ, ერთხანს გუნდმა თამაში რომ იუარა.

— იუარა კი არა, „ვითა" პრაქტიკულად დაშლილი იყო. კლუბის ხელმძღვანელობას, თავისი კომერციული საქმიანობიდან გამომდინარე, საშუალება აღარ ჰქონდა, გუნდი ერჩინა. ერთი სიტყვით, ფინანსური სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდით, მაგრამ ისევ კალათბურთელების ერთსულოვნებამ გადაგვარჩინა.

— და ფედერაციამაც...

— გეთანხმებით, დებულება დაირღვა, რომლის შესრულება ყველას ეკალება, მაგრამ...

ისე, საცოდაობა იჭებოდა, უარი რომ ეთქვათ. როცა გუნდის აღდგენის საკითხი დადგა, თავად ფედერაციის პრეზიდენტი, გოგი ქათამაძეც აქტიურობდა, რომ კვლავაც ჩავრთულიყავით გათამაშებაში, აღმასკომის სხდომამაც ასე გადაწყვიტა.

„ვითას" უნდა ეარსება, ეს ფინალმაც დაამტკიცა. ნაკრების წარუმატებლობით ნირწამხდარ გულშემატკივარს ფინალურმა თამაშებმა კვლავაც გაუღვივა კალათბურთის ინტერესი.

— ხშირად გითქვამთ, კალათბურთელები უხელფასოდ, ენთუზიაზმზე თამაშობენო. ცოტა არ იყოს, მეეჭვება ასე ყოფილიყო...

— რატომ, რა არის ამაში დაუჯერებელი? ერთი პერიოდი მართლაც ძალიან მძიმე დრო დაგვიდგა. ბიჭებს ხელფასების მინიმუმი ურიგდებოდათ, უბრალოდ, ვარჯიშზე მოსასვლელად და შინ წასასვლელად რომ ჰყოფნოდათ. ხშირად ამასაც ვერ იღებდნენ.

საბედნიეროდ, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვერც კი შევადარებ.

— დაკვირვებული ვარ, „ვითას" არასტაბილურობა დასჩემდა. ჩემპიონატში ერთი-ორი მოსაგები თამაში წააგეთ, ფინალში კი, როგორც ყოველთვის, ორგანიზებულნი და საბრძოლველად შემართულნი იყავით, პირველ თამაშს თუ არ ჩავთვლით.

— იცით რა, ცხრა თვის მანძილზე გუნდი ყოველთვის ფორმაში გყავდეს, თითქმის წარმოუდგენელია. თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ „ვითას" საკუთარი დარბაზიც კი არ აქვს, ვფიქრობ, არასტაბილურობის მიზეზსაც მიხვდებით. რა თქმა უნდა, გვქონდა ჩავარდნები, თუმც ამ ხნის მანძილზე თამაშის ოპტიმალურ ვარიანტს ვეძებდით, ვცდილობდით, გუნდის საბოლოო სახე ჩამოგვეყალიბებინა და, მგონი, მოვახერხეთ კიდეც. ვფიქრობ, „ვითა" სათამაშო პროცესში და კომბინაციურ ნახაზში ჩაჯდა.

რაც შეეხება ფინალის პირველ მატჩს, მაშინ „აზოტმა" მართლაც გვაჯობა, ალალად ვაღიარებ. ამას გუნდში იმედგაცრუება არ მოჰყოლია. მერე და მერე გუნდმა იპოვა თავისი თამაში.

— ფინალებისთვის სად ემზადებოდით?

— დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ვცხოვრობდით და იქვე ვვარჯიშობდით, ძირითადად სისწრაფესა და გამძლეობაზე, ვიცოდით, უამისოდ ძალიან გაგვიჭირდებოდა.

— მთავარი გამოგრჩათ, ფსიქოლოგიური მზადება. ამ მხრივ „ვითა" მშვენივრად გამოიყურებოდა...

— ფსიქოლოგიურად საგანგებოდ ნამდვილად არ მოვმზადებულვართ. უბრალოდ, თამაშის მერე ერთად ვიკრიბებოდით და ვიდეოჩანაწერს ვაანალიზებდით, ვკამათობდით, რაც იმ მატჩს შეეხებოდა, ყველაფერზე ვსაუბრობდით, დეტალურად ვარჩევდით და შესაბამისი დასკვნებიც გამოგვქონდა.

— თამაშის წინ თუ ვარჯიშობდით? გუნდები ამ მეთოდს ხშირად მიმართავენ.

— ერთადერთხელ ვივარჯიშეთ თამაშის წინ და პირწმინდად წავაგეთ, ლაპარაკია პირველ შეხვედრაზე, რომელიც „ვითამ" ძალიან ცუდად ჩაატარა. ამის შემდეგ ავკრძალე დილის ვარჯიში.

— „ვითაც" თამაშიდან თამაშამდე უმატებდა, ნუთუ ამიტომ?

— არა, არც მთლად ასეა. უბრალოდ, მივხვდით, რომ იმ ტემპში, რაც ჩვენ „აზოტს" პირველ მატჩში შევთავაზეთ, თამაშს ვერ მოვიგებდით. თუ დაკავდით, შემდეგ ტემპიც შევცვალეთ და მთლიანად თამაშის ხასიათიც.

— თავიდან „ვითას" სასტარტო ხუთეულიც ხშირად იცვლებოდა. რატომ, გაგიჭირდათ ოპტიმალური ხუთეულის მიგნება?

— ჩვენ გამოკვეთილი ხუთეული არ გვყავს. ხან დავითულიანს ვაწყებინებდი თამაშს, ხან კოკოლიშვილს, ხან ბაქრაძეს, შემდეგ კი კონკრეტული სიუეტიდან გამომდინარე ვმოქმედებდი, ასე, ყველაფერს წინასწარ ვერ გათვლი.

— ხუთეულში ჩუბინიძე არასდროს დაგიყენებიათ, ცოტა არ იყოს მიკვირდა...

— ზურაბ ჩუბინიძე ჩემს გუნდში ყველაზე სტაბილური მოთამაშეა. გარდა ამისა, მას სხვათაგან უნივერსალური თვისებებიც გამოარჩევს. თანაბარი სიძლიერით შეუძლია ითამაშოს გამთამაშებლადაც, თავდამსხმელადაც და ცენტრადაც. ამიტომ ჩუბინიძეს თავიდან შეგნებულად ვზოგავდი და შემდეგ რომელ პოზიციაზეც დამჭირდებოდა, იქ ვათამაშებდი. ვიცოდი, რომ გამიმართლებდა. იგი მოწოდებით სპორტსმენია, ჩვენში მეექვსე საუკეთესოს გამოსავლენად გამოკითხვა რომ მოაწყონ, ამ ჯილდოს უეჭველად ჩუბინიძე დაიმსახურებდა.

— თუ საიდუმლო არ არის, მაინც რას ეფუძნება „ვითას" წლევანდელი წარმატება, თქვენ როგორ ფიქრობთ.

— ალბათ უფრო გუნდში არსებული ატმოსფეროა ჩვენი გამარჯვების ძირითადი მიზეზი. მწვრთნელებს, კლუბის ხელმძღვანელებს და კალათბურთელთა შორის საოცრად თბილი, მეგობრული ურთიერთობაა. ბიჭების პიროვნული თვისებებიც სამაგალითოა, ნამდვილი კაცები არიან.

— პირველად როდის ირწმუნეთ გამარჯვების?

— ბოლო თამაშში, მეორე ტაიმის პირველი ორი წუთი ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის ძალიან მრავლისმეტყველი იყო, მაშინ ვიგრძენი, რომ დაუმარცხებლები ვიყავით. გუნდმა გამარჯვებისკენ დიდი სწრაფვა გამოავლინა და მოგებაც თვალნათლივ დავინახე.

— არის მოსაზრება, რომ ნებისმიერ ორ ვითელს ფინალში „აზოტში" რომ ეთამაშა, ჩემპიონები რუსთაველები გახდებოდნენ...

— ამაზე სერიოზულად საუბარი არც ღირს. „აზოტს" ვითელების დახმარება რაში უნდა დასჭირვებოდა? რუსთავის გუნდი ყველა რგოლში ძლიერად იყო დაბალანსებული. ერთი შეხედვით არ ჩანდა, მაგრამ შემდეგ, ღრმად რომ ჩავიხედეთ „აზოტის" სათამაშო ტაქტიკაში, აღმოვაჩინეთ, რომ გუნდი საკმაოდ გააზრებულად და კომბინაციურად მოქმედებდა. ცენტრი ჯაფარიძე თითქმის სულ ზონაში იდგა, დანარჩენები კი პერსონალურად მეურვეობდნენ ჩემს კალათბურთელებს. კიდევ კარგი, ამას დროულად მივხედეთ.

— და რა მოიმოქმედეთ?

— ჩვენი ცენტრი უკანაზაზისკენ ამოვწიეთ. ამით ნაწილობრივ ჯაფარიძესაც მაღლა ვიტყუებდით, თუმცა ირაკლი იშვიათად ცდებოდა და ძირითადად მაინც ზონურად მოქმედებდა. ჩვენმა მაღალმა კი მეტი თავისუფლება იგრძნო და მსროლელებს ბლოკებით ათავისუფლებდა. ეს იყო და ეს.

— ეგ „ვითას" შეტევისას, დაცვაში როგორ უმკლავდებოდით ჯაფარიძეს?

— დაცვაში თამაშის საგანგებო კომბინაცია შევიმუშავეთ ჯაფარიძის საწინააღმდეგოდ, თუმცა გარკვეული მოსაზრებით ამას ვერ გაგიმხელთ. უბრალოდ, იმას გეტყვით, რომ ჯაფარიძე სამმაგად დავაზღვიეთ.

— „ვითას" დაცვაზე თუ ვილაპარაკებთ, ირაკლი ბაქრაძეზეც უნდა ვთქვათ...

— ბაქრაძე ჩვენთან ისეთ დროს მოვიდა, როცა გუნდი უკვე ჩამოყალიბებული იყო. ამიტომ თავიდან ვერ ვრისკავდი მის მოედანზე გამოყვანას, ვშიშობდი, გუნდი არ მოშლილიყო, რადგან იგი არ იყო ბიჭებთან შეთამაშებული. შემდეგ სათამაშო პროცესმა დამანახვა, რომ ეს რეზერვიც უნდა ამოქმედებინა და გაამართლა კიდეც. ბაქრაძე ძალიან სასურველი მოთამაშე აღმოჩნდა, მან „აზოტის" გამთამაშებელი არჩილ ჟღენტი რიტმიდან ამოაგდო.

ვფიქრობ, დაცვით თამაშს ალეკო დავითულიანმაც წარმატებით გაართვა თავი — იგი ხომ რამაზ გოგობერიშვილს მეურვეობდა.

საერთოდაც, ძირითადი აქცენტი დაცვაზე გადავიტანეთ. მივხვდით, რომ „აზოტის" დამარცხება მხოლოდ კარგი დაცვითი თამაშით თუ შეგვეძლო.

— მეტოქის შეტევებს „ვითამ" ერთადერთხელ შეაგება ზონური დაცვა. ისიც ბოლო თამაშში და თანაც ისეთ დროს, როცა „აზოტს" გვარიანად ჩამორჩებოდით, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „აზოტს" მანამდე ყველაფერი გამოსდიოდა, მათ შორის შორიდან სროლებიც, თქვენი ეს გადაწყვეტილება უფრო ავანტიურას ჰგავდა...

— ფარზე ბრძოლაში მეტოქე გვჯობნიდა და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღე. ზონაც არის და ზონაც, ბიჭებმა უბრალოდ ძალიან აქტიური ზონა ითამაშეს. ამან შედეგად ის მოგვიტანა, რომ ფარზე ბურთის აღება შევძელით და სწრაფი შეტევების განვითარების საშუალებაც მოგვეცა. კალათბურთელებიც ასე უფრო აკონტროლებდნენ თავიანთ სივრცეებს. ამან „აზოტი" დააბნია, პერსონალურ მეურვეობას მიჩვეული მოთამაშეები აირივნენ და გვიანღა გამოერკვნენ.

— რუსთაველთა დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად მათი სკამის სიმოკლესაც ასახელებენ. ამაზე რას იტყვით?

— გამარჯვება ნელ-ნელა მოდის. ცოტა სკამი, ცოტა ფსიქოლოგიური მომზადება, ყველაფერი ცოტა-ცოტა. რა ჭამე და როგორ ხასიათზე გაიღვიძე, ამასაც კი მნიშვნელობა აქვს. სიმართლე გითხრათ, მე არ მიმაჩნია, რომ „აზოტს" მოკლე სკამმა წააგებინა. ასეთი რამ „ვითაზეც" შეიძლება ითქვას. თუ კარგად დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ძირითადი დატვირთვა 7-8 კაცზე მოდიოდა. საერთოდ არ მითამაშებია ახალგაზრდები — ჭირაქაძე და ვაშაკიძე. ახალკაცს, კორძაძეს, აბრამიძეს და იგივე ბაქრაძესაც ძალიან ცოტა ხანს უწევდათ მოედანზე ყოფნა.

— ბატონო ზურაბ, აბრამიძე, რომელიც ყოველთვის „ვითას" ერთ-ერთი ლიდერი იყო, ფინალზე დიდად არ დაგიტვირთავთ, რატომ?

— ეს ჩემი მოსაზრებით გაკეთდა. ჩავთვალე, რომ მამუკა აბრამიძე არ იყო სასურველ ფორმაში. მას პირადადაც ვესაუბრე და ავუხსენი ყველაფერი.

სხვა მხრივ აბრამიძე უდავოდ გამორჩეულია დღევანდელ ქართულ კალათბურთში. თავის საკალათბურთო ინტელექტით ერთ-ერთი პირველია. თითქმის შეუცდომლად კითხულობს თამაშს.

— შეუძლებელია, მსაჯობაზეც არ გკითხოთ...

— საერთოდ მსაჯებზე ლაპარაკი არ მჩვევია. ისე კი ძალიან მწყინს, როცა ამბობენ, „ვითას" მსაჯები ეხმარებიანო. ასეთი რამ არ ყოფილა და იმიტომ. მეც შემიძლია, ჩამოვთვალო შეცდომები, რაც მსაჯებმა „ვითას" საზიანოდ დაუშვეს. მაგრამ შეცდომა შეცდომაა და ეს არ ნიშნავს მიკერძოებას. ვიღაცა თუ მსაჯს დანით დაემუქრება, ამას კალათბურთელებთან და გუნდებთან რა ხელი აქვს. წადი და არკვიე ახლა, ვინ იყო და რა უნდოდა.

სხვათა შორის, ქურიძეს დანა საერთოდ არ უხსენებია. თუ არ ვცდები, მან სიმართლე განუცხადა „სარბიელს".

— ნახევარფინალში სტუელი რეზო ჩხეიძის ხუთი ჯარიმით მოედნიდან გაგდება სამართლიანი იყო?

— არა, ჩხეიძეს მაჯრთლაც ოთხი ჯარიმით დაატოვებინეს მოედანი. სამაგიეროდ, ვატო ნაცვლიშვილს დააკლეს ერთი პერსონალური და ეს რომ გამეგო, მაშინვე გავაპროტესტებდი, რადგან ნაცვლიშვილი უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა „ვითასთვის".

ვფიქრობ, სტუ შემადგენლობით ყველაზე ძლიერი იყო მერვე ჩემპიონატში და ერთ ჯარიმაზე გამოკიდება და წაგების ამაზე დაბრალება სწორად არ მიმაჩნია. მათი მარცხის მიზეზი სულ სხვა იყო, ოღონდ კოლეგიალობის გამო არ გავამხელ, თავს შევიკავებ.

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ მწვრთნელებს უმძიმეს პირობებში გიწევთ მუშაობა. ხშირად უხელფასოდ, ხან ისე და ხან ასე. მაინც, რა გაძლევთ სტიმულს, რა გაჩერებთ კალათბურთში?

— სტიმული, პირველ ყოვლისა, კალათბურის სიყვარულია. კიდევ... ორივე ვაჟი კალათბურთზე დამყავს და მოგების შემდეგ მათ გაბრწყინებულ თვალებს რომ ვხედავ, ერთ რამედ მიღირს. მატერიალურ სტიმულს თუ გულისხმობთ...

— მწვრთნელობისას არასდროს გიფიქრიათ კალათბურთიდან წასვლაზე?

— მიფიქრია კი არა, წლეულს გადწყვეტილიც მქონდა, მაგრამ ამის მიზეზი ფინანსური მხარე არ ყოფილა. ხანდახან ისეთი რაღაცეები მესმის ხოლმე, კალათბურთი კი არა, არაფერი მინდა. ყველას ბოღმა და შური ახრჩობს, იმის მაგივრად, ერთმანეთის გვერდში ამოუდგნენ, სამტროდ უჭირავთ თავალი.

— ფაქტია, რომ თქვენ არსად წასულხართ, კვლავაც „ვითას" მწვრთნელი ხართ და თანაც ჩემპიონი. საინტერესოა, სამწვრთნელო ცოდნის გაღრმავებას თუ ცდილობთ, ანაც როგორ ახერხებთ ამას?

— ლიტერატურას ვშოულობ. ახლაც ხუთასგვერდიანი წიგნი ჩამომიტანეს, ქართულად ვათარგმნინებ და ამ ზაფხულს ჩავუჯდები. ხშირად ინტერნეტსაც მივმართავ, მისი საშუალებით სხვა ქვეყნის მწვრთნელებს ვუკავშირდები და ახალ სქემებსაც ვეცნობი.

— ვიცით, „ვითას" კიდევ უფრო გაძლიერებას და კორაჩის თასზე ლორსეულად თამაშს აპირებთ. ეს თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ უახლოეს მომავალში, ალბათ, გუნდის გაახალგაზრდავებაზეც მოგიწევთ ზრუნვა...

— მაგაზე ბევრი მიფიქრია, მაგრამ ჯერჯერობით საშუალება არ არის. გუნდში ახალგაზრდა რომ მოვიყვანო და იგი საკადრისად დავტვირთო, ამისათვის მატერიალური ბაზაა საჭირო. ნორჩს ორჯერ მეტად სჭირდება დარბაზში ყოფნა, რათა კლასი აიმაღლოს, დარბაზი კი საერთოდ არ გვაქვს. ამიტომაც ვართ შეზღუდულები.

— ქართველი კალათბურთელებიდან არავის იმატებთ?

— არც მიცდია. რატომ უნდა ავიყვანო სხვა, როცა ვხედავ, რომ პირობების გაუმჯობესება ჩემს ბიჭებს გაცილებით უკეთ აათამაშებს. ერთადერთი, ვატო ნაცვლიშვილს ვინატრებდი ჩემს გუნდში, მაგრამ ეს არარეალურია. იგი „ვითაში" არ მოვა, ვატო უფრო მაღალ დონეზე თამაშს იმსახურებს.

— დაბოლოს, ერთზეც ვთქვათ. გინდა არ გინდათ, იმის მოსმენაც ზმირად გიწევთ ხოლმე, რომ „ვითა" ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის გუნდია და თქვენ თემურ დათიკაშვილი და ფედერაცია გმფარველობთ.

— დათიკაშვილი „ვითას" მფლობელია, ხოლო იგი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც რომ არის, ამას გუნდისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. სხვა თუ არაფერი, წამოგვაყვედრებენ ხოლმე. ასეთ საუბრებს ბოლო უნდა მოეღოს, სხვა გუნდებშიც არიან ფედერაციის თუ აღმასკომის წევრები და აქ „ვითას" და ფედერაციის ურთიერთობა არაფერ შუაშია.

ყოფილი ვითელი, ასევე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანიც იყო და ისე გაუხადეს საქმე, დაკომპლექსეს. აქაოდა ვინმემ არაფერი იფიქროსო, დადიანი ისევ ჩვენ მოგვდგებოდა ხოლმე და ჯარიმებს გვახდევინებდა. ამით ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა და კვლავაც ვმეგობრობთ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ასეთი მითქმა-მოთქმა ქართულ კალათბურთს ძირს უთხრის.

გიორგი ბიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა დიუკმა მთელ ევროპას აჯობა

30 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში გაიმართა 1999 წლის დრაფტი, ესე იგი, სტუდენტურ და სხვა სამოყვარულო საკალათბურთო ლიგებში დაკაჟაცებული 58 მოთამაშე კალათბურთის ეროვნულ ასოციაციის 29 გუნდში გადანაწილდა.

დიუკის უნივერსიტეტს კარგი გუნდი ჰყავს. მის მწვრთნელს მაიკ კრეიეევსკის ბევრი კარგი კალათბურთელი გამოუზრდია, მათ შორის „დეტროიტ პისტონზის“ ახლანდელი ლიდერი გრანტ ჰილი — ნბა-ს ყველაზე ძლიერი ფრთა. წლეულს დიუკის უნივერსიტეტის გუნდმა, „ლურჯმა ეშმაკებმა“, მშვენიერი სტუდენტური სეზონი ჩაატარა, ზედიზედ 31 თამაში მოიგო და ფინალში დაუმარცხებლად გავიდა. მართალია, იქ „ეშმაკებმა“ წლეულს პირველი მარცხი იწვნიეს კონექტიკუტთან 74:77 და სტუდენტური ოქროც სულ ბოლოსღა გაუფრინდათ ხელიდან, მაგრამ ამ კოლექტივმა ნბა-ს გუნდებიდან მივლენილ სკაუტებზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დრაფტში ერთბაშად ოთხი დიუკელი აირჩიეს. მანამდე დრაფტის პირველ წრეში არც ერთხელ არ აურჩევიათ ოთხი სტუდენტი ერთი გუნდიდან. 1991 წლის დრაფტში ნევადა-ლას ვეგასის უნივერსიტეტიდან სამი მოთამაშე აიყვანეს პირველ რაუნდში, მაგრამ ერთბაშად ოთხი — ასეთი რამ დრაფტების ისტორიას არ ახსოვს. მწვრთნელი კრეიეევსკი განცვიფრებას ვერ მალავდა: „ვერ დამიჯერებია, რომ ერთბაშად ოთხი შეგირდი გამომეცალა ხელიდან, მაგრამ ეს ჩვენთვის მაინც უდიდესი პატივია“.

სწორედ „ეშმაკთა“ ლიდერი ელტონ ბრენდი გახდა წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი. პირველი არჩევნის უფლების მქონე, ერთ დროს უძლეველმა, გასულ სეზონში კი სულ ფსკერზე დაშვებულმა „ჩიკაგო ბულზმა“ სწორედ ბრენდი არჩია და ბევრი არც უფიქრია, ისე დასწვდა წლევანდელი სტუდენტური სეზონის საუკეთესო კალათბურთელს. ბრენდი საშუალო სიმაღლის პატრონია — 203 სანტიმეტრია და გამოკვეთილად ფარქვეშეთის მოთამაშე გახლავთ. არასაკმარისი სიმაღლის მიუხედავად, მშვენივრად ხსნის და აფარებს ბურთებს. წლეულს მისი საშუალო მაჩვენებლები იყო თამაშში 17,7 ქულა, 9,8 მოხსნა და 2,3 დაფარება. ბრენდს სულ ორი წელი გაუტარებია უნივერსიტეტში, თუმცა წლის სტუდენტ კალათბურთელად აღიარების შემდეგ აღარ დაუხანებია და გაპროფესიონალება გადაწყვიტა. ბრენდი, როგორც თვითონ ამბობს, ამ მოულოდნელმა და ერთობ სასიამოვნო სიურპრიზმა დიდად გაახარა და ახლა იმედს გამოთქვამს, რომ დასუსტებულ ჩიკაგოს ახალი გუნდის შენებაში დაეხმარება.

AP ვაშინგტონიდან

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი დევიდ შტერნი (მარჯვნივ) სახოგადოებას დრაფტის პირველ ნომერს ელტონ ბრენდს წარუდგენს

ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსმა“ დიუკელი ყმაწვილი კორი მეგიტი აიყვანა მე-13 ნომრად, მაგრამ მალევე ის და გუნდის სამი ვეტერანი კალათბურთელი დეილ ელისი, ბილი ოუენსი და დონ მაკლინი ორლანდოს გაუცვალა 34 წლის ჰორას გრანტში. რა შედეგს მოიტანს ეს გაცვლა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი კი ვთქვათ: გრანტის სანაცვლოდ ახალგაზრდა პერსპექტიული უკანახაზელის ხელიდან გაშვება, რომ არაფერი ვთქვათ სამ გამოცდილ კალათბურთელზე, ცოტა უცნაური საქციელია სიეტლის ხელმძღვანელობის მხრიდან. მეგიტს კი მომავალი აქვს. თუ იქაურ სპეციალისტებს ვერწმუნებით, მას სულ ერთი წელი უთამაშია სტუდენტურ ლიგაში და დიდი წილიც დაიდო დიუკის წარმატებაში. ამას მეგიტი ისე აღუფრთოვანებია, რომ 19 წლის ზანგის ბიჭმა გადაწყვიტა დრო აღარ დაეკარგა და მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში თავისი ძალების მოსინჯვას საფუძვლიანად აპირებს. ბრენდის და მეგიტის თანაგუნდელებიდან ტრაიან ლანგდონი მე-11 ნომრად კლივლენდმა აიყვანა, მინესოტა კი მე-14 ნომრად გამთამაშებელ ვილიამ აივერის დაეპატრონა. დიუკის მძლეველმა კონექტიკუტმა კი მხოლოდ ერთი მოთამაშე მიაკლინა დრაფტზე — რიჩარდ ჰამილტონი. ჩემპიონ სტუდენტს იმ ქალაქის გუნდი დაეპატრონა, რომელშიც დრაფტი მიმდინარეობდა.

დრაფტის მეორე ნომერი, ნბა-ს წლევანდელი სეზონის უარეს გუნდ ვანკუვერის მიერ არჩეული სტივ ფრენსისი, უკანახაზელი გახლავთ. მას მერილენდის უნივერსიტეტში სამი კურსი დაუხურავს. აღსანიშნავია, რომ ვანკუვერს ყოველთვის მაღალი არჩევნის უფლება ჰქონდა, მაგრამ არჩეული ხალხი მას ყოველთვის ვერ უმართლებს. ახლა ფრენსისი შარშანდელი დრაფტის მეორე ნომერ მაიკ ბიბისთან და შარშანწინდელ მესამე ნომერ შარიფ აბდულ რაჰიმთან ერთად მომავალი კარგი გუნდის მყარ საფუძველს შექმნის.

უკანახაზელი გახლავთ მესამე ნომერიც, ნევადა-ლას ვეგასელი ბარონ დევისიც და მას „შარლოტ ჰორნეთისი“ დაეპატრონა.

უკანახაზელთა პოპულარობით ისარგებლა ბეჩავმა „კლიპერსმა“ და მეოთხე ნომრად აიყვანა თავდამსხმელი ლამარ ოდომი. ოდომი თავისუფლად შეიძლება პირველ ნომრადაც აერჩიათ, მაგრამ ამ უდიდესი ნიჭის მქონე ბიჭს ერთობ თავნება ხასიათი აქვს და უკვე შეჰყრია ვარსკვლავის ავადმყოფობა. იგი თავის თავს მაიკლ ჯორდანის გვერდზე აყენებს და აცხადებს, არც ჯორდანი აურჩევიათ პირველ ნომრად და არც მისი პატრონი ჩიკაგო ყოფილა „კლიპერსზე“ მეტიო და ისიც დაურთო, არც მე მიშლის ხელს რაიმე იგივეს მივაღწიო კლიპერსში, რაც ჯორდანმა ადრე ჩიკაგოში შეძლოო. ღმერთმა ხელი მოუმართოს...

მეხუთე ნომერი გახდა ჯონათან ბენდერი. იგი იმითაა აღსანიშნავი, რომ ტორონტოში სკოლიდან მოვიდა. სტუდენტობა არ გამოუცდია არც პირველი რაუნდის ბოლო 29 არჩევის ლეონ სმიტს.

დრაფტის პირველ წრეში ნბა-ს კლუბებმა სამ უცხოელს დაადგეს თვალი და სამივე ბებერი კონტინენტიდანაა. ამათგან პირველი გაპროფესიონალდა იუგოსლავიელი ცენტრი ალექსანდრ რადოვევიჩი (მე-12 ნომრად ტორონტომ აიყვანა). იუგოსლავიელს, ვინაც წლევანდელ დრაფტში არჩეულთაგან ყველაზე მაღალია (221 სანტიმეტრია), გასული სეზონის საუკეთესო ახალბედა ვინს კარტერთან ერთად მოუწევს თამაში.

მეორე უცხოელია ფრანგი ცენტრი, რადოვევიჩზე სამი სანტიმეტრით დაბალი ფრედერიკ ვეისი. იგი ნიუ იორკმა მე-15 ნომრად აიყვანა, მაშინ, როცა ვეისი სამშობლოში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის ნაკრებს სიდნეის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებაში ეხმარებოდა. მესამე არაამერიკელი ეროვნებით რუსი გახლავთ, სახელად ანდრეი კირილენკო. გაუმართლა კირილენკოს — იგი „იუტა ჯაზში“ მოხვდა და იქ კარლ მელოუნს დაუმშვენებს მხარს.

რაც შეეხება მეორე წრეს აქ მხოლოდ ერთი ევროპელი მოექცა ყურადღების ცენტრში, ხორვატი გორდონ გირიჩეკი. იგი 40-ე ნომრად აიყვანა „დალას მავერიქსმა“, რომელმაც ხორვატამდე, 36-ე ჯერზე ჩინელი ვან ჟი ჟი. თუ მოხდა და დალასმა ჩინელი თუნდაც ერთი წუთით ათამაშა რომელიმე შეხვედრაში, ჟი ჟიმ უნდა თქვას ბედი მქონიაო, რადგან იგი შეიქმნება პირველი ჩინელი, რომელმაც კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში ითამაშა.

ირაკლი ფირაშვილი

1999 წლის დრაფტი. 30 ივნისი. ვაშინგტონი

	კლუბი	მოთამაშე	ამპლუა	უნივერსიტეტი
	პირველი წრე			
1	ჩიკაგო	ელტონ ბრენდი	ფორვარდი	დიუკი
2	ვანკუვერი	სტივ ფრენსისი	უკანა ხაზი	მერილენდი
3	შარლოტი	ბარონ დევისი	უკანა ხაზი	ნევადა-ლას ვეგასი
4	კლიპერსი	ლამარ ოდომი	ფორვარდი	როდ აილენდი
5	ტორონტო	ჯონათან ბენდერი	ფორვარდი	პიკაიუნის სკოლა
6	მინესოტა	ველი შჩერბიაკი	ფორვარდი	მაიამი (ოჰაიო)
7	ვაშინგტონი	რიჩარდ ჰამილტონი	ფორვარდი	კონექტიკუტი
8	კლივლენდი	ანდრე მილერი	უკანა ხაზი	იუტა
9	ფინიქსი	შონ მარიონი	ფორვარდი	ნევადა-ლას ვეგასი
10	ატლანტა	ჯეისონ პერი	უკანა ხაზი	არიზონა
11	კლივლენდი	ტრაიან ლანგდონი	უკანა ხაზი	დიუკი
12	ტორონტო	ალექს რადოვევიჩი	ცენტრი	ბარტონ ქაუნთი
13	სიეტლი	კორი მაგიტი*	ფორვარდი	დიუკი
14	მინესოტა	ვილიამ აივერი	უკანა ხაზი	დიუკი
15	ნიუ იორკი	ფრედერიკ ვეისი	ცენტრი	ლიმოჟი (საფრანგეთი)
16	ჩიკაგო	რონ არტესტი	ფორვარდი	სენტ ჯონსი
17	ატლანტა	კელ ბოუდლერი	ფორვარდი	ოლდ დომინიონი
18	დენვერი	ჯეიმს პოსი	ფორვარდი	ქსავიე
19	იუტა	ქვინსი ლუისი	ფორვარდი	მინესოტა
20	ატლანტა	დიონ გლოვერი	უკანა ხაზი	ჯორჯიის ტექნიკური
21	გ. სტეიტი	ჯეფ ფოსტერი*	ცენტრი	სამხ.-დას. ტეხასი
22	ჰიუსტონი	კენი ტომასი	ფორვარდი	ნიუ მექსიკო
23	ლეიკერსი	დევინ ჯორჯი	ფორვარდი	აუგსბურგი(მინესოტა)
24	იუტა	ანდრეი კირილენკო	ფორვარდი	ცსკა (რუსეთი)
25	მაიამი	ტიმ ჯეიმსი	ფორვარდი	მაიამი
26	ინდიანა	ვონტიგო კამინგსი*	უკანა ხაზი	პიტსბურგი
27	ატლანტა	ჯუმეინ ჯონსი*	ცენტრი	ჯორჯია
28	იუტა	სკოტ პაჯეტი	ფორვარდი	კენტუკი
29	სან ანტონიო	ლეონ სმიტი*	ფორვარდი	მ. ლ. კინგის სკოლა
	მეორე წრე			
...36	დალასი	ვან ჟი ჟი	ცენტრი	ჩინეთი
...40	დალასი	გორდან გირიჩეკი*	უკანა ხაზი	ციბონა (ხორვატია)

* — *დრაფტის ღამესვე გაცვლილი მოთამაშეები*

ევროპის 2001 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპის განრიგი

A ჯგუფი

24.11.1999
ხორვატია — სლოვაკეთი
ინგლისი — შვეიცარია
ლატვია — უნგრეთი
27.11.1999
სლოვაკეთი — ინგლისი
უნგრეთი — ხორვატია
შვეიცარია — ლატვია
01.12.1999
უნგრეთი — სლოვაკეთი
ლატვია — ინგლისი
ხორვატია — შვეიცარია
23.02.2000
სლოვაკეთი — ლატვია
შვეიცარია — უნგრეთი
ინგლისი — ხორვატია
26.02.2000
შვეიცარია — სლოვაკეთი
ხორვატია — ლატვია
უნგრეთი — ინგლისი
22.11.2000
სლოვაკეთი — ხორვატია
შვეიცარია — ინგლისი
უნგრეთი — ლატვია
25.11.2000
ინგლისი — სლოვაკეთი
ხორვატია — უნგრეთი
ლატვია — შვეიცარია
29.11.2000
სლოვაკეთი — უნგრეთი
ინგლისი — ლატვია
შვეიცარია — ხორვატია
24.01.2001
ლატვია — სლოვაკეთი
უნგრეთი — შვეიცარია
ხორვატია — ინგლისი
27.01.2001
სლოვაკეთი — შვეიცარია
ლატვია — ხორვატია
ინგლისი — უნგრეთი

B ჯგუფი

24.11.1999
ჩეხეთი — ბელარუსი
პოლონეთი — ავსტრია
ესტონეთი — საბერძნეთი
27.11.1999
ბელარუსი — პოლონეთი
საბერძნეთი — ჩეხეთი
ავსტრია — ესტონეთი
01.12.1999
საბერძნეთი — ბელარუსი
ესტონეთი — პოლონეთი
ჩეხეთი — ავსტრია
23.02.2000
ბელარუსი — ესტონეთი
ავსტრია — საბერძნეთი
პოლონეთი — ჩეხეთი
26.02.2000
ავსტრია — ბელარუსი
ჩეხეთი — ესტონეთი
საბერძნეთი — პოლონეთი
22.11.2000
ბელარუსი — ჩეხეთი
ავსტრია — პოლონეთი
საბერძნეთი — ესტონეთი
25.11.2000
პოლონეთი — ბელარუსი
ჩეხეთი — საბერძნეთი
ესტონეთი — ავსტრია
29.11.2000
ბელარუსი — საბერძნეთი
პოლონეთი — ესტონეთი
ავსტრია — ჩეხეთი
24.01.2001
ესტონეთი — ბელარუსი
საბერძნეთი — ავსტრია
ჩეხეთი — პოლონეთი
27.01.2001
ბელარუსი — ავსტრია
ესტონეთი — ჩეხეთი
პოლონეთი — საბერძნეთი

C ჯგუფი

24.11.1999
ისრაელი — ჰოლანდია
შვედეთი — ფინეთი
ბულგარეთი — ბოსნია
27.11.1999
ჰოლანდია — შვედეთი
ბოსნია — ისრაელი
ფინეთი — ბულგარეთი
01.12.1999
ბოსნია — ჰოლანდია
ბულგარეთი — შვედეთი
ისრაელი — ფინეთი
23.02.2000
ჰოლანდია — ბულგარეთი
ფინეთი — ბოსნია
შვედეთი — ისრაელი
26.02.2000
ფინეთი — ჰოლანდია
ისრაელი — ბულგარეთი
ბოსნია — შვედეთი
22.11.2000
ჰოლანდია — ისრაელი
ფინეთი — შვედეთი
ბოსნია — ბულგარეთი
25.11.2000
შვედეთი — ჰოლანდია
ისრაელი — ბოსნია
ბულგარეთი — ფინეთი
29.11.2000
ჰოლანდია — ბოსნია
შვედეთი — ბულგარეთი
ფინეთი — ისრაელი
24.01.2001
ბულგარეთი — ჰოლანდია
ბოსნია — ფინეთი
ისრაელი — შვედეთი
27.01.2001
ჰოლანდია — ფინეთი
ბულგარეთი — ისრაელი
შვედეთი — ბოსნია

D ჯგუფი

24.11.1999
სლოვენია — პორტუგალია
უკრაინა — ისლანდია
ბელგია — მაკედონია
27.11.1999
პორტუგალია — უკრაინა
მაკედონია — სლოვენია
ისლანდია — ბელგია
01.12.1999
მაკედონია — პორტუგალია
ბელგია — უკრაინა
სლოვენია — ისლანდია
23.02.2000
პორტუგალია — ბელგია
ისლანდია — მაკედონია
უკრაინა — სლოვენია
26.02.2000
ისლანდია — პორტუგალია
სლოვენია — ბელგია
მაკედონია — უკრაინა
22.11.2000
პორტუგალია — სლოვენია
ისლანდია — უკრაინა
მაკედონია — ბელგია
25.11.2000
უკრაინა — პორტუგალია
სლოვენია — მაკედონია
ბელგია — ისლანდია
29.11.2000
პორტუგალია — მაკედონია
უკრაინა — ბელგია
ისლანდია — სლოვენია
24.01.2001
ბელგია — პორტუგალია
მაკედონია — ისლანდია
სლოვენია — უკრაინა
27.01.2001
პორტუგალია — ისლანდია
ბელგია — სლოვენია
უკრაინა — მაკედონია

გადაღლილი ტომიანოვიჩი ლარი ბრაუნმა შეცვალა

14-25 ივლისს პუერტო-რიკოში ამერიკის ზონის 10 გუნდი სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. მათ შორისაა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებიც, რომელშიც ცხრა პროფესიონალია.

ორშაბათს გუნდი უმწვრთნელოდ დარჩა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ამავდროულად „ჰიუსტონ როკეტსის“ დამრიგებელმა რუდი ტომიანოვიჩმა გადადგომის თაობაზე გააკეთა განცხადება. ამის მიზეზად ტომიანოვიჩმა ფიზიკური გადაღლილობა დაასახელა.

ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ ტომიანოვიჩის შემცვლელი იმავე დღეს დაასახელა. მისი აწ უკვე ყოფილი თანაშემწე, ამავდროულად „ფილადელფია 76“-ის მწვრთნელი ლარი ბრაუნი ამერიკის ნაკრებს სათავეში მოექცა. პუერტო-რიკოში გუნდს იგი წაიყვანს. მის თანაშემწეობას კვლავ ძველი ხალხი, პერდიუს უნივერსიტეტის მწვრთნელი ჯინ კიდი და კენტუკის უნივერსიტეტის მწვრთნელი ტიუბი სმიტი გასწევს.

ტომიანოვიჩის ჯანმრთელობის შესახებ „ჰიუსტონ როკეტსის“ ექიმმა ჯიმ მინცმა განაცხადა: „რუდი გადაიღალა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლა სჭირდება. ჩვენ დასვენება ვურჩიეთ. ამერიკის ნაკრების გაწვრთნა დიდ ფიზიკურ და ნერვული ენერგიის გაღებას მოითხოვს, რაც ტომიანოვიჩისთვის მიზანშეწონილი არ არის“. შეგახსენებთ, რომ 50 წლის ტომიანოვიჩი რვა წელიწადია „ჰიუსტონ როკეტსს“ წვრთნის. 1994 და 1995 წლებში გუნდი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა, წლეულს კი „როკეტსი“ პლეი ოფის პირველ წრეში „ლეიკერსთან“ დამარცხდა.

ამერიკის კალათბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა უორენ ბრაუნმა თქვა: „პირველ რიგში, რუდის ვუსურვებთ სწრაფ გამოჯანმრთელებას. ნაკრების ახალი მწვრთნელი ლარი ბრაუნი შესანიშნავი სპეციალისტია, ჩვენ გვჯერა მისი. მისი თანაშემწეებიც მცოდნე ხალხია. დარწმუნებულნი ვართ, ლარი, ჯინი და ტიუბი გუნდს ოლიმპიადაზე გაიყვანენ“.

იაგორაშვილი ამერიკასა და საქართველოს შუა

ხუთჭიდის ჯენტლმენი ამერიკული ბიუროკრატიის მორევში

რამდენიმე წლის წინ სამშობლოდან აყრილი და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასული ქართველი ხუთჭიდელი, ერთ დროს ყველა დიდ შეჯიბრებაზე უმაღლესი ჯილდოს უპირველესი კანდიდატი და ჩვენი იმედი, ვახტანგ იაგორაშვილი. ამერიკელ ხუთჭიდელთა და არა მარტო მათ წრეში დიდად დაფასებული კაცია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ ქვეყნის ხუთჭიდელთა ბოლოდროინდელ წარმატებებში მან ლომის წილი დაიდო, თანაც მას შემდეგ, რაც ვარჯიშისთვის კარგა ხნის დანებებული ჰქონდა თავი. მართალია, ხუთჭიდი ახალგაზრდული სახეობა არ არის და აქ უწვერულებთან ერთად ჭარმაგნიც იმარჯვებენ, მაგრამ ვახტანგის 35 წელი სპორტისთვის ცოტა მაინც არ არის. მიუხედავად ამისა, იაგორაშვილი პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მონაწილეობს და იშვიათი გამონაკლისების გარდა, წარმატებებსაც აღწევს.

„ხუთჭიდის ჯენტლმენს", როგორც იაგორაშვილს შტატებში უწოდებენ, ამერიკაში საკუთარ სახლში შევეხმიანეთ და კარგა ხანს ვესაუბრეთ, რამაც სამშობლომონატრებული სპორტსმენიც გაახარა და არც ჩვენ დაგვწყვიტა გული.

— როგორ მიგდით საქმეები?

— ნორმალურად. ამერიკა ძალიან დალაგებული ქვეყანაა და მანდ რომ ადამიანს პრობლემები ექმნება, აქ ამას ვერც წარმოიდგენენ.

— საქართველოდან კარგა ხნის წასული ბრძანდებით. გავიხსენოთ, როდის და როგორ მოხდა ეს...

— 92-ში. მაშინ საქართველოში ძალიან არეული მდგომარეობა იყო და სპორტისთვის და მით უმეტეს ხუთჭიდისთვის აღარავის ეცალა. რა უნდა მეკეთებინა? ავდექი და შტატებში გადმოვედი.

— შტატები ქუთაისი ხომ არ არის, ასე ადვილი იყოს წასვლა. როგორ მოახერხეთ ეს?

— მე თვითონ არავინ მიძებნია. ალბათ, გახსოვთ, იმ არეულობის პერიოდში რუსები აქტიურობდნენ ძალიან და არაერთ ღირებულ სპორტსმენს თავისთან ეპატიჟებოდნენ. მეც შემომთავაზეს რუსეთში გადასვლა, მაგრამ არ ვისურვე, რადგან იმ დროს ამას სხვანაირ, უფრო პოლიტიკურ ელფერს მისცემდნენ. თანაც იმავდროულად ამერიკელებმა შემომთავაზეს მათთან გადასვლა და ამერიკა რუსეთს რომ სჯობს, ამაში ახალი არაფერია. მეც ავდექი და აქეთ გამოვეშურე.

— და მაშინვე ვარჯიშს შეუდექით?

— არა, რას ამბობთ. ხუთჭიდისთვის ოთხი წლის დანებებული მქონდა თავი. შტატებში ჩასვლისას ტეხასში, ქალაქ ოსტინში დავსახლდი და ერთ-ერთ კოლეჯში დავიწყე მუშაობა სპორტულ ინსტრუქტორად. სხვათა შორის, ამერიკელ ხუთჭიდელთა ბაზაც სწორედ ტეხასში მდებარეობს და აქაურ ხუთჭიდელებს კონსულტაციებსაც ვუწევდი. ჩემი ჩამოსვლისას ქვეყანაში ამ სახეობის დონე მაინცდამაინც მაღალი ნამდვილად არ იყო, ალბათ, სწორედ ამიტომ ისურვეს მათ ჩემთან ერთად მუშაობა.

— მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში საერთოდ არ გივარჯიშიათ?

— რასაც პროფესიონალის ვარჯიში ჰქვია, არა, თორემ ისე, ჩემთვის ვერთობოდი ხოლმე.

— შტატებში ოჯახთან ერთად ჩახვედით თუ მარტო?

— მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად. სამწუხაროდ, 95-ში მეუღლეს გავცილდი. ახლა ის და ჩემი ქალ-ვაჟი ოსტინში ცხოვრობენ, მე კი — სან ანტონიოში, მაგრამ ბავშვები კვირაში სამი დღე ჩემთან არიან.

— სან ანტონიოში რატომ გადახვედით?

— ამ ქალაქებს შორის ამერიკული საზომებით არც ისე დიდი მანძილია, მანქანით საათნახევარს თუ მოანდომებს კაცი, მაგრამ მე მაინც მიჭირდა ყოველდღე მოძრაობა. ეს კი აუცილებელი იყო, რადგან ხუთჭიდელთა ბაზა სწორედ სან ანტონიოშია და იქ სიარული ყოველდღე მიწევდა. ახლა კი უფრო მიადვილდება.

— ვარჯიშის განახლება რამ გადაგაწყვეტინათ?

— ხომ იცით, სპორტსმენის კარიერაში ოლიმპიური თამაშები უმთავრესია. 96-ში ოლიმპიადა უნდა გამართულიყო და ძალიან მინდოდა, მონაწილეობა მიმეღო. საამისოდ აუცილებელი წინაპირობა ლიცენზია გახლდათ. მცირეოდენი მომზადების მერე მექსიკაში, ერთ-ერთ საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში მეოთხე ადგილზე გავედი და ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებაც მოვიპოვე.

ნონა გაფრინდაშვილი და ვახტანგ იაგორაშვილი 1996 წლის ოლიმპიური თამაშებზე. ატლანტა, „ქართული სახლი"

რბენა, ფარიკაობა... ვახტანგ იაგორაშვილი ჩვეულ ამპლუაში

— რაც ამერიკაში ხართ, რა რანგის შეჯიბრებებში მიგიღწევიათ წარმატებებისთვის?

— ერთბაშად ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება კიდეც. აქაური ჩემპიონატები, მსოფლიოს თასის გათამაშებები, მსოფლიოს ჩემპიონატები — უმეტესად არსად დავრჩენილვარ და ამ ჯილდოებს შორის ყოველთვის ოქრო სჭარბობდა.

— 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მაინცდამაინც დიდი წარმატება არ გხვდათ წილად.

— მართალია, არადა, მაშინ ბოლომდე მქონდა საპრიზო ადგილის დაკავების შანსი. უკანასკნელი დისციპლინის წინ მეოთხე ადგილზე ვიყავი, მაგრამ შემდეგ ბოლო ეტაპი ჩამივარდა და საბოლოოდ მხოლოდ მე-16 ადგილს დავჯერდი.

— უწინ თქვენთვის საუკეთესო დისციპლინად ცურვა ითვლებოდა და სხვებში შედარებით წარუმატებელ გამოსვლას ამ სახეობაში დაგროვილი ქულებით ავსებდით, აი, ცხენოსნობაში კი უფრო გიჭირდათ. ახლაც იგივე სიტუაციაა თუ შეიცვალა რამე?

— ცურვა მართლაც ყოველთვის ჩემი საუკეთესო დისციპლინა იყო. ახლაც არ ვცურავ ურიგოდ. რაც შეეხება ცხენოსნობას, ვერ ვიტყვი, რომ სუსტი ვიყავი, უბრალოდ, აქ გამართლების მომენტიც არის. ცხენოსნობაში მარტო შენს თავზე არ ხარ დამოკიდებული. თანაც, ცხენი მანქანა არ არის, რაც უნდა იყოს, ცოცხალი არსებაა, ასე რომ... არა, ცხენებში აშკარად არ მიმართლებდა.

— 1997 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახელით გამოდიხართ. ამასთან დაკავშირებით საქართველოდან რაიმე პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?

— არავითარი. პირადად ვესაუბრე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს, რომელიც ჩემს სურვილს გაგებით მოეკიდა. არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ საქართველოში სპორტსმენთა რჩენის ელემენტარული პირობებიც კი არ არის. ბატონ ჯანოზე კარგად კი აბა, ეს ვის მოეხსენება და ამიტომ ყველაფერი უმტკივნეულოდ მოგვარდა. ამერიკის სახელით ქართული მხარის დასტურით გამოვდივარ.

— სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებში რომელი ქვეყნის სახელით გამოხვალთ?

— ვერაფერს მოგახსენებთ. სიდნეიში გამოსვლა გულით მწადია, მაგრამ როგორ განვითარდება მოვლენები, ამას ჯერ ვერ გეტყვით.

— რატომ, ამერიკის მოქალაქეობა ჯერ არ მიგიღიათ?

— ახლა ვაპირებ მიღებას, მაგრამ ოლიმპიური თამაშებისთვის მოვასწრებ თუ არა, არ ვიცი. წესით უნდა მივიღო, თუმცა აქაც გარკვეული წყალქვეშა დინებებია. მართალია, ამერიკა ძალიან მოწესრიგებული სახელმწიფოა, მაგრამ ბიუროკრატიული ბარიერები აქაც საკმაოა. მაგალითად, მავანნი მოქალაქეობის მიღებას შეგნებულად მიჯანჯლებენ, რადგან ოლიმპიადაზე ხუთჭიდელები გუნდურ დისციპლინაში არ გამოდიან და ყოველი ქვეყნიდან მხოლოდ ერთ სპორტსმენს აგზავნიან. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეობას ვერ მივიღებ, ამერიკიდან სიდნეიში სხვა, ზოგიერთებისთვის უფრო სასურველი წარმომადგენელი წავა.

— და რა პრობლემაა, თუ მოქალაქეობის მიღება არ მოგიხერხდებათ, მაშინ ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით გამოხვალთ.

— ეგრე არ არის საქმე. საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა კი დამრთო ნება, ამერიკის სახელით მეასპარეზა, მაგრამ ამ შემთხვევაში მეტად საეჭვოდ მესახება ის, რომ ამერიკელებმაც ანალოგიური ნაბიჯი გადადგან და ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით ასპარეზობის უფლება მომცენ.

— მოკლედ, საკმაოდ ჩახლართული სიტუაცია იქმნება.

— სწორედ ასეა. თუმცა ჯერ ზუსტად არც მე ვიცი და საბოლოოდ იქნებ ყველაფერი მოგვარდეს.

— ახლა იმას ხომ არ გკითხავთ, სავარჯიშო პირობები როგორი გაქვთ-მეთქი. ამ მხრივ, ალბათ, ყველაფერი რიგზეა...

— რა თქმა უნდა.

— საყოფაცხოვრებო პირობები როგორია. რა შემოგთავაზეს ამერიკელებმა?

— აქ განსაკუთრებული არაფერია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვწუწუნებ. საქმე ისაა, რომ ხუთჭიდი ამერიკაში დიდად პოპულარულ სახეობად არ ითვლება. ვთქვათ, კალათბურთს, ბეისბოლს, ამერიკულ ფეხბურთს და კიდევ რამდენიმე სახეობას ის ვერანაირად ვერ გაუტოლდება. სპორტსმენთა პირობები კი სწორედ აქედან გამომდინარეობს. მაგალითად, აქ ჩამოსვლისას ჩემთვის სახლი და მანქანა არ მოუციათ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. ბინა თავად ვიქირავე, მანქანაც შევიძინე. ერთი სიტყვით, ხუთჭიდით ამერიკაში ვერ გამდიდრდები, მაგრამ არც ის იქნება სწორი, ვთქვა, მიჭირს-მეთქი. ნორმალურად ვცხოვრობ და არაფერს ვუჩივი.

— რა მანქანა გაქვთ?

— „ჰონდა" მქონდა. ახლა კი ახალი „ფოლქსვაგენი" შევიძინე.

— ბინა?

— თბილისში რომ სამოთახიანს ეძახიან, ისეთი ბინა მაქვს.

— საკუთარ თავს ემიგრანტად თუ გრძნობთ?

— ჩვეულებრივ ურთიერთობებში არა, მაგრამ რაღაცეებში მაინც იგრძნობა. ტრაბახს არ დავიწყებ, მაგრამ ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ამერიკის გუნდი მე ვათრიე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და, როგორც იქნა, პირველ ადგილზეც გავიყვანე, მაგრამ პრესას ეს მაინცდამაინც არ აღუნიშნავს. პირიქით, ისე გამოვიდა, თითქოს დანარჩენებმა ძალიან ივარგეს, მე კი ისე, უბრალოდ ვეხმარებოდი.

გარდა ამისა, ერთი პირობა ამერიკის ხუთჭიდელთა ნაკრების მწვრთნელობა განვიზრახე. ამერიკელებმა ძალიან მომიწონეს სურვილი, მაგრამ საქმე კონკრეტულ მოლაპარაკებაზე რომ მიდგა, ისეთი ანაზღაურება შემომთავაზეს, რომ არ დავთანხმდი. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მადა ნამდვილად არ მაქვს, ის თანხა ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც კი ვერ დამიკმაყოფილებდა. ამერიკელს ასეთ ანაზღაურებას ნამდვილად არ შესთავაზებდნენ, მე კი იაფ სამუშაო ძალად ჩამთვალეს. ჩემი აზრით, ადამიანმა საკუთარი ღირსების გრძნობა არ უნდა დაკარგო და საკუთარი თავის ფასი უნდა იცოდე.

— არ შეიძლებოდა, გევარჯიშათ და თან ნაკრების მწვრთნელად გემუშავათ?

— ჯერ ერთი, შეიძლება ჩემთვის ამის უფლება არ მოეცათ, თანაც ამდენს როგორ გავწვდებოდი. დროც არ მეყოფოდა. ვარჯიში და მწვრთნელობა ერთდროულად ძალიან დიდი დატვირთვაა.

ისე, ბოლო-ბოლო, ამერიკელებმა მაინც საბჭოეთიდან წასული სპეციალისტი შეიგულეს მწვრთნელად. იგი ეროვნებით ყაზახია. ძალიან პატარა გასამრჯელოს იღებს, მაგრამ გაჭირვებული ქვეყნის შვილია და მაინც კმაყოფილია.

— სან ანტონიო რას წარმოადგენს? ქართველები თუ ცხოვრობენ მანდ?

— ნორმალური, კოხტა, სუფთა და ლამაზი ამერიკული ქალაქია. ძალიან ადვილად შეეგეგუე. რაც შეეხება ქართველებს, ტეხასში ქართველები ძალიან ცოტანი არიან. ისინი უფრო კალიფორნიაში ან ატლანტაში ცხოვრობენ.

— აბა, ვისთან მეგობრობთ?

— აქ ბევრთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— თავიდან არ გაგიჭირდათ შეგუება?

— არა, რადგან ბუნებით ისეთი ვარ, ყველაფერ ახალს ადვილად ვეჩვევი. არც ენობრივი ბარიერი მქონია. სიყმაწვილიდან საკმაოდ ბევრს ვმოგზაურობდი საზღვარგარეთ და, ასე თუ ისე, ინგლისური ვიცოდი.

— ამერიკული სამზარეულო ქართულისგან საგრძნობლად განსხვავდება...

— არც ეს გამჭირვებია. თუ გემრიელია, ამერიკულ საჭმელსაც სიამოვნებით გეახლებით. შინ თვითონვე ვამზადებ. სხვათა შორის, ჩემი დამზადებული სპირტიანი კოქტეილები აღიარებულია, ყველას მოსწონს. რა ვიცი, იქნებ ბარმენობაც ვცადო (იცინის).

— თავისუფალ დროს რით ერთობით?

— ძალიან მიყვარს კლუბებში სიარული. ყველაფერი მაღალ დონეზეა და არც არავინ შეგაწუხებს. გარდა ამისა, თითქმის ყველა სახეობა მიყვარს და თავისუფალ დროს ან თავად ვთამაშობ, ანაც სპორტულ ასპარეზობებს ვესწრები.

— სან ანტონიომ წლეულს NBA-ს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მათ თამაშებს თუ ესწრებოდით?

— აბა, როგორ, ძალიან ხშირად. კალათბურთი ხომ ძალიან მიყვარს. თანაც, დავდივარ კი არა, თითქმის მთელ გუნდს ვიცნობ.

— კიდევ ვის იცნობთ ცნობილი სპორტსმენებიდან?

— ახლოს ვარ ლიტველ არვიდას საბონისთან. ის უდიდესი სპორტსმენი და ძალიან კარგი ადამიანია. გარდა ამისა, ერთხანს მსახიობ დოლფ ლუნდგრენთანაც მქონდა ურთიერთობა, რომელიც ფილმში „როკი" რუსი მოკრივის, ივან დრაგას როლს ასრულებდა. ლუნდგრენს კონსულტაციებს ვუწევდი და ის ჩემი პროგრამით ვარჯიშობდა. საერთოდ, დოლფ ლუნდგრენი ამერიკაში ძალიან პოპულარული მსახიობია.

— ლუნდგრენს თქვენთან ვარჯიში რაში დასჭირდა?

— რომელიღაც ფილმში იღებდნენ და იქ ხუთჭიდელის როლი უნდა შეესრულებინა, ამისთვის კი ხუთჭიდის ანბანი მაინც ხომ უნდა აეთვისებინა.

— მოკლედ, კარგად ხართ და ეს ბუნებრივია, მაგრამ ბოლოს საქართველოში აპირებთ დაბრუნებას თუ მანდ გსურთ დარჩენა?

— ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით. ჯერჯერობით ჯანი მერჩის და სარბიელზეც კარგად გამოვდივარ. სპორტს თავს რომ დავანებებ, შერე რას ვიზამ, არ ვიცი. ერთი ეგ არის, კარიერის დასრულების შემდეგ, ალბათ, სპორტს მაინც არ ჩამოვშორდები და ჩემს ბედს ისევ საყვარელ საქმეში ვცდი. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ირაკლი ხუციშვილი

ვახტანგ იაგორაშვილი (მარცხნივ) და მისი ამერიკელი თანაგუნდელები სკატ კრისტი და სკიპ კონერი 1997 წლის მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ

პანტის ძებნის თეორია თურაშაულის ქვეყანაში

ძველი ბიჭი თუ კაი ყმა?

ვახტანგ ბალავაძის 37-ე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ბოლო შეხვედრა მიმდინარეობდა. მძიმე წონის ფინალში ერთმანეთს ალექსანდრე მოდებაძე და შოთა ბილანიშვილი ხვდებოდნენ. მოდებაძე თავიდანვე დაწინაურდა. უჩვეულო არაფერი ხდებოდა — საქართველოს ნაკრების ლიდერი დამსახურებულად უგებდა მეტოქეს. უჩვეულო და მოულოდნელი მერე მოხდა — რეა ქულით ჩამორჩენილმა ბილანიშვილმა ბალიჩა მიატოვა და წავიდა. ეს რომ ერთეული შემთხვევა იყოს, კიდევ დახუჭავდი კაცი თვალს. საუბედუროდ, ასე არაა. იმავე ტურნირზე თითქმის ანალოგიურად მოიქცა შმაგი ჩოხელი. რეგაზ მინდორაშვილსაც ფინალში, უზბეკ მეტოქესთან, მეტი თავშეკავება მართებდა. სამწუხაროდ, მსგავს შემთხვევებს მრავლად შეხვდებით რესპუბლიკურ ტურნირებზეც. ამიტომ ასეთი საქციელი სპორტში რაინდული სულისკვეთების გაქრობის სიმბოლურ ფაქტადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

და ეს ხდება მწვრთნელთა თვალწინ. მახსოვს, ზუსტად ერთი წლის წინ ვახტანგ ბალავაძეს ვესაუბრებოდი. ბევრზე ვილაპარაკეთ და საკმაოდ დიდხანსაც. როცა ჭიდაობაში დაკარგული პოზიციების დაბრუნებაზე ჩამოვუგდე სიტყვა, ბატონმა ვახტანგმა ამის ერთ-ერთ წინაპირობად მწვრთნელთა პედაგოგიური ტაქტიანობის ამაღლებაც მიიჩნია. ეტყობა, "ჭიდაობის პროფესორი" ცამდე მართალია. მწვრთნელმა ჭიდაობის გარდა შეგირდებს კაცობაც უნდა ასწავლოს. მტრობას, შურსა თუ ბოღმას კეთილი და დიდი საქმე არასოდეს უკეთებია. დიდ სპორტსმენს მარცხის ღირსეულად გადატანაც უნდა შეეძლოს. მეტოქისთვის გამარჯვების მილოცვაც ხომ რაინდული ქცევაა. მომავალ სპორტსმენებს ეს ბავშვობიდანვე უნდა ჩაუნერგონ. ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა მწვრთნელი ამის გაუთვალისწინებლად მუშაობდეს, მაგრამ, ეტყობა, ზოგჯერ სპორტსმენები მათგანაც იღებენ მაგალითს.

ბოლოთქმული სპორტის ყველა სახეობას ეხება. ამიტომაც მომრავლდნენ „ძველი ბიჭები" სპორტში. ხშირად ისინი მწვრთნელებსაც არად აგდებენ, ამას კი უმცროსები, მომავალი თაობაც უყურებს... ამასთან, ბოლოს და ბოლოს დღევანდელი სპორტსმენებიც ხომ ხვალინდელი მწვრთნელები არიან... მათი გაწვრთნილებიც საკუთარ სისუსტეს მსაჯებს დააბრალებენ და ვარჯიშის ნაცვლად მათთან კამათში გაფლანგავენ დროს. ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელებში" ევროპის ჩემპიონ და მსოფლიოს მესამე პრიზიორ ბადრი ბასიას აღმზრდელმა მწვრთნელმა — დავით დავთაიამ მითხრა, მსაჯები ყოველთვის დაგჩაგრავენ, მაგრამ შენ შენი ბრძოლით უნდა წაართვა მასაც და მეტოქესაც. მოზარდმა სპორტსმენმა წუწუნისა და თავის მართლების ნაცვლად პრობლემებთან ჭიდილი უნდა ისწავლოს. ამ მაგალითის დამოწმებით მხოლოდ სწორი აღზრდის მნიშვნელობას გავუსვი ხაზი. სხვა მხრივ, ხასაიც ისეთსავე პირობებში ვარჯიშობს, როგორშიც სხვები. ისინი იქნებ ბადრიზე ნიჭიერებიც არიან, მაგრამ მათი ტალანტი უკვალოდ ქრება.

მოკლედ, ჭიდაობაში (საერთოდ, სპორტშიც) სწორად აღზრდის პრობლემა დგას და მას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. სხვა თუ არაფერი, დისციპლინა წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

გვანახეთ ჭიდაობა!

ბალავაძის სახელობის ტურნირმა ჭიდაობის დაბალი ხარისხით დაგვამახსოვრა თავი. ორი დღის განმავლობაში სპორტის სასახლეში თითქმის არ გვინახავს ეფექტური გდებები, ლამაზი ილეთები... თითქმის არ გაკეთებულა კისრული, სარმა, მოგვერდი... საერთოდ უარყოფილია ფეხით ჭიდაობა, დგომში ჭიდაობა. სამაგიეროდ, დიდი გასავალი ჰქონდა ფეხში ხელით შესვლას და ჩოქბჯენიდან დატრიალებას. ამას აკეთებდა ყველა. ამით ჭიდაობა სანახაობრივად გაღარიბდა. ერთფეროვანი, დამღლელი და მოსაწყენი გახდა.

თუმცა ეს არაა მარტო ჩვენი ჭიდაობის ან თუნდაც მხოლოდ ქართული სპორტის პრობლემა. სანახაობრიობის დაკნინებას მთლიანად მსოფლიოს სპორტს უკიჟინებენ. ამის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც თვლიან, რომ სპორტში მოჭარბებულად შეიჭრა კომერცია — დიდი ფულის დაკარგვის შიშით სპორტსმენები ნაკლებად რისკავენ...

ზემოთ ვთქვით, ქართული ჭიდაობის ილეთები თითქმის არ გვინახავს-მეთქი. ამაზე სპეციალისტებში აზრთა სხვადასხვაობაა, შეიძლება ითქვას, თაობათა ურთიერთდაპირისპირებაც. ძველები ძველ დროს მისტირიან, ახლები კი ამ ილეთების უარყოფას დროის მოთხოვნად თვლიან. ტურნირზე ერთიორჯერ გამოიყენეს კისრული. ორჯერვე ოსმა სტუმრებმა და თანაც ქართველთა წინააღმდეგ. ორჯერვე მეტოქემ მოიგო. ვფიქრობ, შემაშფოთებელი ფაქტია. ამიტომაც წუხდა ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, როგორ შეიძლება, უცხოელი ქართველს ქართული ილეთით გიგებდესო. ქართული ჭიდაობა ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული ყოველგვარი ჭიდაობის საფუძველი იყო. ამიტომაც ჩვენი მოჭიდავეები მუდამ გამოირჩეოდნენ. ვახტანგ ბალავაძემ მითხრა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ქართველები ყოველთვის ვჭარობდით სხვებსო. მართლაც, რამდენი გვყოლია, ვინ მოთვლის... მათი მიღწევების საფუძვლად სწორედ ქართული ჭიდაობა ითვლებოდა. დღეს კი რა ხდება? ჩვენს ჭიდაობას ჩვენვე ვიგინწყებთ, სხვები კი — არა.

ამიტომაც სწყდებოდა გული ვახტანგ ბალავაძეს და არამარტო მას. ქართველი კაცი ყოველთვის ხელით და ფეხით ჭიდაობდაო, მითხრა მან. ჩვენს დროს დგომშიც და ჩოქბჯენშიც ილეთების მრავალფეროვნება იყოო, დაამატა დავით ციმაკურიძემ.

ბატონმა ვახტანგმა ისიც აღიარა, რომ დღეს მისი დროის ჭიდაობასთან შედარებით დაბალი დონეა. როცა სპორტსმენი ხელით და ფეხით ჭიდაობს, ამ დროს ენერგიაც ეზოგებაო, ესეც თქვა და თან ნაღვლიანად მისჩერებოდა დაღლილობისგან გასავათებულ სპორტსმენებს (ზოგჯერ ფეხზე დგომაც რომ უჭირდათ). სულ 12 წუთში მოგებულ მსოფლიოს ჩემპიონობას იგონებდა. ისიც თვალწინ ედგა „ჭიდაობის პროფესორს", თქვენ-გორ იპყრობდნენ სპორტულ მწვერვალებს ნაირნაირი ილეთების გამოყენებით დავით ციმაკურიძე, მირიან ცალქალამანიძე, გიორგი სხირტლაძე... ჩვენი მოჭიდავეებიდან ვინ მოგეწონათ-მეთქი, ვკითხე. არავინო, მიპასუხა და მიზეზად ულამაზო ჭიდაობა დაასახელა. მაინც შედარებით ვის გამოარჩევდით-მეთქი, ჩავეძიე. ამაოდ... ევროპის ჩემპიონ-პრიზიორების მაყურებელს კარგი მაინც ვერავისზე დავაცდენინე. არც გაემტყუნება. მისი თაობა ხომ დღევანდელზე გაცილებით ლამაზად, თვალსაჩინოდ ჭიდაობდა.

დავითვალოთ: სად ძველი, სად ახალი?!

ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის პირველმა, დავით ციმაკურიძემ, ჩვენების შემყურემ, ისიც თქვა, ისეთ მოჭიდავეს რა ვუთხარი, საკუთარ საფირმო ილეთს რომ არ ფლობსო. დღევანდელ მოჭიდავეთა უმეტესობას თავიანთ ღარიბ არსენალში შემოტოვებული ფეხში ხელით შესვლაც არა აქვთ ოსტატურად დახვეწილი. ეს ილეთი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ გურამ საღარაძის საფირმო ფანდიც იყო, მაგრამ მისი ყოველი შესვლა ქულის აღებით მთავრდებოდა. ამ ტურნირზე ჭიდაობა უფრო ღლაბუცს ჰგავდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ რაკი ყველა მხოლოდ ამ ილეთს იყენებდა, მეტოქეები საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ ფეხებს. ამ დროს კი თავი და ხელები დაუცველი ჰქონდათ. ეს კი კისრულზე წამოღებას გააიოლებდა.

მაგრამ დღევანდელ მწვრთნელებს რატომღაც ქართული ჭიდაობა უპერსპექტივოდ მიაჩნიათ. 50-იან წლებში, ანუ სწორედ ციმაკურიძე-ბალავაძის ეპოქაში, ქართულ ჭიდაობას მსოფლიო არ იცნობდა და მაშინ ამართლებდა, დღეს კი ყველამ ისწავლა, გაიშიფრა და მოძველდაო, ამბობენ ისინი. შეიცვალა ჭიდაობის სტილიც, დღეს ყველა წინ წაბრილად ჭიდაობს და ფეხის მოხმარება გამორიცხულიაო, ამასაც ამატებენ.

ეს ყოველივე სადავო არც არის. დღეს მართლაც არავინ მოგაგებინებს ფეხით ჭიდაობით, მაგრამ ხელის ჩავლებას ხომ არავინ გიშლით? კი, ბატონო, იჭიდავეთ ამ სტილით, მაგრამ ნურც ქართული ჭიდაობის ილეთები დაგავიწყდებათ. მწვრთნელები ამ ილეთებს კი ასწავლიან, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, არავინ იყენებს. ნუ თვლით ქართულ ჭიდაობას ჩვენში გავრცელებული ჭიდაობების საფუძვლადო, ამასაც ამბობენ. თუ მართლაც ,ასეა, მაშ, რატომაა, რომ იმ დროს ევროპის ჩემპიონებიც ბლომად გვყავდა, მსოფლიოსაც და ოლიმპიადისაც, დღეს კი ეს სანატრელი გაგვხდომია... რატომ ვიქეცით ჭიდაობაში მოდის კანონმდებელი ქართველები ოდენ მაყურებლებად? ქართულ ჭიდაობას მუსიკა მოაშორეთ და ხელში ისე რა სანახაობა შეგრჩებათო... მუსიკა აზარტს კი მატებს ქართულ ჭიდაობას, მაგრამ სილამაზე ხომ მაინც ილეთებშია. ბოლო-ბოლო, თუ ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია, რას ეძებთ სამყაროს წეს-კანონების ძიღმა? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქართულ ჭიდაობას უმდიდრესი ტექნიკური არსენალი აქვს.

ირაკლი თავაძე

შანსიანთა და უშანსოთა ოდისეის დაწყებამდე

ბურაბ დოლიძისა-ბელის ფოტოები

საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენთა სახელით ოლიმპიურ ფიცს წარმოთქვამს ძიუდოისტი გიორგი თოთაძე

დღეს საქართველოს დელეგაციის მცირე ნაწილი მიემგზავრება დანიის ქალაქ ესბერგში, სადაც V ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები უნდა გაიმართოს, დანარჩენები კი შაბათს გაუყვებიან გრძელ და მომქანცველ გზას.

გრძელ და მომქანცველ გზას რომ მავბობთ, ვგულისხმობთ თბილისიდან ფრანკფურტში გადაფრენას, იქიდან ავტობუსით ნახევარი გერმანიის გავლას, ასევე ნახევარი დანიის გადაკვეთას, დაახლოებით 12 საათის მერე 1100 კილომეტრის დაფარვას, ესბერგში ჩასვლას, იქიდან კი ბორნით გადასვლას რიბეზე, თუ რაღაც ამდაგვარი სახელის კუნძულზე, სადაც ჩვენი დელეგაცია დაბინავდება.

ამგვარ ოდისეას უსახსრობა განაპირობებს.

ეს ყველაფერი და სხვაც მრავალი — გუშინ პრესკონფერენციაზე გვითხრა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა. ისიც დასძინა, ახლა, თქვენს კითხვებზე ძირითადად მე კი არა, სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი უნდა გპასუხობდეთ, მაგრამ ამ წუთას იგი სახელმწიფო ხაზინაშია, რათა ქაღალდზე გამოყოფილი, ყველა დონეზე ხელმოწერილი თანხა როგორმე რეალურად მიიღოსო.

პრესკონფერენციაზე ისიც შევიტყვეთ, რომ ნაწილობრივ უსახსრობის, ნაწილობრივ კი ჩვენი ახალგაზრდა ათლეტების დაბალი სპორტული დონის გამო, ესბერგში, ამგვარი თამაშების ისტორიაში პირველად, ჩავალთ ყველაზე მცირერიცხოვანი მონაწილეებით — 14 სპორტსმენით. თუმცა, თავის მხრივ, საქართველოს სპორტსმენთა შესაბამისი დაუოსტატებლობაც ჩვენი მწვავე ქრონიკული უსახსრობით აიხსნება.

ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს ჩემპიონობისთვის, მეორე და მესამე ადგილების დაკავებისთვის შესაბამისად ელით 300, 200 და 100 ამერიკული დოლარის ექვივალენტური თანხა, რაც 12-18 წლის სპორტსმენებისთვის ცოტა სულაც არ არის, მით უმეტეს, რომ ჩვენი გაჭირვებული ქვეყანა ერთადერთია, რომელსაც ტრადიციისამებრ საპრიზო ფონდი გამოუყვია.

ამგვარი პრიზის მიღების ყველაზე მეტი შანსი, ასევე ტრადიციისამებრ, უწინარეს ყოვლისა, აქვთ ძიუდოისტებსა და ჩოგბურთელებს, მძლეოსნები და ველოსიპედისტები კი, ეტყობა, ახლაც უშანსოდ არიან, თუმცა, გუშინ ყველა მათგანმა პრესკონფერენციამდე სეოკ-ის მუზეუმის დათვალიერების მერე ფიცი დადო, რომ თავდაუზოგავად იბრძოლებს საუკეთესოდ გამოსვლისთვის, რისთვისაც ისინი ფსიქოლოგიურად განაწყო სეოკ-ის თანამშრომელმა დავით კინწურაშვილმა, როცა მუზეუმში საქართველოს ოლიმპიელთა სახელოვანი ტრადიციები შეახსენა.

ავთანდილ ბუკიშელი

დავით კინწურაშვილი ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს საქართველოს ოლიმპიელთა ოდინდელ წარმატებებზე უამბობს

„მზიური" ბავშვებისთვის

ბავშვთა ქალაქ „მზიურის" კორტები ორშაბათიდან ნოდარ დუმბაძის სახელობის ტურნირს მასპინძლობს. ეს ასპარეზობა წლეულს მესამედ ტარდება, ოლონდ ცნობილი მწერლის სახელი პირველად მიენიჭა.

შეჯიბრებაში 10, 12, 14 და 16 წლის მოზარდები მონაწილეობენ. თბილისელთა გარდა მასში თელაველი და ბათუმელი ნორჩი ჩოგბურთელებიც თამაშობენ. ტურნირის ორგანიზატორდამფინანსებელია საჩოგბურთო კლუბი „მზიური" (პრეზიდენტი ილო ახვლედიანი), ჩემპიონ-პრიზიორებისთვის კი ჯილდოები დააწესეს AIETY TV-მ, „ყაზბეგმა", „მარტინ ბაუერმა", „ინაკომ", სმაკმა, ქალაქის სპორტის სამმართველომ და საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულმა ასოციაციამ.

კლუბ „მზიურის" ერთ-ერთი მესვეურის, სახელოვანი ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას თქმით, მათ უმთავრეს მიზანს „მზიურის" აღორძინება წარმოადგენს, რათა რეალურად შეესახოს ხორცი ნოდარ დუმბაძის ოცნებას და ნამდვილი ბავშვთა ქალაქი აშენდეს.

ირაკლი თავაძე

ვალენტინო, ვალენტინო



REUTERS დონინგტონიდან

ვალენტინო როსიმ რკინის რაში ყალყზე შეაყენა

ვალენტინო როსი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება — ასეთ დასკვნამდე მივიდოდა ყველა, ვინც კვირას დონინგტონ-პარკის ტრასაზე მოტორბოლაში ბრიტანეთის გრან პრის ადევნებდა თვალს. როცა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ეტაპზე ოცი წლის იტალიელს ფინიშამდე სულ რაღაც ნახევარი წრით ადრე ძრავა ჩაუქრა და პირველი ადგილი და 25 ქულა თავის უშუალო კონკურენტს იაპონელ ტორუ უკავას „აჩუქა“, მეტოქეებს შორის დისტანცია 40 ქულამდე გაიზარდა. მაშინ ვალენტინოს გულშემატკივრებმა ალბათ ხელი ჩაიქნიეს. ეს იყო საფრანგეთის დიდ პრიზზე. მას შემდეგ კიდევ ოთხი ეტაპი გაიმართა, აქედან როსიმ სამი მოიგო და ერთხელაც მეორე იყო. შედეგად მსოფლიოს ჩემპიონობის ორ მთავარ პრეტენდენტს შორის ქულათა სხვაობა შვიდამდე შემცირდა. ერთი-ორი რბოლაც და იტალიელთა და არა მარტო იტალიელთა კერპი კუთვნილ ადგილს დაიკავებს.

ორასორმოცდაათიანებამდე ყველაზე „მჩატეებმა“ გაითამაშეს ბრიტანეთის გრან პრი. აქ ალბათ ყველაფერი გარკვეულია — კლას 125-ში დიდი უპირატესობით ლიდერობს მასაო აზუმა, რომელიც 20 ქულით უსწრებს ესპანელ ალზამორას და ორმოცდაშვიდით იტალიელ ლოკატელის.

პრესტიჟულ 500-იანებში კვლავ წინა რბოლაში დაშავებულმა ესპანელმა ალექს კრივილემ გაიმარჯვა. ლიდერის უპირატესობა აქაც საგრძნობია. მეორე ადგილზე გადანაცვლებული იაპონელი ოკადა ესპანელს თითქმის 40 ქულით ჩამორჩება.

ირაკლი ბერიაშვილი

რეკორდი ოქროს ურჩევნია

REUTERS ლონდონიდან

მაიკლ ჯონსონი მსოფლიო რეკორდს უმიზნებს

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მძლეოსანმა მაიკლ ჯონსონმა ორშაბათს განაცხადა, რომ ამ სეზონში 400 მეტრზე მსოფლიოს რეკორდის დამყარება უფრო მეტს ნიშნავს მისთვის, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ჯონსონმა, რომელიც ოქროს ლიგის ტურნირზე რომის ოლიმპიურ სტადიონზე ოთხშაბათს 200 მეტრზე გამოვა, თავისი ოცნება გაამხილა. მას აგვისტოში, სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბაჰ რეინოლდსის რეკორდის — 43.29 წამის დამხობა სურს.

„ბედნიერი ვარ, რომ ასარჩევად არა მაქვს საქმე“ — თქვა ჯონსონმა, რომელიც ესპანეთში 400 მ დისტანციაზე ავტომატურად მოხვდა, როგორც დამარცხებული ჩემპიონი.

„უკვე მოგებული მაქვს მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტულები — სამი 400 და ორი 200 მეტრ დისტანციებზე — ჩემთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი 400 მეტრზე მსოფლიოს რეკორდის დამყარებაა, ამისთვის კი მსოფლიოს ჩემპიონატი საუკეთესო ადგილია.

ჯონსონი სევილიაში მხოლოდ 400 მეტრზე აპირებს ასპარეზობასრადგან გასულ თვეში აშშ-ს ეროვნული ჩემპიონატი გამოტოვა ტრავმის გამო და, ხელიდან გაუშვა შანსი 200 მეტრზე საკვალიფიკაციო ეტაპის გარბენისა.

ახლახან კი ტრავმამოშუშებულმა მაიკლმა ლოხანაში 400 მეტრზე იასპარეზა და სეზონის საუკეთესო დრო — 43. 92 წამი აჩვენა.

ასეთი შედეგით გულმოცემულმა ჯონსონმა ჟურნალისტებს უთხრა:

„დარწმუნებული ვარ, რომ სრულიად გამოვჯანმრთელდი, ამას ხომ ბოლომდე მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა ბილიკზე გახვალ“.

გიგა გურასაშვილი

ზოგს მილიონებს ეხვეწებიან, ზოგი „პურის ფულზეც“ ყაბულსაა

ყოველწლიური დრაფტი ჩათავდა თუ არა, ლიგაში სიმშვიდე გამეფდა, თუმცა ამან დიდხანს ვერ გასტანა. თავისუფალი აგენტების ბაზრის გახსნა მოვლენებით მდიდარი გამოდგა და სენსაციაც მოიტანა. ლიგის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე ანაჰაიმელი პოლ კარია გახდა

კარია: გაოცებული, გახარებული და ყველაზე მდიდარი

ერთი სიტყვით, ანაჰაიმის ლიდერმა და კაპიტანმა პოლ კარიამ 1 ივლისს თავის კლუბთან შეთანხმებას მიაღწია და მასთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ სავარაუდოდ, ფორვარდი ამ ხნის განმავლობაში 30-დან 32 მილიონამდე დოლარს მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კარია ლიგის უძვირფასესი მოთამაშე გახდა და გაუწრო კოლორადოელ პეტერ ფორსბერგს, რომელსაც ასევე სამწლიანი ხელშეკრულებით 30 მილიონი ერგება.

მოგეხსენებათ, ანაჰაიმის სუპერფორვარდმა, რომელიც ნაწილობრივ თავისუფალი აგენტი გახლდათ, მანამდე არაერთხელ გამოთქვა კლუბში დარჩენის სურვილი. ასე რომ, მხოლოდ საკონტრაქტო თანხის საკითხიღა იყო გადასაწყვეტი და ესეც მალე მოგვარდა.

— ძალიან გახარებული და გაოცებული ვარ: არ მეგონა, ჩემი აგენტი დონ ბეიზლი და კლუბის ხელმძღვანელები ასე უცებ თუ მოილაპარაკებდნენ. ახლა შემიძლია მშვიდად ვიყო და მხოლოდ ფეხის ტრავმის განკურნებაზე ვიფიქრო — თქვა კარიამ.

შეგახსენებთ, რომ წლეულს ფორვარდი 101 (39+62) ქულით ჩემპიონატის მესამე ბომბარდირი გახდა.

ლინდროსი დროსა და ფულს შორის

ფილადელფიის ლიდერი ერიკ ლინდროსი ნამდვილად სიტყვის კაცი ყოფილა. თავისუფალი აგენტების ბაზრის გახსნის პირველივე დღეს ფორვარდმა ოფიციალურ კონტრაქტად აქცია მანამდე მასსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის მიღწეული სიტყვიერი შეთანხმება. ერთწლიანი ხელშეკრულების თანახმად ლინდროსი გაისად 8,5 მილიონ დოლარსა და პრემიალურებს მიიღებს. კარლმა, ჰოკეისტის მამამ, რომელიც ამავდროულად მისი აგენტიც გახლავთ, ჟურნალისტებს არაფერი უთხრა ბონუსების რაოდენობის შესახებ. მან მხოლოდ ის განაცხადა, ეს არა პირადად ერიკის, არამედ მთლიანად კლუბის მიღწევებზე იქნება დამოკიდებულიო.

მოკლედ, შარშანდელი განმეორდა და ლინდროსებმა კვლავ მცირევადიანი კონტრაქტის გაფორმება ამჯობინეს, თუმცა ფილადელფიის გენერალური მენეჯერის ბობი კლარკის თქმით, თუ ისინი მოისურვებენ, უფრო ხანგრძლივ ურთიერთობაზეც შეიძლება საუბარი. ასე თუ არ მოხდა, მომავალ ზაფხულს ერიკი კვლავ შეზღუდულ აგენტად იქცევა.

პრიმო კი ხარ, მაგრამ პირველი არ ხარ

თუ ანაჰაიმისა და ფილადელფიის ლიდერებმა ყველაფერი გაარკვიეს, კაროლინას წამყვან მოთამაშეს, კეიტ პრიმოს კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება გაუჯანჯღლდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ქარიშხლებმა“ ძალისმიერ ფორვარდს შარშანდელზე ორჯერ მეტი — 4 მილიონი დოლარი შესთავაზეს, შეზღუდულ აგენტად ქცეულმა ჰოკეისტმა კონტრაქტზე უარი განაცხადა.

ნჰლ-ის წესები ამ კატეგორიის მოთამაშეებისთვის შემდეგ უფლებას ითვალისწინებს: თუ ჰოკეისტი სხვა კლუბისგან უფრო ხელსაყრელ წინადადებას მიიღებს, მის გუნდს ვალდებულება ეკისრება, მას, სულ ცოტა, ასეთივე პირობები შესთავაზოს. არის მეორე გზაც — სასამართლო და რაკი პრიმო კიდევ 2 მილიონ დოლარზე მეტს ითხოვს, ეს სრულებითაც არ არის გამორიცხული.

„ქარიშხლების“ თავკაცებს არც გამტყუნებათ. საქმე სულ სხვაგვარად იქნებოდა, პრიმო ეგრეთ წოდებული „ფრანჩაიზ პლეიერი“ რომ იყოს, ესე იგი, ჰოკეისტი, რომელზეც კლუბის თამაშია აგებული. მაგალითისთვის ანაჰაიმიც გამოდგება — ყოველწლიურად ტეემუ სელიანე პოლ კარიაზე მეტ ქულას აგროვებს, მაგრამ გუნდის „ფრანჩაიზერად“, მის ერთგვარ სახედ სწორედ ეს უკანასკნელი ითვლება. ჰოდა, კაროლინელთა გენერალური მენეჯერი ჯიმ რეზერფორდიც ამიტომ ჯიუტობს: „კეიტი ძალიან კარგი მოთამაშეა, მაგრამ ასეთ დონემდე ჯერ არ მიულწევია. ჯერჯერობით მან ერთი სეზონიც ვერ ჩაატარა ისეთი, საშუალოდ მატჩში ქულაზე მეტი მოეგროვებინა“ — თქვა რეზერფორდმა. ცნობისთვის: კარიერის 597 თამაშში პრიმომ 406 ქულა მიითვალა.

არარეგისტრირებულმა „ქორწინებამ“ სხვასთან გაქცევა იცის

დავა დავად, მაგრამ ადრე თუ გვიან, გაფიცვით თუ უგაფიცვოდ, თავისუფალი აგენტები უმტესწილად მაინც აღწევენ შეთანხმებას თავიანთ კლუბებთან. რაც შეეხებათ არარეგისტრირებულ ჰოკეისტებს, მათ ამჟამინდელი კლუბების დატოვების უფლება აქვთ, თუ სხვა გუნდებისგან უკეთეს წინადადებას მიიღებენ. ამიტომ შეუზღუდავ აგენტებს ზაფხულში დიდი გაწამაწია ელით. დღესდღეობით ლიგაში 92 ასეთი ჰოკეისტია. ყველაფერში რომ უკეთ გავერკვეთ, სააგენტო CBS-ის მიერ შედგენილი საუკეთესო ათეულის სია მოვიშველიოთ.

1. ტეორენ ფლერი (კოლორადო; 2,4 მილიონი დოლარი გასამრჯელო; 93 (40+53) ქულა შარშანდელ სეზონში); 2. ჯო მერფი (სან ხოსე; 3,8 მილიონი; 48 (25+23); 3. რეი შეპარდი (კაროლინა; 1,7 მილიონი; 58 (25+33); 4. ჯო ჟიუნო (ბუფალო; 2,2 მილიონი; 28 (15+13); 5. ვალერი კამენსკი (კოლორადო; 1,9 მილიონი; 44 (14+30); 6. სილვენ ლეფევრი (კოლორადო; 1,35 მილიონი; 20 (2+18); 7. ენდრიუ კესელსი (კალგარი; 1,2 მილიონი; 37 (12+25); 8. ნელსონ ემერსონი (ოტავა; 1,3 მილიონი; 37 (13+24); 9. სტეფან ქინტალი (მონრეალი; 900 ათასი; 27 (8+19); 10. დეივ ანდრეიჩუკი (ნიუ ჯერსი; 2,5 მილიონი; 28 (15+13).

მეკარეთაგან ყველაზე ძვირადღირებული სანხოსელი მაიკ ვერნონი (2, 75 მილიონი) და ფლორიდელი კირკ მაკლინი (2,55 მილიონი) არიან. ზემოხსენებული ათეულის გარდა უნდა გამოვყოთ კოლორადელი ალექსეი გუსაროვი, ფილადელფიელი სტივ დიუშენი (3, 75 მილიონი), აილენდერსელი კრეიგ ჯენი, ატლანტელები — მაიკ ტინორდი (2, 65 მილიონი) და ულფ სამუელსონი.

ყველაზე დიდი ყურადღება უეჭველად კოლორადოს მოთამაშეებისკენ იქნება მიპყრობილი. მით უმეტეს, რომ თურმე არც ერთ მათგანს არ სურს „ეველანშში“ დარჩენა. მათ შორის არც ტეო ფლერის. შეგახსენებთ, რომ ფლერი, კალგარის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი (364 გოლი და 466 პასი), კოლორადომ დედლაინზე პლეი ოფში წარმატების მისაღწევად შეიძინა, მაგრამ „მძლავრმა თაგვმა“ იმედები არ გაამართლა.

ყველაზე დიდ აქტიურობას რეინჯერსისგან ელიან. ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბი ბოლო ორი სეზონია, პლეი ოფის მიღმა რჩება, სულ ახლახან აილენდერსის ბომბარდირის, ზიგმუნდ პალფის შემენის შესაძლებლობაც გაუშვა ხელიდან და ახლა, ალბათ, დაკარგულის ანაზღაურებას შეეცდება. „რეინჯერები“ ყველაზე მეტად ტეო ფლერით და მონრეალელი სტეფან ქინტალით ყოფილან დაინტერესებული. რაც შეეხება ტორონტოს, მას თურმე ვალერი კამენსკის დაეუფლება სურს.

დაბოლოს, წლევანდელ ბაზარზე უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად გაგაცნობთ ყველაზე ცნობილი თავისუფალი აგენტების გვარებს: „სელკე ტროფის“ (დაცვაში მარჯვე ფორვარდი) ფინალისტი მაგნუს არვედსონი (ოტავა), მეკარე ბაირონ დაფო (ბოსტონი), რომელმაც სეზონში 10 შათაუტი მიითვალა, ზემოხსენებული პრიმო, ვანკუვერელი მარკუს ნესლუნდი (36 გოლი ჩემპიონატში) და ლიგის ყველა კლუბისთვის სასურველი დეტროიტელი მცველი ნიკლას ლიდსტრიომი.

სამველ ღარიბიანი



ტეორენ ფლერი



კეიტ პრიმო



პოლ კარია



ერიკ ლინდროსი

99 LE TOUR DE FRANCE
სტეელსი აღარ ისვრის

ოთხ დღეში ბელგიელმა ტომ სტეელსმა (მაპეი) „ტურის“ ორი ეტაპის მოგება მოახერხა, რაც, იცოცხლეთ, მშვენიერი შედეგია, თუმცა ყვითელი მაისურა კვლავაც ესტონელმა იან კირსიპუუს (კაზინო) აცვია, ვისაც საფინალო სპრინტში მონაწილეობა არ მიუღია (მე-14 ადგილი), მაგრამ საშუალედო ფინიშზე იაქტიურა და ექვსი სპრემიო წამიც მოიპოვა.

„ამაზე უკეთ დაწყება ძნელი წარმოსადგენი იყო. სამი ეტაპიდან ორში პირველი ვიყავი. დღეს გუშინდელთან შედარებით უფრო გამიჭირდა, მაგრამ ერიკ ზაბელს კვალში დროზე ჩავუდექი და შეტევაზე მხოლოდ ბოლო 200 მეტრზე გადავედი“ — განაცხადა სტეელსმა, ვისთვისაც ეს საფრანგეთში მოგებული მეექვსე ეტაპი იყო.

მზიან ამინდში მთავარი იერიში 1997 წლის პარიზ—რუბეს გამარჯვებულმა ფრედერიკ გესდონმა (საფრანგეთი) და ახლგაზრდა იტალიელმა მასიმო გიუნტამ განახორციელეს. მათ 121 კილომეტრი დაფარეს პელოტონს მოწყვეტილებმა და ერთი ხანობა ოთხწუთიან უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ კირსიპუუს თანაგუნდელები მთავარ ჯგუფს სათავეში მოექცნენ და სიჩქარე გააზრდევინეს. მათ ეს ყველაფერი იმიტომ მოიმოქმედეს, რომ ესტონელს ლიდერის ყვითელი მაისურა არ დაეკარგა. ფინიშამდე 37 კილომეტრით ადრე პელოტონი ლტოლვილებს წამოეწია და ახალი შეტევაც აღარავის უცდია, რადგან გზის თავისებურება ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა.

ამის მერეც რბოლას „კაზინო“ აკონტროლებდა, ბოლო 20 კილომეტრზე კი იმ სპრინტერთა თანაგუნდელები გადავიდნენ წინ, რომლებსაც ეტაპის მოგების შანსი და სურვილი ჰქონდათ (საეკო, პოსტალი, ფრანსეზ დე ჟო). ლავალს მიახლოებულმა სპორტსმენებმა მიხვეულ-მოხვეული დაღმართი კარგად გაიარეს, მხოლოდ იტალიელმა მორენო დი ბიასემ ვერ შეძლო ეს — იგი გზის ნაპირას მდებარე ერთ-ერთ ბარიერს შეეჯახა და წაიქცა.

რახან წაქცევაზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც ვეტყვით, რომ წინა ეტაპზე დაშავებულმა ესპანელმა ხავიერ პასკუალ ლორენტემ მაჯის ტკივილის მიუხედავად გუშინდელი ეტაპის გავლა მოინდომა, მაგრამ 25 კილომეტრის შემდეგ პელოტონს ჩამორჩა, კიდევ ექვსი კილომეტრის გავლის მერე კი გაჩერდა და წლევანდელ „ტურ დე ფრანსსაც“ გამოეთიშა.

საფინიშო სპრინტში კი სტეელსმა ერიკ ზაბელსა და სტიუარტ ოგრედის აჯობა. „ახლა ყვითელი მაისურას ხელში ჩაგდებას ვეცდები, „ტური“ ბელგიას უახლოვდება და ეს ძალიან კარგი რამ იქნება“ — განაცხადა ბელგიელმა, რომელიც 1997 წელს ამ შეჯიბრიდან მოკვეთეს. მიზეზი კი ის იყო, რომ მან ერთ-ერთი ეტაპის ფინიშისას თავისი წყლის ბალონი ფრანგ ფრედერიკ მონკასენს ესროლა, აქაოდა, განგებ, არასპორტულად შემიშალა ხელი გამარჯვებაში. ახლა იგი თავს გაცილებით მოჭკვიანებულად მიიჩნევს.

თუ სტეელსი, ზაბელი და სხვა ცნობილი ჰეპლები უკვე თავგამოდებით იბრძვიან სპრინტებში, ჯერჯერობით ვერაფრით გამოუჩენია თავი იტალიელ მარიო ჩიპოლინის. იგი მთელ რბოლას კარგად ატარებს, მაგრამ ბოლო 400 მეტრზე ჩაიკარგება ხოლმე. თუმცა შარშან მან პირველად მხოლოდ მეხუთე ეტაპზე გაიმარჯვა, ასე რომ, ჯერჯერობით მისი ჩამოწერა ნაადრევია. ისე, სპეციალისტები მას ყოველ დილით პოტენციურ მომგებთა შორის ასახელებენ. ამავე აზრისაა ტომ სტეელსიც: „ჯერ კიდევ ბევრი ეტაპი დარჩა და ზაბელსაც და ჩიპოლინისაც ბევრჯერ მიეცემათ პირველობის შანსი.“

გაიოზ თალაკვაძე

REUTERS ლავალიდან

ტომ სტეელსი მოჭკვიანდა და იმარჯვებს კიდეც

მესამე ეტაპი
ნანტი — ლავალი, 194,5 კმ

1 ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი) — 4 სთ 29 წთ 27 წმ
2 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3 სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი)
4 ნიკოლა მინალი (იტალია, კანტინა ტოლო)
5 ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, პოსტალი)
6 ჯიმი კასპერი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟო)
7 რობი მაკიეენი (ავსტრალია, რაბობანკი)
8 სილვიო მარტინელო (იტალია, პოლტი)
9 ელიო აჯიანო (იტალია, ვიტალიციო)
10 მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 იან კირსიპუუ (ესტონეთი, კაზინო) — 13 სთ 18 წთ 59 წმ
2 ტომ სტეელსი — +17 წმ
3 სტიუარტ ოგრედი — +20 წმ
4 ლანს არმსტრონგი — +20 წმ
5 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +31 წმ
6 ჯორჯ ჰინკეპი — +34 წმ
7 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +35 წმ
8 ერიკ ზაბელი — +40 წმ
9 ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი, კაზინო) — +41 წმ
10 სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +41 წმ


ფლანდრია
ბელგია
ლილი
ამიენი
S/F
ჯარიზი
F
S
ბრაბანტი
ტიერნეზეტი
ბრესტი
S/F
ბორდეაუ
S
ბლუა
F
ნანტი
S
ლენ ნაზერი
F
S
ბოინტეენი
S/F
P
ბაიონი
ბიუ დე ფუ
***
F
S/F
ფუტეროსკოპი
ალპები
ბრან ბორნანი
S
ლენ ბალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ისვენებს

ზაფხულია ბატონო და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე გაშენებულ თეთრ-თეთრ ქალაქებში განთქმული ხალხი იყრის თავს. აგე, როგორ ნებივრობს კრისტიან არონი, ევროპის რეკორდსმენი ას მეტრზე რბენაში. თან უბრალო ადგილას კი არ ისვენებს, არამედ შუაგულ ნიცაში, „ბრომენად და ანგლეს“ სანაპიროზე.

REUTERS ნიციდან

ბორდოელთა ბორდოში

REUTERS ბორდოდან

ღვინის მხარეში

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ჟირონდის პირას მოგზაურობს და იქაურ მეურნეთა პრობლემებს სწავლობს. ბორდოში ჩასულს არ იქნებოდა იქაური ფეხბურთელთა კლუბი არ ენახა. ბორდოელები ხომ წლეულს ჩემპიონები გახდნენ. ღვინის მხარეში სუფრის გაშლას აბა ვინ დაახანებს? ჰოდა, პრეზიდენტიც ამიტომ მოხვედრილა ბორდოელთა მწვრთნელ ელი ბოპსა და კაპიტან მიშელ პაკონს შუა.

დუაიტ დევისის შესანდობარი

მასაჩუსეტსში, ლონგვუდის კრიკეტის კლუბში კვირას დიდი ზეიმი იყო. ჩოგბურთის საზოგადოება აღნიშნავდა დუაიტ დევისის დაბადებიდან ორასი წლისთავს. სწორედ დუაიტ დევისია ის კაცი, ვინც ჩოგბურთში თავისი თასი დაანწესა და უდიდეს სანაკრებო შეჯიბრს დაუდო სათავე. ამავ ლონგვუდის კორტებზე ივლისის შუა რიცხვებში შეერთებული შტატების ნაკრები დევისის თასის მეოთხედფინალში ავსტრალიის ნაკრებს უმასპინძლებს.

ეს კაცი კი, დევისის საიუბილეო ტორტის ნაჭერი რომ დაუთრევია, ამერიკელ ჩოგბურთელთა სადევისო გუნდის კაპიტანი ტომ გალიქსონია.

REUTERS მასაჩუსეტსიდან

კასპაროვი — მსოფლიო

კასპაროვმა, რა თქმა უნდა, ბევრი არ იფიქრა და მის წინააღმდეგ ამხედრებულ მსოფლიოს მერვე სვლად d2-d4 შესთავაზა. ვნახოთ, რა იტყვის მსოფლიო...

1	e2-e4	c7-c5
2	მg1-f3	d7-d6
3	კf1-b5+	კc8-d7
4	კb5:d7+	ლd8:d7
5	c2-c4	მb8-c6
6	მb1-c3	მg8-f6
7	O–O	g7-g6
8	d2-d4	



მარტინ თავცარიელი

იმის თაობაზე, რომ ამ ბურთს ცარიელი თავი ხვდება და არა ტვინით დამძიმებული, დღეს ბევრი ლაპარაკობს. სურათი ასუნსიონშია გადაღებული ხუთ ივლისს „როიტერის“ ფოტორეპორტიორ ნაჰუელ როურკის მიერ და არგენტინელი თავდამსხმელის, მარტინ პალერმოს ვარჯიშობას გვიჩვენებს. წინა საღამოს პალერმომ სამი პენალტი ვერ გაუტანა კოლუმბიელებს და აზრიც მისი თავის სიცარიელის შესახებ აქედან წარმოიშვა. ლათინური ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად შერაცხული პალერმო ამიერიდან ამითაც იქნება ცნობილი — ჯიუტი და უტვინო ყოფილაო.

REUTERS შალანიდან



REUTERS ასუნსიონიდან

აბრაამი და მღვდელი

ტურ დე ფრანსის ერთ-ერთი ფავორიტი აბრაამ ოლანო ესპანელია და ეს ხომ ნიშნავს რომ კათოლიკეა? ტურის მეორე დღეს, შალანიდან სენტ ნაზარისკენ გაჭრილ მარშრუტზე შედგომის წინ აბრაამს კათოლიკე მღვდელი ეწვია და ერთი კარგად დალოცა, ეს ას სამოცდათექვსმეტი კილომეტრი ღმერთმა მშვიდობით და კოხტად გაგატაროსო.

ასველებენ

ამ ხალხს ხომ სცნობთ? სემი კუფური ლოთარ მათეუსს (მარცხენა ფოტოზე) ელაყბება, მთელი გუნდი კი ლუდსა ხვრეპს. აბა სადღაა ორმოცი დღის წინანდელი დარდი და ტკივილი. მიუნხენის „ბაიერნი“ ახალი სეზონისთვის ემზადება და ახალი ფორმების და საკლუბო ფერების პრეზენტაციასაც მხიარულად აღნიშნავს. ახალი ფორმა გადახუხვის კარგი მიზეზია. ანუ, ახალი უნდა დასველდეს...



REUTERS მიუნხენიდან

შვედეთი

XIII ტური

მალმიო 0:4 ჰელსინგბორგი

ავსტრია

II ტური

აუსტრია 2:0 ზალცბურგი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ გზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29